ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80.

[illegible]

— აჯანყებულ დრუზების წინააღმდეგ მოქმედი საფრანგეთის ჯარი დამარცხდა.
— საფრანგეთის მთავრობა აპირებს სამხედრო საქმის რეფორმას.
— უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრის 997 ათას კაცს.
— ინგლისის სანახშირო მრეწველობის დეფიციტი უდრის 14 მილიონ გირვანქა სტერლინგს.
— უდჯაში მოხდა ესპანეთ-საფრანგეთის დელეგატების ხელახალი შეხვედრა რიფებთან.
— კალკუტაში (ინდოეთი) გრძელდება მაჰმადიანების შეტაკება ინდუსებთან.

ხუთშაბათი, 29 აპრილი, 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 96 (1551)

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთველის პრ. № 34, ტელეფ. 10—49

ოცდაექვსის ჯალათები

დასრულდა ესერ ფუნტიკოვის პროცესი. სასამართლომ გამოიტანა თავის განაჩენი. 26 ბოლშევიკის, 26 კომუნარის სისხლის დაღვრისათვის გამარჯვებულ პროლეტარიატის სამსჯავროს წინაშე ჯერ-ჯერობით კაპიტალიზმის მხოლოდ ერთი დაქირავებული ჯალათი წარსდგა. სრულიადაც არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ ეს ჯალათი ეგრეთწოდებულ სოციალისტ - რევოლიუციონერების ბანაკიდან წარმოსდგება.

სწორეთ ეს პარტია და მისი მონათესავე წვრილბურჟუაზიული პარტიები: მუსავატ-დაშნაკ-მენშევიკების სახით წარმოადგენდენ იმ დასაყრდენს, რომლის საშუალებითაც დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმი შემოიჭრა ამიერ-კავკასიასა და კასპიის იქითა მხარეში რევოლიუციურ მშრომელ მასების შესამუსრავათ და რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატისათვის ზურგში ლახვარის ჩასაცემათ.

ეს საწადელი დასავლეთის იმპერიალიზმმა ნაწილობრივ კიდევაც აისრულა. თითქმის სამი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასია ევროპის კაპიტალის ხან ერთი და ხან მეორე გამარჯვებულ კოალიციის განუკითხავ ბრძანებლობის ასპარეზს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ისახელა თავი აქ ინგლისის იმპერიალიზმმა.

ამ ბრძანებლობის მსხვერპლნი გახდნენ სხვათა შორის ბაქოს 26 კომისრებიც. კომუნისტური პარტია—ერთად ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო იმპერიალიზმის ქუსლით გათელილ ამიერ-კავკასიაში, რომელიც შეუპოვრათ იბრძოდა მუშათა კლასის აშკარა მოძალადეების წინააღმდეგ და რომელმაც ამ უთანასწორო ბრძოლას არა ერთი რევოლიუციონერი შესწირა მსხვერპლათ.

სწორეთ ამიტომ იყო, რომ როგორც ინგლისის მხედრობის, ისე ჩვენი შინაური წვრილფეხა კონტრ-რევოლიუციურ პარტიების იერიში უმთავრესად კომპარტიის წინააღმდეგ იყო მიმართული, ეს ბრძოლა ბოლშევიკურ პარტიის წინააღმდეგ მოკლებული იყო ბურჟუაზიულ კანონიერების ჩვეულებრივ თვალთმაქცობასაც კი, რომელსაც დღეს ადგილი აქვს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და აშკარათ ისახავდა მიზნათ კომუნისტურ პარტიის ფიზიკურ განადგურებას.

დატუსაღება და გადასახლება ინგლისის მხედრობის მიერ ბათომის კომუნისტ-პროფმუშაკების, ბაქოს 26 კომისარის მხეცური დახვრეტა, დატუსაღება და ცემა-ტყეპა კომუნისტურ პარტიის ცალკე წევრებისა—აი რით ისახელა თავი „კულტუროსან“ ინგლისის სარდლობამ და მის ადგილობრივმა ლაქიებმა მშრომელი მასების მებრძოლთა წინააღმდეგ.

გუშინდელი ჯალათებიდან გამარჯვებულ პროლეტარიატის უზენაეს სასამართლოს წინაშე საპასუხოთ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი წარსდგა. რაც უნდა დიდი არ იყვეს ის სასჯელი, რომელიც მას მიუზღო პროლეტარულმა სამსჯავრომ, ის მაინც ვერ გამოისყიდის დანაშაულს, რომელიც ჩადენილი აქვს რევოლიუციის წინააღმდეგ ინგლისის ჩინოსან ჯენტლმენებს და მათ კუდამდევარ ამიერ-კავკასიის კონტრ - რევოლიუციურ პარტიებს.

ყველა მათ გასვრილი აქვთ ხელი ოქტომბრის რევოლიუციისათვის წამებულთა სისხლში, ყველა ისინი ერთად და ცალ-ცალკე დამნაშავენი არიან 26-ის ვერაგულ მკვლელობაში.

ამხანაგი სტეფანე შაუმიანი პირველი სახალხო კომისარი იყო ამიერკავკასიაში, რომელიც დაინიშნა რევოლიუციურ პროლეტარიატის სახელით და რომელსაც აწ ნეტარხსენებული მენშევიკური მთავრობა ციხით გამასპინძლებას უპირებდა. ქართველმა მენშევიკებმა ამით ყველას დაასწრეს ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ რეპრესიების შემოღება და ამნაირათ ანტი-კომუნისტურ მოძრაობის პიონერობის სახელში მათ ვერავინ შეეცილება ამიერ-კავკასიაში.

მას შემდეგ, ხან ერთ და ხან მეორე გამარჯვებულ უცხო ძალის თვალებში შემყურე ქართული სოციალ-დემოკრატია ურყევათ მიდიოდა ერთხელვე აღებულ კონტრ-რევოლიუციურ გზით და კეთილსინდისიერათ ასრულებდა დასავლეთის კაპიტალის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.

ვინ, თუ არა მენშევიკური მთავრობა ევედრებოდა მუხლმოდრეკით ანტანტის სახელმწიფოებს „დამოუკიდებელ“ საქართველოში, ამ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალების დატოვებას, როცა ანტანტის ჯარები ოქტომბრის რევოლიუციის მოახლოების შიშით იძულებულნი იყვნენ ბარგი აეკრათ აქედან? ვინ, თუ არა ეგრეთ წოდებულ—ეროვნული მთავრობები უმაგრებდენ ზურგს უცხო სახელმწიფოთა და პირველყოვლისა ინგლისის ბატონობას ამიერ-კავკასიაში.

რომ ასეთი მდგომარეობა არა, შეუძლებელი იქნებოდა ინგლისის სარდლობის თავაღებული პარპაში ამიერ-კავკასიაში, შეუძლებელი იქნებოდა 26 ტრაღიკული მკვლელობაც.

ფუნტიკოვმა უკვე აგო პასუხი საბჭოთა სასამართლოს წინაშე, ქართულ მენშევიზმსაც გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი ისტორიამ, ჯერი რჩება ჩვენ შინაურ კონტრ-რევოლიუციონერთა სულის ჩამდგმელებზე— მათი განკითხვის საათიც უთუოდ დადგება.

◆

სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის გაერთიანება

დიდი დაგვიანებით იწყება ჩვენში მე-14-ე პარტკონფერენციის დადგენილებათა გატარება სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანების შესახებ. ეს დადგენილება, რომელიც მიღებული იყო ერთი წლის წინათ, საჭიროთ სცნობდა „სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციის პირველი საფეხურის მტკიცე ერთიანი ქსელის“ შექმნას.

საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში ეს თითქმის დღემდეც ასე იყო, მხოლოდ საქართველოში ერთი მეორისაგან სრულებით დამოუკიდებლად არსებობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორი სისტემა: წარმოკავშირის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის. არსებითად ორივე სისტემა ერთ და იმავე ფუნქციებს ასრულებდა: საკრედიტო ამხანაგობები არ კმაყოფილდებოდენ და ვერც დაკმაყოფილდებოდენ მარტო საკრედიტო საქმიანობით და საშუამავლო ოპერაციების სახელწოდებით მათ ხელი მიჰყვეს მიწოდება-გასაღებასაც. ამ უკანასკნელისთვის მოწოდებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები და ამნაირად დასაწყისი მიეცა ფუნქციების არევდარევას, მავნე პარალელიზმს და ქიშპობას.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობის დატოვება შეუძლებელი იყო და წარსულ წელში მე-14-ე პარტკონფერენციამ კიდეც დაადგინა შექმნა ამ ორი სისტემიდან ერთი მთლიანი ძირითადი სისტემის, რომელიც საკრედიტო ფუნქციების მხრივ უნდა დარჩეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემაში, ხოლო „გასაღების, მიწოდების და დამზადების სფეროში წარმოებული მუშაობის და არეთვე კოოპერატიული ხელმძღვანელობის მხრივ“ კი სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი უნდა შედიოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში.

წარსული წლის ოქტომბერში ამ საკითხის შესახებ თავისი დადგენილება გამოიტანა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცეკამ და წინადადება მისცა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს და წარმოკავშირს დაემუშავებიათ გაერთიანების გეგმა და გაეტარებიათ ის. ამ გეგმის დამუშავებამ მრავალი მიზეზების გამო დაიგვიანა, მხოლოდ უკანასკნელ [illegible]ნებში მოხდა შეთანხმება და გამომუშავებულ იქნა გეგმასთან ერთად სათანადო ინსტრუქცია გაერთიანების შესახებ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საკრედიტო ამხანაგობებთან გაერთიანდებიან მხოლოდ უნივერსალური ტიპის (შერეული) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები. გაერთიანება საერთოდ არ ეხება სპეციალური ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს, როგორიც, მაგალითად, მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობებია.

საქართველოს სინამდვილეში ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებს:

1. არსებობს ერთის მხრივ უნივერსალური სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები, მეორე მხრივ საკრედიტო ამხანაგობები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის და წარმოკავშირის შეთანხმების მიხედვით უნდა მოხდეს ორივე ამ ამხანაგობების ფორმალური ლიკვიდაცია; მათ ნაცვლად დაარსებულ იქნება ახალი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც გადაეცემა მთელი ქონება დახურულ ამხანაგობებისა. და ის შეასრულებს როგორც კრედიტის, ისე მიწოდება-გასაღების ფუნქციებს. ასეთი ადგილები, სადაც ამ ორი ტიპის კოოპერაცია არსებობს, საქართველოშია 46.

2. არსებობენ მხოლოდ საკრედიტო ამხანაგობები. ამ ამხანაგობებს მიეცემათ აგრეთვე მიწოდება-გასაღების ფუნქციები და ორგანიზაციულად ისინი შევლენ წარმოკავშირის სისტემაში. ასეთი ადგილებია 76.

3. არსებობენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები. ამ უკანასკნელთ მიეცემათ აგრეთვე საკრედიტო ფუნქციებიც და ამ მხრივ ბანკს დაევალება მათთვის ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევა. ასეთი ადგილებია განზრახული გეგმის მიხედვით 7.

ამნაირად, ნაცვლად ორი პარალელურად არსებული ქსელისა, რომლებიც ფაქტიურად ერთ და იმავე საქმიანობას ეწევიან, მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციის ერთ მთლიან ძირითად სისტემას, რომელიც უკეთ შესძლებს სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის კოოპერატიული ხელმძღვანელობის და დახმარების გაწევას. გაერთიანებით შემცირდება ამხანაგობათა [illegible]დება აპარატი და შეიქმნება ნიადაგი გეგმიანი სამეურნეო მუშაობისთვის.

მუშაობას ამხანაგობათა გასაერთიანებლად ჩაატარებენ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსპექტორები და წარმოკავშირის ინსტრუქტორები, რომლებმაც ადგილებზე უნდა მოახდინონ ბალანსების გამოკვლევა, ჩაატარონ არსებულ ამხანაგობათა სალიკვიდაციო კრებები და უხელმძღვანელონ გამაერთიანებელ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ახალ სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობის დამაარსებელი კრების და მმართველი ორგანოების არჩევნებს. სასურველია და აუცილებელი, რომ ამხანაგობები ყველა მასალებით მომზადებული შეხვდენ ამ მუშაობას, რომელიც დაჩქარებული ტემპით უნდა იქნეს შესრულებული.

სამეურნეო წელი დიდი ხანია, რაც დაწყებულია და ახალი გაერთიანებული ამხანაგობის საქმიანი აპარატის შექმნა უნდა დავაჩქაროთ. რამდენათაც ვიცით, ზოგიერთ რაიონში ამ მუშაობისათვის დღემდეც ემზადებოდენ, ადგილობრივი მუშაკების ყრილობებზეც გამოჰქონდათ დადგენილებები სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანების შესახებ. ეხლა უნდა შეუდგეთ ამ დადგენილებათა პრაქტიკულ განხორციელებას ცენტრის მიერ გამომუშავებულ გეგმის და ინსტრუქციების მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო ბანკის და წარმოკავშირის წარმომადგენლებიც უკვე მზად არიან ადგილებზე მუშაობის დასაწყებათ.

„კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებას ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“, და ა მიზნით არის საჭირო სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანება და „მტკიცე ერთიანი ქსელის“ შექმნა, თანახმად მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებისა. ეს გაერთიანება აქნამდეც უნდა მომხდარიყო, მეტი დაგვიანება კი დაუშვებელია. ჩვენი გლეხობა სიხარულით შეხვდება ამ გაერთიანებას, მას ურჩევნია ერთი ამხანაგობის გარშემო დარაზმვა და იქიდან ყოველგვარი დახმარების მიღება თავისი მეურნეობის გასაუმჯობესებლად. პარტიის დადგენილება ამ საკითხშიც სავსებით გამოხატავს გლეხობის ინტერესებს და კოოპერაციის მუშაკებმაც შეთანხმებულათ უნდა გაატარონ პარტიის ხაზი.

ი. ბუაჩიძე.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება

ნოტების გაცვლა შტრეზემანსა და კრესტინსკის შორის

ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს რაპალოს შეთანხმება

იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ნიშნავს საბჭოთა კავშირის მიერ ბრძოლის დაწყებას ინგლისთან

პოლონეთის პრესა დაშინებულია გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით

ხელშეკრულებას მხარს უჭერენ გერმანიის ყველა პარტიები

გერმანიის მთავრობის ნოტა საბჭოთა კავშირის ელჩისადმი

„ბატონო ელჩო,

ვეყრდნობი რა მოლაპარაკებას ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დღეს ხელმოწერილ იქნა გერმანიის მთავრობის და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ, პატივი მაქვს გერმანიის მთავრობის სახელით განვაცხადო შემდეგი:

1) იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც ხელშეკრულების დადებას შეეხებოდა, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტში ორივე მთავრობა შეთანხმებულად ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით,რომ ხელშეკრულების პირველ მუხლში მათ მიერ გათვალისწინებული პრინციპი ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების შეთანხმების შესახებ **არსებითად ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას.** ყოველ შემთხვევაში ორივე მთავრობა მოლაპარაკების დროს **იხელმძღვანელებს საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების აუცილებლობის თვალსაზრისით.**

2) ამ თვალსაზრისით მიუდგა ორივე მთავრობა დანარჩენ საკითხებსაც, რომელნიც დაკავშირებული არიან გერმანიის ერთა ლიგაში შესვლასთან. გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა ხელს არ შეუშლის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას. ერთა ლიგა, თავისი უმთავრესი იდეის მიხედვით, უნდა იქნეს საერთაშორისო წინააღმდეგობის მშვიდობიანი და სამართლიანი მომწესრიგებელი.



გუსტავ შტრეზემანი
გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი

გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ამ იდეის განხორციელებას.

თუ ერთა ლიგის ფარგლებში ოდესმე წარმოიშვა ისეთი მისწრაფება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ძირითად იდეას და რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გერმანია მთელი თავისი ენერგიით შეებრძოლება ასეთ მისწრაფებას.

3) გერმანიის მთავრობა სთვლის, რომ გერმანიის პოლიტიკის ამ მთავარ ხაზს საბჭოთა კავშირის მიმართ, ზიანს არ მოუტანს აგრეთვე იმ ვალდებულებათა ლოიალური შესრულება, რომლებსაც გერმანია მიიღებს ერთა ლიგაში შესვლის შემდეგ, ლიგის სტატუტის მე-16-ე და მე-17-ე მუხლის თანახმად. ამ მუხლების თანახმად, საკითხი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სანქციების გამოყენების შესახებ სხვა პირობებისაგან დამოუკიდებლათ შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი შეტევით ომს დაიწყებს მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ საკითხი, წარმოადგენს თუ არა საბჭოთა კავშირი შეიარაღებულ კონფლიქტში მესამე სახელმწიფოსთან თავდამსხმელ მხარეს, გერმანიისათვის სავალდებულოთ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას მხოლოდ მისი თანხმობით და ამგვარად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოების მიერ წაყენებული, გერმანიის აზრით, უსაფუძვლო ბრალდებები, ვერ აიძულებენ გერმანიას მონაწილეობა მიიღოს იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელსაც გულისხმობს მეთექვსმეტე მუხლი. იმ საკითხში, თუ რომელ კონკრეტიულ შემთხვევაში შეუძლია გერმანიას სანქციის გატარებაში მონაწილეობის მიღება, გერმანიის მთავრობა მოგაგონებთ 1925 წლ. 1 ოქტომბერს გაგზავნილ ნოტას, რომელიც გადაცემულ იქნა ლოკარნოს შეთანხმების ხელისმოწერასთან ერთად.

4) იმ მიზნით, რათა შექმნან მტკიცე საფუძველი მათ შორის წარმოშობილ ყველა საკითხების უმტკივნეულოდ გადასაჭრელად, **ორივე მთავრობა მიზანშეწონილად სთვლის დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მოლაპარაკება საერთო ხელშეკრულების დადების შესახებ ორივე მხარეს შორის შესაძლო კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაგვარებლად,** რომლის დროს განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამედიატორო წესი და აგრეთვე შეთანხმებითი ხასიათის მეთოდები.

მიიღეთ, ბატონო ელჩო, და სხვ.

შტრეზემანი“.

საბჭოთა კავშირის მთავრობის პასუხი.

„ბატონო მინისტრო!

ვადასტურებ რა თქვენ მიერ გამოგზავნილი ნოტის მიღებას და ვეყრდნობი რა მოლაპარაკებას დღეს უკვე ხელმოწერილ ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირის და გერმანიის მთავრობებს შორის, პატივი მაქვს საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით გაცნობოთ შემდეგი:

1) ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების დროს და ამ ხელშეკრულების ხელისმოწერის მომენტში ორივე მთავრობა ურთიერთ შეთანხმებით ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ **ხელშეკრულების პირველ მუხლში გათვალისწინებული პრინციპი ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების შეფარდების შესახებ არსებითად ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას.** ყოველ შემთხვევაში ორივე მთავრობა მოლაპარაკების დროს იხელმძღვანელებს საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების აუცილებლობის თვალსაზრისით.

2) გერმანიის ერთა ლიგაში შესვლასთან დაკავშირებულ პრინციპიალურ საკითხების შესახებ, საბჭოთა კავშირის მთავრობა მხედველობაში იღებს თქვენს ნოტაში მოცემულ განცხადებას.

3) იმ მიზნით, რათა მტკიცე საფუძველი შექმნან მათ შორის წარმოებულ ყველა საკითხების უმტკივნეულოდ გადაჭრისათვის, ორივე მთავრობა მიზანშეწონილად სთვლის დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მოლაპარაკება საერთო ხელშეკრულების დადების შესახებ ორივე მხარეს შორის შესაძლო კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაგვარებლად, რომლის დროს განსაკუთრებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამედიატორო წესი და აგრეთვე შეთანხმებითი ხასიათის მეთოდები.

მიიღეთ, ბატონო მინისტრო, და სხვ.

კრესტინსკი.

დეპეშების გაცვლა - გამოცვლა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო

მოსკოვი, 28 აპრილი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნეს ერთი მეორეს დეპეშები გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო.

შტრეზემანის დეპეშაში ნათქვამია: „მე მოხარული ვარ გაუწყოთ თქვენ, რომ კრესტინსკისთან ერთად მოვაწერე ხელი შეთანხმებას, რომლის ძირითადი დებულებები თქვენთან ერთად გამოვიმუშავე შარშან. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დადებული ხელშეკრულება ეთანხმება იმ მიზნებს, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის მშვიდობიან და მეგობრულ დამოკიდებულების დამყარებას და საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას“.



ამხ. ჩიჩერინი

ჩიჩერინის საპასუხო დეპეშა:

„გიძღვნით მხურვალე მადლობას სასიხარულო ამბისათვის ჩვენს ახალ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ. მოხარული ვარ, რომ მოლაპარაკებამ, რომელსაც მე ვაწარმოებდი შარშან კანცლერთან და თქვენთან, გამოიღო დადებითი და სასიამოვნო ნაყოფი. ეს ხელშეკრულება ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, როგორც მშვიდობიანი იარაღი საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად. ამ ხელშეკრულებაში კვლავ ტრიალებს რაპალოს სული, რომელიც საერთო მდგომარეობაზე კვლავ ახდენს კეთილ გავლენას.“

რეიხსტაგში

ბერლინი, 27 აპრილი. **გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც მთავრობამ რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიას გადასცა განსახილველად, მოწონებული იქნა ყველა ფრაქციების წარმომადგენლების მიერ.**

კონსტიტუციის თანახმად, ამ ხელშეკრულებას არ ესაჭიროება დამტკიცება რეიხსტაგის მიერ, მაგრამ უკანასკნელი უსათუოდ **ერთხმად** მოიწონებს მას.

ერთა ლიგის წრეებში.

ბერლინი, 27 აპრილი. როგორც ჟენევიდან იუწყებიან, ერთა ლიგის წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არ დააბრკოლებს გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში.

გერმანიის პრესა.

ბერლინი, 27 აპრილი. გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ტექსტი ნეიტრალიტეტის შესახებ გამოქვეყნებულია ყველა გაზეთებში. **პოლიტიკურ პარტიების მაგალითის მიხედვით, ყველა გაზეთები ესალმებიან ხელშეკრულების დადებას.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ ლიტვინოვის განცხადება, გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მშვიდობიან ხასიათის შესახებ, საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის 24 აპრილის სხდომაზე, სავსებით ეთანხმება გერმანიის თვალსაზრისს.

იტალიის პრესა.

რომი, 27 აპრილი. იტალიის პრესა გაცხოველებით იხილავს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

ფაშისტური გაზეთი „ტუვერე“ სწერს: **„გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება წარმოადგენს გერმანიის მიერ გამარჯვებულ სახელმწიფოების წინააღმდეგ დაწყებულ დიპლომატიურ ომის ახალ ფაზისს. იგი ამტკიცებს ლოკარნოს ხელშეკრულებით გამოწვეულ სულიერ განწყობილების მოდუნებას.** საბჭოთა მთავრობისათვის ხელშეკრულება წარმოადგენს უშუალო ბრძოლის თარიღს, პირველ რიგში ინგლისის და შემდეგ საფრანგეთის წინააღმდეგ. გერმანიის კავშირი რუსეთთან—არასასურველი ფაქტია ერთა ლიგისათვის“.

„ჯორნალე დ-იტალი“ სწერს: **„ახალ ხელშეკრულებას უსათუოდ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. გერმანიისათვის იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ძლიერი პოლიტიკის აქტს. რუსეთისათვის იგი წარმოადგენს იმ გეგმის განვითარებას, რომელიც გულისხმობს შეთანხმების მიღწევას ყველა იმათთან, ვინც მტრულად არაა განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი“.**

პოლონეთის პრესა.

ვარშავა, 27 აპრილი. „კურიერ პოლზენი“ იხილავს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ნეიტრალიტეტის შესახებ და აცხადებს, რომ ხელშეკრულება პირველ რიგში მიმართულია პოლონეთის წინააღმდეგ, ვინაიდან საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შემდეგ, პოლონეთი სამი მხრით იქნება გარსშემორტყმული მტრული კედლით.

ოსმალეთის პრესა

სტამბოლი, 27 აპრილი. ოპოზიციური ორგანო „იკდამ“ არჩევს საბჭოთა კავშირის და გერმანიის ხელშეკრულებას და სწერს:

„ხელშეკრულების დადება ბუნებრივი მოვლენაა. პოლონეთი და მცირე ანტანტა ამჟამად უნდა ცდილობდენ დაახლოვებას გერმანიასთან და საბჭოთა რუსეთთან“.

მმართველ წრეებთან დაახლოვებული „ენი სეზ“ სწერს:

„საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. ინგლისი ცდილობდა გერმანიის შეყვანას ერთა ლიგაში, რათა ის გამოეყენებია საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ. ეს მან ვერ მოახერხა. **ჩვენ ვულოცავთ ჩვენს რუს მეგობრებს თავის მდგომარეობის განმტკიცებას ევროპაში. საბჭოთა კავშირის და გერმანიის შეთანხმება—ეს მშვიდობიანობის და წონასწორობის დამყარების საწინდარია ევროპაში“.**

საბჭოთა პრესა

ფინანსიური ხელმოკლეობის დასაძლევად

დამზღვევ სალაროების ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრგან წარმოება-დაწესებულებათა, კერძოდ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანოთა დავალიანება დამზღვევ სალაროებისადმი მეტად დიდ თანხას აღწევს. არის შემთხვევები, როცა სულაც არ შეაქვთ კუთვნილი გამოსაღები. ამავე დროს გაიზარდა მუშა - მოსამსახურეთა დაავადების პროცენტი და ამის მიხედვით გადიდდა სალაროების ხარჯები. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ადგილი აქვს სიმულიაციას, ავადმყოფობის მოგონებას, სუსტადაა დაყენებული საქმო კანტროლი. გაზ. „ტრუდ“, აღნიშნავს რა ყველა ამას, ამბობს:

„დავალიანებასთან ბრძოლისა და მის სალიკვიდაციოდ გადაჭრილი ზომების მიღებასთან ერთად, საჭიროა დაიწყოს ბრძოლა სოცდაზღვევის საშუალებათა უფრო ფრთხილი გამოყენებისათვის და დახმარების გაცემაზე კანტროლის გაძლიერებისათვის. ამასთან დაკავშირებით, დამზღვევ სალაროების მოღვაწეობასთან საქმო კანტროლის დაკავშირების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს აუცილებელია გავაჩაღოთ განმარტებითი მუშაობაც მუშათა ორგანიზაციების საშუალებებისადმი დაზოგვითი დამოკიდებულების საჭიროების შესახებ, რომელი საშუალებები უნდა მოხმარდეს თავის პირდაპირ მოვალეობას. ამ მხრივ დამზღვევ სალაროებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ პროფკავშირებმაც. ამასთან დამზღვევ ორგანოების წინაშე სდგას ამოცანა ეკონომიის მკაცრი რეჟიმის შემოღებისა საშუალებათა ხარჯვის საქმეში საერთოდ და საორგანიზაციო საჭიროებაზე და აპარატზე კერძოდ“.

დავალიანების ლიკვიდაცია, დაუნდობელი ბრძოლა სიმულიაციასთან და ფხიზელი საქმო კანტროლის დაწესება, სათანადო ჰიგიენურ - სანიტარულ პირობების შექმნა, რაც შეამცირებს მუშების დაავადების რიცხვს, უკიდურესი მომჭირნეობა და გეგმიანობა მუშაობაში — აი მთავარი ღონისძიებანი, რომელთა გატარებით შესაძლებელია დამზღვევ სალაროების ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორება და დაზღვევის საქმის გაჯანსაღება.

◆

პირველი მაისისათვის

ვენა, 27 აპრილი. ბულგარეთის დამოუკიდებელმა პროფკავშირებმა წინადადება მისცეს რეფორმისტულ პროფკავშირებს გაერთიანებულად იდღესასწაულონ 1 მაისი. რეფორმისტულ პროფკავშირების გაერთიანებამ კომისია აირჩია მოლაპარაკების საწარმოებლად. რეფორმისტული გაერთიანება შეთანხმებულად გამოსვლის მთავარ პირობად აყენებს შემდეგს: გამოსვლა უნდა მოხდეს ამსტერდამის ინტერნაციონალის საპირველმაისო ლოზუნგებით და არავითარი დემონსტრაცია არ უნდა გაიმართოს ქუჩებში. დამოუკიდებელ და რეფორმისტულ პროფკავშირთა ორგანიზაციებმა სოფიაში დაადგინეს წინასწარ საერთო კრება მოიწვიონ პირველ მაისს. შეთანხმებულად გამოსვლა სოფიაში და მოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დამთავრდება მოლაპარაკება ცენტრალურ ორგანოებს შორის.

◆

ინგლისის ბიუჯეტი

ლონდონი, 27 აპრილი. ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში შეიტანა 1926—27 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის 8.126.410.000.000 მანეთს. შემოსავალი —8.047.000.000.000 მანეთს. „ჩემი ვარაუდი, განაცხადა ჩერჩილმა, დამყარებულია იმ მოსაზრებებზე, რომ მრეწველობაში შემჩნეული სიძნელენი თავიდან იქნება აცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობა იძულებული იქნება გაადიდოს პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრა ზარალის დასაფარავად“.

ფრანგების დამარცხება სირიაში

ფრონტებზე

ანგორა, 27 აპრილი. აპრილის პირველ რიცხვებში საფრანგეთის ჯარებმა განაახლეს შეტევა მეამბოხეთა წინააღმდეგ ჰერმონის მთების რაიონში. ხანგრძლივი საარტილერიო მზადების შემდეგ ფრანგები შეიჭრენ მეჯდელ-შამსში, სადაც მოხდა შეტაკება, რომელიც 12 საათი გაგრძელდა. ფრანგების მხრივ მსხვერპლი დიდია. ქალაქი მეჯდელ-შამსი სრულიად დანგრეულია ყუმბარებით.

ფრანგების წინსვლა შეჩერდა მეჯდელ-შამსში. მეამბოხეებმა ამ ჟამად თავი მოუყარეს თავიანთ ძალებს ადმანში, დამასკგერას რკინის გზის გასწვრივ.

ფრანგების ცდა ხელში ჩაეგდოთ ლიაჯის ველი, უშედეგოთ დამთავრდა.

მეჯდელ-შამსში ბრძოლის დამთავრების შემდეგ ფრანგების ჯარების მთავარ-სარდალმა გენერალმა ანდრეამ გამოაქვეყნა ბრძანება ჯარებისადმი. ბრძანებაში ნათქვამია, რომ მიუხედავათ დიდი დანაკლისისა საფრანგეთის ჯარების მხრივ, მათ მაინც უნდა განაგრძონ შეტევა ჯებელ-დრუზის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ ჩააქრონ აჯანყების მთავარი კერა.

უკანასკნელ ბრძოლების ადგილიდან ჩამოსული ლტოლვილები მოუთხრობენ საფრანგეთის ჯარისკაცების ძალადობათა შესახებ.

საფრანგეთის ჯარებში დეზერტირობამ ფართო ხასიათი მიიღო. საფრანგეთის კოლონიალური ჯარისკაცები მთელი ჯგუფებით გადადიან ინგლისის სანაპირო ჯარის ტერიტორიაზე, აბარებენ იარაღს და ითხოვენ სამშობლოში დაბრუნებას.

სირიის მეამბოხეთა ტაქტიკა

ანგორა, 27 აპრილი. სირიის მეამბოხეთა რაზმები, რომელთაც მეთაურობს ელო საკატი, ამ ჟამად ჰალებოში მიმართავენ ისეთსავე ტაქტიკას, როგორც ნიამ-ელ-ბატრის მეამბოხეთა რაზმები დამასკთან.

შეძლებულ მოქალაქეებს ახდევინებენ დიდ კონტრიბუციებს; ქალაქს გამუდმებით ესხმიან თავს, ფრანგებმა, მდგომარეობის გართულების გამო, დაიწყეს ჰალებოს გამაგრება სანგრებით და მავთულებით.

იბნ-საუდის აგიტაცია

ლონდონი, 27 აპრილი. ვახაბიტების მეთაურმა სულთან ნეჯდამ და ჰეჯასის მეფემ იბნ-საუდმა მიმართეს სირიაში მცხოვრებ ბედუინთა ტომებს მოწოდებით, რომელშიაც მოითხოვენ, **რომ მათ მიიღონ ვახაბიტების მოძღვრება და შეუერთდენ ნეჯდას. იბნ-საუდის აგიტაცია მღელვარებს იწვევს ფრანგებს შორის.**

ვახაბიტები, რომელთა სულიერ მეთაურათ, ანუ იმამად ითვლება იბნ-საუდი—მუსლიმანური სექტაა, რომელიც მიზნათ ისახავს ისლამის განთავისუფლებას ცრუმორწმუნეობისაგან.

სირიელ კომუნისტების საქმე

პარიზი, 27 აპრილი. სადღისათვის სირიაში ჩასვლის აკრძალვამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა დაპატიმრებული კომუნისტები, **„ზოგიერთი ბრალდებულები სრულიად უარს ამბობენ ჩვენებების მიცემაზე, სანამ მათ არ მიეცემათ დამცველები.**

სამხედრო მდგომარეობა

ანგორა, 27 აპრილი. იმის გამო, რომ ფრანგები შეტევაზე გადავიდენ დრუზების წინააღმდეგ: **ბეირუტში დიდი მღელვარება დაიწყო, განსაკუთრებით ქალაქის მუსლიმან მცხოვრებთა შორის. ამიტომ საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ბეირუტში სამხედრო წესები გამოაცხადა.** ქალაქში ჩხრეკა სწარმოებს. ქალაქიდან გასვლა სასტიკი კონტროლის ქვეშ სწარმოებს.

ბრძოლა სუეიდში

ლონდონი, 28 აპრილი. „დეილი მეილის“ სირიელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გაცხარებული ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა კვლავ აღმართეს თავისი დროშა სუეიდის სამხრეთ დასავლეთში, რომელიც სექტემბერში დრუზების ხელში იყო. დრუზებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ იძულებული გახდენ დაეხიათ მთებში.

◆

მოლაპარაკება რიფებთან

ლონდონი, 28 აპრილი. უჯდიდან მიღებული ცნობების თანახმად, რიფების დელეგატები დღეს გამოცხადდენ საფრანგეთის საკონსულოში. კონფერენცია გაიხსნა.

პარიზი, 28 აპრილი. უჯდის კონფერენციამ განიხილა ზომები საფრანგეთ-ესპანეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად, ეს ზომები მდგომარეობს შემდეგში: უნდა მოხდეს სტრატეგიული პუნქტების ოკუპაცია და განდევნილი იქნას აბდ-ელ-ქერიმი. კონფერენცია შეუდგა რიფების ოლქის ავტონომიის საკითხის განხილვას.

◆

საფრანგეთის არმიის რეფორმა

ლონდონი, 28 აპრილი. პენლევემ თემთა პალატაში განაცხადა, რომ შემცირებული იქნება სამხედრო სამსახურის ვადა. მისი განცხადებით რეფორმა აკმაყოფილებს ეროვნული თავდაცვის და ქვეყნის მოთხოვნილებებს.

პარიზი, 28 აპრილი. საფრანგეთის არმიის რეფორმის თანახმად კოლონიალური ჯარების რიცხვი უდრის 277.000 კაცს.

პროექტში გათვალისწინებულია ყველა მოქალაქეთათვის სამხედრო სწავლების საჭიროება.

პენლევემ თემთა პალატაში განაცხადა, რომ პროექტის მიღება საჭიროა მიმდინარე წლის ბოლომდე, რათა შესაძლებელი გახდეს კანონის შემოღება ერთი წლის სამხედრო სამსახურის შესახებ.

◆

ამუნდსენის ექსპედიცია

ლენინგრადი, 28 აპრილი. ტროცკში ამუნდსენის ექსპედიციის მონაწილეთათვის ჩამოიტანეს რეზინის ნავები. ისინი დაკეცილი მიმაგრებული იქნებიან სარტყელთან. ხოლო მაშველ ნავად, იმ შემთხვევაში, თუ დირიჟაბლი ზღვაზე დაეშვა მათ გაბერავენ ჰაერით და გამოიყენებენ.

ლენინგრადი, 28 აპრილი. პოლკოვნიკმა ნობილემ ამუნდსენს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც სთხოვს ნება დართოს მახლობელ დღეებში დირიჟაბლის შპიცბერგენში წაყვანაზე, სანამ იქ ელინგენის აგება დამთავრდებოდეს. თბილ ამინდს შესაძლებელია თოვა მოჰყვეს, რაც საფრთხეს ჰქმნის დირიჟაბლისათვის; დირიჟაბლის ზედაპირის დათოვლის გამო დირიჟაბლი მძიმდება რამოდენიმე ტონათი, რის გამო ის იძულებული გახდება დაეშვას დაბლა ან მიწაზე ან წყალზე, როგორი მდებარეობაც არ უნდა იყვეს.

◆

აღმოსავლეთის ცხოვრება

ეკონომიური კრიზისი პალესტინაში

ლონდონი, 27 აპრილი. **პალესტინაში ეკონომიური კრიზისი თანდათან იზრდება. მთავრობის მიერ დაპირებული თანხები საზოგადოებრივ სამუშაოთა მოსაწყობათ ხაზინამ არ გაიღო. ამ ცოტა ხნის წინად დაარსებული ქალაქი აფულეხი სავსეა უმუშევრებით.**

სიონისტების მუშათა ორგანიზაციამ „მისტადრუტმა“ სიონისტების ხელმძღვანელ წრეებს მიმართა მემორანდუმით, რომელშიაც აცხადებს, რომ ის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის მუშების მოსალოდნელ[illegible] მოსვლების გამო იმ შემთხვევაში[illegible] მათ არ აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება.

სიონისტური ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ვეიცმანმა** გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გაემგზავროს ამერიკაში ფულის შესაგროვებლად.

საარჩევნო კამპანია ეგვიპტეში

ანგორა, 27 აპრილი. ეგვიპტის ყველა ნაწილებში დაიწყო საარჩევნო კამპანია, რომლიდგანაც ირკვევა, რომ ცნობა ოპოზიციური პარტიების ბლოკის ჩაშლის შესახებ ნაადრევია.

ოპოზიციური ბლოკის კანდიდატები არსად არ გამოდიან ერთი მეორის წინააღმდეგ და ანვითარებენ ბრძოლას მთელს მხარეში.

აქამდის გამოქვეყნებულ საკანდიდატო სიების თანახმად ვაფდისტები (ზაგლულ ფაშის პარტია) გამოდიან 96 საარჩევნო ოლქში, ლიბერალები 21-ში, ნაციონალისტები კი [illegible] ოლქში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სამმა ოპოზიციურმა პარტიამ კანდიდატებათ წამოაყენეს თავიანთი ლიდერები, მაშინ როცა მთავრობის თავმჯდომარეს ზივარ-ფაშას და მინისტრების უმრავლესობას ჯერ თავიანთი კანდიდატურები არ წამოუყენებიათ.

◆

სხვადასხვა

— **ბანდიტი რომანეტი.** 26 აპრილს პოლიციის მიერ მოკლულ იქნა კორსიკანელი ბანდიტი რომანეტი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ავანტიურებით რომანეტის მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მოკლული ჰყავს ორ როტაზე მეტი პოლიციელი და მრავალი ბანდიტები, რომლებიც მტრულ განწყობილებაში იყვნენ მასთან.

— **გაფიცვა ვენაში.** ვენაში დაიწყო ლუდის სახდელ ქარხნების მუშების გაფიცვა, რომელიც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქარხნების პატრონებმა არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილება ლუდზე ფასების დაკლების შესახებ. მთავრობა კონფლიქტში ჩაერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანცლერის მიერ დანიშნული საექსპერტო კომისია გამოიტანს დადგენილებას, რომ არსებული ფასები ძლიერ გაზვიადებულია.

— **ეკონომიური კონფერენცია.** ბელგიის ყოფილი პრემიერი ტენისი არჩეულ იქნა დღეს ჟენევაში გახსნილ ერთა [illegible] ეკონომიურ კონფერენციის მომწვევ კომისიის თავმჯდომარეთ.

არეულობა კალკუტაში. ინდუსების და მაჰმადიანების შეტაკებას, რომელიც 6 დღე გრძელდებოდა, შედეგად მოჰყვა 48 მოკლული და 345 დაჭრილი.

არეულობა გრძელდება. უკანასკნელ დღეს მოკლულია კიდევ 10 და დაჭრილია 15.

უმუშევრობა ინგლისში. უკანასკნელ კვირაში უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრიდა 996.000 კაცს.

ინგლისის ნახშირის მრეწველობის დეფიციტი. ჩერჩილმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ **ნახშირის მრეწველობის დეფიციტი უკანასკნელ ხანებში უდრის 14 მილ. გირვ. სტერლ.,** ხოლო ვალის საერთო ჯამი—704.750.000 გირ. სტერლ.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია. 25 აპრილს ვენის ერთ-ერთ მსხვილ ლითონის წარმოებაში გაიმართა კრება, რომელზედაც ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრმა სოციალ-დემოკრატმა ლარესმა მუშ[illegible] გადასცა საბჭოთა მელითონეების [illegible] დროშის გადაცემას სხვა წარმოების[illegible] ბიც [illegible]ნენ.

უკანასკნელი ცნობები

ერთა ლიგა შეშფოთებულია

ბერლინი, 27 აპრილი. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ერთა ლიგის წრეებში ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ გერმანია-საბჭოთა კავშირის სამეგობრო ხელშეკრულებას.

ამ წრეებში გამოსთქვამენ აზრს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება წარმოადგენს ერთ უდიდეს პოლიტიკურ აქტთაგანს ომის შემდეგ.

ამ აქტის პრაქტიკულ შედეგების გათვალისწინება ამჟამად სავსებით შეუძლებელია.

ერთა ლიგის წრეებში ეთანხმებიან იმ აზრს, რომ გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებს უკანასკნელს დაიჭიროს ხანგრძლივი სამეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობა არა მარტო დასავლეთ სახელმწიფოებთან ერთა ლიგის საშუალებით, არამედ საბჭოთა კავშირთანაც.

გერმანიის დაახლოვებას საბჭოთა კავშირთან ხელი შეუწყო, აგრეთვე, ვერსალის ზავით შექმნილმა მდგომარეობამ და ერთა ლიგის უკანასკნელი სესიის მარცხმა.

ამ თვალსაზრისის მიხედვით, გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება წარმოადგენს ლოკარნოს იდეების ასე თუ ისე განვითარებისა და გაფართოების ილუსტრაციას.

ჟენევის დიპლომატიურ წრეებში მაინც გაისმის ხმები ორგვარ საფრთხის შესახებ, რომელსაც იწვევს ხელშეკრულების და თანდართული ნოტების ტექსტი.

ეს ხმები აღნიშნავენ, რომ მცირე ანტანტის შექმნისა, სახელმწიფოთა ჯგუფის დაარსების, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას და ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შემდეგ ფაქტად იქცევა მჭიდრო კავშირი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ევროპის პოლიტიკური განვითარება, რომელიც დამყარებული იქნება ასეთ რეალურ პოლიტიკურ ფაქტორებზე, არ შეიძლება არ ჩაითვალოს საფრთხედ ერთა ლიგის გაძლიერების პრინციპისათვის.

გარდა ამისა გამოსთქვამენ სერიოზულ შიშს იმის გამო, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც შეეხება ნეიტრალიტეტს, თითქოს არ ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც გერმანიისათვის ერთა ლიგის წესდების მე-16 და მე-17 პარაგრაფებიდან გამომდინარეობენ.

გერმანიის ვალდებულება ერთა ლიგის მიმართ, წმინდა თეორეტიულად შეიძლება შეთავსებულ იქნას იმ ვალდებულებასთან, რომელსაც აკისრებს მას ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ, პრაქტიკულად კი, ლიგის საბჭოში, რომლისთვისაც სავალდებულოა დადგენილებათა ერთხმად გამოტანა, ხშირად შეიძლება შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, რომელიც სავსებით დააუძლურებს ლიგას.

მაგალითისათვის ერთა ლიგის საბჭოში იძლევიან კითხვას: როგორი იქნება ლიგის მდგომარეობა პრაქტიკულად მაშინ, თუ საბჭოთა კავშირს ომი დაურჩა ერთა ლიგის წევრებთან: პოლონეთთან და რუმინეთთან.

მიუხედავათ ასეთი შიშისა, ერთა ლიგის წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება არ შეუშლის ხელს გერმანიის ერთა ლიგაში მიღებას და არ უქადის საფრთხეს ან და სავსებით განადგურებას ლოკარნოს“.

პირობები არ მიიღეს

ვაშინგტონი, 27 აპრილი. ვალების მომწესრიგებელმა კომისიამ უარყო საფრანგეთის შეერთებულ შტატებისადმი დავალიანების მოწესრიგების პირობები, რომელიც შემუშავებული იყო საფრანგეთის ელჩის ბერანჟესა და ამერიკის ფინანსთა მინისტრის მელლონის მიერ. მოლაპარაკება გრძელდება.

გენერლები კინკლაობენ

პეკინი, 27 აპრილი. პეკინის გარნიზონის უფროსად დანიშნული გენერალი ვან-გუან-ჩინი, რომელიც უ-პეი-ფუს მომხრეა, დღემდის არ შესდგომია თავის მოვალეობის შესრულებას, რადგან გარნიზონის ეხლანდელი [illegible] არ უთმობს მას თანამდებობას.

ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მუკდენისა და მოკავშირე ჯარების სარდალს არ სურს გადასცეს თავისი ჯარების უფროსობა უ-პეი-ფუს მომხრეს, რომელსაც თავის ჯარები არა ჰყავს პეკინში.

უ-პეი-ფუმ დეპეშით მეორეხელ მისცა წინადადება ვან-გუან-ჩინს შეუდგეს პეკინის გარნიზონის უფროსის შესრულებას.

პროლეტარული სოლიდარობა

პარიზი, 27 აპრილი. საფრანგეთის მაღაროს მუშათა კავშირის (შრომის უნიტარულ ფედერაციას ემხრობა) მდივანმა წარუდგინა წერილი მაღაროს მუშათა საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომს ბრიუსელში, რომელშიც აღნიშნულია ინგლისის სანახშირო მრეწველობაში მოსალოდნელ კონფლიქტის უდიდესი მნიშვნელობა.

ამასთანავე ერთად, საფრანგეთის მაღაროს მუშათა უნიტარული კავშირი წინადადებას აძლევს მაღაროს მუშათა ცენტრალურ ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყნებში გამოიმუშაონ ბრძოლის გეგმა საერთაშორისო მასშტაბით და განსაზღვრული ვადისათვის წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნილებათა სია. მაღაროს მუშათა უნიტარული კავშირი აღნიშნავს, რომ ინგლისის მაღაროს მუშებისათვის ნამდვილი დახმარების აღმოსაჩენად საჭიროა მაღაროს მუშათა საერთაშორისო გაფიცვა.

მდგომარეობა ჩინეთში

პეკინი, 27 აპრილი. „გოვენ“-ის სააგენტოს ცნობით, კანტონის მთავრობამ მიმართა სახელმწიფოებს დეკლარაციით, რომ დუან-ძჷი-ჟუის გაქცევის შემდეგ, ჩინეთში აღარ არსებობს ცენტრალური მთავრობა.

კანტონის მთავრობა დეკლარაციაში მოითხოვს ნაციონალურ კონფერენციის მოწვევას, რომელიც სუნ-იატ-სენის მოძღვრების პრინციპების მიხედვით მოაწესრიგებს ჩინეთის ქაოტიურ მდგომარეობას და გამოიმუშავებს ზომებს ჩინეთში მტკიცე მშვიდობიანობის დასამყარებლად.

კანტონის მთავრობა მოუწოდებს სახელმწიფოებს არ იცნონ პეკინის არც ერთი მთავრობა, სანამ ჩინეთში არ შეიქნება ნამდვილი გაერთიანებული და არჩეული მთავრობა.

კონტინენტის არც ერთი მუშა არ უნდა გახდეს შტრეიკბრეხერი

პარიზი, 27 აპრილი. იხილავს რა ინგლისის სანახშირო მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობას, საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ სწერს:

„საერთაშორისო სოლიდარობა, რომელიც წამოაყენა მაღაროს და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციამ და რომელსაც მხარი დაუჭირა პროფინტერნმა, განხორციელდება, მიუხედავათ იმისა, რომ ამსტერდამელები საბოტაჟს ეწევიან.

არც ერთი ტონა ნახშირი ლამანშის მიმართულებით.

კონტინენტის არც ერთი მუშა არ უნდა გახდეს უნებლიე შტრეიკბრეხერი.

გაფიცვა ნახშირის მაღაროებში

ვენა, 27 აპრილი. უნგრეთის შალგოტარიანის მსხვილ მაღაროების მუშებმა, რომელნიც ძალიან მცირე ხელფასს იღებენ, გამოაცხადეს გაფიცვა სამუშაო ხელფასის ხელახლა შემცირების გამო.

ჯალათები — პასუხისგებაში

ვარშავა, 27 აპრილი. კომუნისტურმა ფრაქციამ პოლონეთის სეიმში შეიტანა წინადადება კოალიციონური მთავრობის ყველა წევრების, მათ რიცხვში პეპესოველ (პოლონეთის სოც. პარტია) მინისტრებისაც, პასუხისგებაში მიცემის შესახებ, სტრიეში უმუშევართა დახვრეტის გამო.

პირველ მაისის წინ

პარიზი, 27 აპრილი. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიურანმა პირველ მაისობისათვის აკრძალა პარიზის ქუჩებში ყოველგვარი დემონსტრაციები.

ვენა, 27 აპრილი. უნგრეთის მთავრობის მაგალითით, რუმინეთის მთავრობამაც პროფკავშირებსა და სოც.-დემოკრატიულ პარტიას აუკრძალა საპირველმაისო გამოსვლების მოწყობა.

განკარგულების დამრღვევთ მოელით სამხედრო-საველე სასამართლო.

ფაშისტები ერთი-მეორეს დაერიენ.

პარიზი, 28 აპრილი. იტალიის გაზეთების ცნობით ტრიესტში და დეუდინში მოხდა შეტაკება მუსოლინის და ფარრინარის მომხრე ფაშისტებს შორის. შეტაკების შედეგათ ბევრი დაჭრილია.

ჩინეთის ახალი მთავრობა

ბერლინი, 28 აპრილი. უ-პეი-ფუმ და ჩან-ძო-ლინმა დაავალეს ვეელინ-გტონკუს ჩინეთის ახალი მთავრობის შედგენა.

პრეზიდენტის საკითხი ჯერ არ არის გამორკვეული.

ბალტიის სახელმწიფოთა ფედერაცია.

ბერლინი, 28 აპრილი. სწარმოებს მოლაპარაკება გაერთიანებული კომიტეტის შესახებ ლატვიასა და ესტონიას შორის, ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების მონაწილეობით. ეს კომიტეტი განაგებს ორივე სახელმწიფოს საერთო საგარეო, საშინაო, ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხებს. ფიქრობენ, რომ კომიტეტის დაარსება საფუძველს ჩაუყრის [illegible]თა ფედერაციის შექმნას.

ბალდუინი გამოსავალს ეძებს

ლონდონი, 28 აპრილი. მოლაპარაკების მწარმოებელმა ქვეკომისიამ დღეს გაუკეთა მოხსენება მაღაროს მეპატრონეთა საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს.

ამასთანავე მემაღაროეთა ფედერაციის სადელეგატო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა მემაღაროეთა აღმასრ. კომიტეტი.

ბოლდუინის ჩარევით მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა.

მაღაროს მეპატრონეებმა ბოლდუინთან თათბირის შემდეგ განაცხადეს, რომ ისინი თანახმა არიან სამუშაო ხელფასის საკითხის ნაციონალურ მასშტაბით განხილვაზე.

დანიშვნები

მოსკოვი, 28 აპრილი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა **ქუზნეცოვი** დანიშნულ იქნას საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მეორე მოადგილეთ.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა **მინკინი** დანიშნულ იქნეს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

ფინეთის კოოპერატორების დელეგაცია

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის კოოპერატორების დელეგაცია 6 კაცის შემადგენლობით.

მონღოლეთის დელეგაცია

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს მონღოლეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც მოსკოვში იმყოფება, ეწვია განათლების სახალხო კომისარს **ლუნაჩარსკის**. დელეგაცია გაეცნო სახალხო განათლების მდგომარეობას რ. ს. ფ. ს. რ-ში, კერძოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ახალგაზრდებს შორის და მუსიკალურ განათლების საქმის დაყენებას.

განათლების სახალხო კომისარიატიდან დელეგაცია გაემგზავრა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, სადაც მას სვიდერსკი შეხვდა.

ფოტო-კინოტრესტი

მოსკოვი, 28 აპრილი. ვინაიდან საბჭოთა კავშირში ფოტო-კინო-აპარატების და მასალების ნაკლებობაა და ამავე დროს საჭიროა მრეწველობის განვითარება, **საბჭოთა რუსეთის სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო მოეწყოს სპეციალური ტრესტი**, რომელიც გააერთიანებს მრეწველობის ამ დარგს. ტრესტი იქნება საბჭოთა რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში. საშუალებათა ნაკლებობის გამო პირველ ხანებში ტრესტის მუშაობა განისაზღვრება მხოლოდ ფოტო-წარმოებით.

ფორდის კომისია

მოსკოვი, 28 აპრილი. ამ დღეებში მოსკოვიდან უკრაინაში გამგზავრების წინ **„ფორდის“ ინჟინრების ერთმა ჯგუფმა ინახულა „სელსკოსოიუზი“. ინჟინრები იჩენენ დიდ ინტერესს ამერიკულ ტრაქტორების გამოყენებისადმი საბჭოთა კავშირში.** ამასთანავე ერთად ისინი არკვევენ საკითხს საბჭოთა კავშირში—სტალინგრადში ან სხვაგან ამერიკულ ქარხნის აშენების შესახებ. ინჟინრებს განზრახული აქვთ გაეცნონ ტრაქტორების გამოყენების ნიმუშებს უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

თბილისში გამოფენის გათავების შემდეგ განზრახულია ტრაქტორების გაგზავნა ჩრდილოეთ-კავკასიაში და შემდეგ ვოლგის გზით ჩრდილოეთსაკენ.

ტურნეს დასრულების შემდეგ ინჟინრებს განზრახული აქვთ ინახულონ „სელსკოსოიუზი“ და გაუზიარონ მათ თავისი შთაბეჭდილებანი.

პურის ბაზარი

მოსკოვი, 28 აპრილი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მთავარ ეკონომიურ სამმართველომ მოისმინა მოხსენება მსოფლიო სამეურნეო კონიუნქტურაზე და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეურნეობის კონიუნქტურაზე გასულ ნახევარ წელში.

გამოირკვა, რომ **პურის მსოფლიო ბაზარი ამჟამად ხორბალზე ფასის განმტკიცების გამო საბჭოთა კავში**[illegible]**რებულ იქნა ზედნართი ხარჯები, პურის ექსპორტი ჩვენთვის მეტად სარგებლიანი იქნება.**

უ კ რ ა ი ნ ა

საჰაერო მიმოსვლა მოსკოვ-თბილისს შორის

ხარკოვი, 28 აპრილი. უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სამმართველომ ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატთან მოლაპარაკების შემდეგ, **გადასწყვიტა საჰაერო ხაზი მოსკოვი-ორიოლი-ხარკოვი-მინერალნიე ვოდი, რომელიც 5 მაისს უნდა გაიხსნას, გაგრძელებული იქნას გროზნო-დერბენტ-ბაქო-თბილისადმე.**

ამგვარად, დაიწყებს მოქმედებას საბჭოთა კავშირში 2.500 კილომეტრის მანძილზე. გადაფრენა მოსკოვიდან-თბილისში მოხდება 21 საათში. ამ ხაზს ექნება უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა, ვინაიდან იგი აკავშირებს საბჭოთა კავშირს ახლო-აღმოსავლეთთან.

ამ გზით გადაგზავნილი იქნება ფოსტა დასავლეთ-ევროპიდან სპარსეთსა, ავღანისტანსა და ინდოეთში.

კონსერვატორების დელეგაცია

მოსკოვი, 28 აპრილი. 26 აპრილს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი მიიღეს ინგლისის პარლამენტის წევრ-კონსერვატორებმა —მრეწველმა ფრანკ **ნელსონმა**, პოლკოვნიკმა **გიერმა** და ჟურნალისტმა **რობერტ ბუტბიმ**.

სააგენტოს თანამშრომელი შეეკითხა დელეგატებს, რა შეუწყობს ხელს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამაზე დელეგაციის მეთაურმა **ნელსონმა** უპასუხა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს მხოლოდ ერთმანეთის უკეთესად გაგება.

ამ მიზნით ჩვენ ჩამოვედით საბჭოთა კავშირში, როგორც ინგლისის მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა წრეებმა არ იციან, რა ხდება საბჭოთა კავშირში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსოფლიო მეურნეობის აღდგენა და ნორმალური განვითარება შეუძლებელია საბჭოთა კავშირის გარეშე.

შეკითხვაზე,—თუ როგორ უცქერის ინგლისის საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას—ნელსონმა უპასუხა, რომ **ინგლისის საზოგადოებრივი აზრი თანაგრძნობით უცქერის საბჭოთა კავშირის თვითეულ ნაბიჯს, რომელიც მიმართულია ევროპის ქვეყნებთან დაახლოვებისაკენ, ვინაიდან ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირის მოქცევას მსოფლიო მეურნეობის საერთო სისტემაში.**

რვა პროცენტიანი სესხი

მოსკოვი, 28 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კანონ-პროექტი ახალი რვა-პროცენტიანი სესხის გამოშვების შესახებ განიხილეს საკანონმდებლო ორგანოებმა. ამის გამო ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს სახელმწიფო სესხების განყოფილების გამგემ **ეპშტეინმა** შემდეგი განაცხადა:

„რადგან 1924 წელს გამოშვებული პირველ რვა პროცენტიან სესხის გასაღება თითქმის დამთავრდა, **საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წარმოუდგინა საკანონმდებლო ორგანოებს პროექტი მეორე 8 პროცენტიან შინაურ სესხის გამოშვების შესახებ.**

ახალი სესხი გამოშვებულ იქნება წინანდელ საფუძველზე მცირე ცვლილებებით, რომელნიც შემდეგში მდგომარეობენ: პროექტის თანახმად გამოშვებული უნდა იქნეს სესხის დამატებითი კუპიურები 50 და 500 მანეთიანები. ამ სესხის მეორე თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ის მიიღება საბაჟო და ვადა-გაგრძელებულ გადასახადების მაგიერ.

საკავშირო ცაკის სესიის შედეგები

ამხ. კალინინის განცხადება.

მოსკოვი, 28 აპრილი. კალინინმა საუბარში საკავშირო ცაკის სესიის შედეგების შესახებ განაცხადა:

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამჟამად ჩვენი უმთავრესი მიზანია საწარმოო ძალების განვითარება; ამასთან უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსები.

საკავშირო ცაკის უკანასკნელმა სესიამ თავისი ყურადღების ცხრამეათედი ფინანსიური ხასიათის საკითხებს მოანდომა. ცაკის უკანასკნელ სესიაზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ცაკის წევრების აქტივობა, საკითხების განხილვის დროს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიაში კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 120 კაცმა, ხოლო ადგილობრივ ფინანსების დებულების გამომმუშავებელ კომისიაში—50-მდე კაცმა.

უწინდელ სესიაზე პროვინციიდან ჩამოსული წევრები ცდილობდენ ჩქარა გაბრუნებულიყვნენ უკან და აჩქარებდენ მუშაობას, ეხლა კი პირიქით, ყველას უნდოდა უფრო დეტალურად შეჩერება კანონ-პროექტებზე.

საინტერესოა ის, რომ თითქმის ადგილი არ ჰქონია უპარტიო გლეხების საგიტაციო გამოსვლას. გამოდიოდენ წერილობითი შეკითხვებით და ციფრებით კონკრეტიულ საკითხების შესახებ.

ერთის სიტყვით, ადგილებზე კონკრეტიულ მუშაობაში ჩაბმული ხალხი ეკონომიის რეჟიმს იცავდენ საკანონმდებლო მუშაობაში.

სესიის სხდომებს სტუმრების სახით დაესწრო მრავალი გლეხთა დელეგაცია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ჩვენი პრესის, განსაკუთრებით კი „საკავშირო ცაკის იზვესტია“-ს მიერ წარმოებული დიდი წინასწარი მუშაობა.

ყველა ზემოდ აღნიშნული მოწმობს, რომ სესიის მუშაობა სერიოზულ პოლიტიკურ მოვლენად ხდება ჩვენი კავშირის ცხოვრებაში“.

საბჭ. კავშ. სავაჭრო წარმომადგენლობის თათბირი

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს საგარეო და შინაურ ვაჭრობის სახალხო კომისრის კამენევის თავმჯდომარეობით გაიხსნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელთა თათბირი.

კამენევმა თათბირის გახსნისას აღნიშნა, რომ ამჟამად ჩვენი საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხი უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოსათვის.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ, გასული წლების მაგალითის მიხედვით, მოიწვია ეს თათბირი იმ მიზნით, რომ თათბირმა გააშუქოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე მდგარი საკითხები, რომელნიც ქვეყნის საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან არიან დაკავშირებული.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი მოხსენებები: სახალხო კომისრის კამენევის—საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საერთო ამოცანებზე, კომისრის მოადგილე ფრუმკინის—საექსპორტო და საიმპორტო მუშაობის ამოცანებზე, კოლეგიის წევრის—ექსპორტ-იმპორტის საზოგადოებათა ამოცანებზე, სატრანსპორტო სამმართველოსი—კომისარიატის სატრანსპორტო პოლიტიკაზე.

ანტირელიგიური პროპაგანდა

მოსკოვი, 28 აპრილი. 27 აპრილს გაიხსნა საკავშირო თათბირი ანტირელიგიურ პროპაგანდის საკითხებზე. თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა იაროსლავსკიმ, რომელმაც განაცხადა:

„უკანასკნელ დროს ადგილებზე თავი იჩინა ლიკვიდატორულმა განწყობილებამ ანტირელიგიური პროპაგანდის მიმართ. ლაპარაკობენ ურწმუნოების კავშირის წრეების ლიკვიდაციის შესახებ. მეორე მხრით ამხანაგების ერთი ნაწილი მეორე უკიდურესობაში ვარდება და ფიქრობს, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ფართო მასებს განემარტოთ, რომ სარწმუნოება კაპიტალის მსახურია.

თათბირმა უნდა გამოასწოროს, როგორც ერთი, ისე მეორე ხაზი. თათბირმა უნდა გამოარკვიოს საკითხი—როგორი უნდა იყვნენ ჩვენი ანტირელიგიური ორგანიზაციები—წმინდა პარტიული თუ ფართო უპარტიო. უნდა გადავსწყვიტოთ აგრეთვე—როგორ ვაწარმოოთ ანტირელიგიური პროპაგანდა სექტანტებს შორის“.

პარტიული ცხოვრება

თბილისის პარტაქტივის კრება

(ამხ. ა ნაზარეტიანის მოხსენა)

გუშინ, საღამოს 6½ საათზე, წითელ თეატრის დარბაზში შესდგა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ა. ნაზარეტიანის ვრცელი მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმის მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა

„მოისმინა რა ამხანაგ ნაზარეტიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმის მუშაობაზე, თბილისის პარტიულ აქტივის საერთო კრება სავსებით და მთლიანად უერთდება ცეკას პლენუმის დადგენილებებს.

1. საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმი, მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სრულიად სამართლიანად აყენებს ჩვენი პრაქტიკული ეკონომიური პოლიტიკის ქვაკუთხედათ ქვეყნის სისტემატიურ და გეგმაშეწონილ ინდუსტრიალიზაციას.

2. მხოლოდ მძიმე მრეწველობის განვითარება უზრუნველჰყოფს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის მეურნეობის სრულ დამოუკიდებლობას კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, აღმოფხვრის ისტორიულ მიზეზების გამო დამყარებულ შეუფარდებლობას მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის მოსპობს საქონლის ნაკლებობას, რომელსაც ეხლა განიცდის სახელმწიფო, განამტკიცებს და გააძლიერებს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს და უზრუნველჰყოფს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

3. ძველი ქარხნების გადახალისება და ახლების აგება შეუძლებელია სოციალისტ. დაგროვებს გარეშე ქვეყნის შიგნით. ამიტომ, საერთო კრება აუცილებელ საჭიროებათ სთვლის მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის გატარებას სახელმწიფო თანხების ხარჯვაში და სესხების და ანაბარების გზით მოსახლეობაში დაგროვილ საშუალებათა მოზიდვას, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად.

4. სოციალისტურ მშენებლობის სიძნელეთა გადალახვა და პლენუმის დირექტივების ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტიის შიგნით დაცული იქნება ფოლადისებური, ლენინური სიმტკიცე და მთლიანობა, პარტიის წინამძღოლის — საკავშირო კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობით“.

სადღეისო საკითხი

ამხ. სტალინმა ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე სადაც ის სხვათა შორის ლაპარაკობდა მომჭირნეობის მტკიცე რეჟიმის გატარებაზე, შემდეგი განაცხადა:

„საშუალებების გონივრულად და ანგარიშიანად ხარჯვა დიდი ოსტატობაა, რომელიც ერთბაშად არავის ეძლევა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა საბჭოთა და კოოპერატიულმა ორგანოებმა თავი ისახელეს ამ მხრივ. პირიქით, გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ ჩვენში საქმე ამ მხრივ სრულიადაც არ არის ისე, როგორც საჭიროა. ამის აღიარება ძნელია, ამხანაგებო, მაგრამ ეს ფაქტია და მას ვერ დავფარავთ ვერაფერი რეზოლიუციებით.

არის შემთხვევები, როცა ჩვენი მმართველი ორგანოები ვარდებიან იმ გლეხის მდგომარეობაში, რომელმაც დააგროვა ცოტაოდენი თანხა და იმის ნაცვლად, რომ შეეკეთებინა გუთანი და თავისი მეურნეობა გაეუმჯობესებინა, იყიდა უზარმაზარი გრამაფონი და გაღატაკდა. მე უკვე არაფერს ვამბობ დაგროვილ რეზერვების პირდაპირი გაფლანგვის ფაქტებზე, ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის ზოგიერთ ორგანოს უძლურებაზე, და ქურდობაზე“. აი, როგორ დაახასიათა ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ორგანოების ხელგაშლილობა.

ამრიგად, მომჭირნეობისა და თანხების მიზანშეწონილად გამოყენებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის დღის წესრიგშია დასმული. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენი პარტიის ძირითადმა ორგანიზაციებმა თვითეულ დაწესებულებისა და წარმოების ფარგლებში უნაყოფო ხარჯების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა სწარმოებდეს. რასაკვირველია, უჯრედები და ბიუროები არ უნდა ჩაერიონ უშუალოდ დაწესებულებათა საქმიანობაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია პარტიული კანტროლის დაწესება ამ მხრივ დაწესებულების საქმიანობაზე.

დაწესებულება - წარმოების უჯრედების კრებებზე ხშირად უნდა ისმებოდეს, სამეურნეო დარგში მომუშავე კომუნისტების ანგარიშები, უნდა სწარმოებდეს სამუშაო გეგმის განხილვა და საქმიანი კრიტიკა ამა თუ იმ მოხსენების გარშემო. რასაკვირველია, მოხსენება არ უნდა იყოს მშრალი, საერთო ფრაზებით შედგენილი და „რიხიანი“. მომხსენებელი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას და უჯრედის წინაშე შინაარსიან მოხსენებით უნდა გამოვიდეს. ცხადია, თუ პარტიის თვითეული წევრი არ განიმსჭვალა ღრმად მომჭირნეობის სასტიკად გატარების აუცილებლობით, ისე ამ საქმეში ბევრს ვერას გავხდებით.

უჯრედებში ამ საკითხზე შესაფერისი კამპანია უნდა ჩატარდეს. მომჭირნეობა უნდა იქნეს დაცული ყოველგან. კერძოდ სასტიკად უნდა შემოკლდეს ხარჯები სადღესასწაულო დღეების და რევოლიუციონურ უქმეების აღსანიშნავად. ამის შესახებ საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება არსებობს და ის მტკიცედ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

ახლოვდება პირველი მაისი. პარტორანიზაციებმა უნდა მიიღონ შესაფერისი ზომები, რათა უნაყოფო ხარჯები, ზედმეტი „მორთულობისა“ და „გამშვენიერებისათვის“ წელს მაინც იქნეს აცილებული თავიდან.

ბანიძე.

ქალთა განყოფილებების გამგეთა [illegible] თათბირი

26 აპრილს შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა კომისიების მუშაობის ანგარიში და დამტკიცდა წარმოდგენილი რეზოლიუციები. შემდეგ თათბირმა განიხილა ქალთა განყოფილების მუშაობის სამთვიანი გეგმა და დაამტკიცა ქალთა განყოფილებათა მუშაობა.

სამთვიანი გეგმით გათვალისწინებულია მთელი რიგი თათბირების მოწვევა ქალთა შორის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხების გასარჩევად, დელეგატ ქალთა მუშაობის აღრიცხვის მოწესრიგება, პარტყრილობებისა და თათბირების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში სისწორით გატარებისათვის თვალყურის დევნება და სხვა.

სამი დღის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ თათბირი ორშაბათ საღამოს დაიხურა.

№

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა სოფლად.

(ახალციხის მაზრაში).

ახალციხის სამაზრო პარტ-ორგანიზაციაში აგიტპროპ მუშაობის უმთავრეს მიღწევად ჩაითვლება პარტ-განათლების წარმოება.

მაზრაში 12 პოლიტსკოლაა, რომლებშიც სწავლობს 220 პარტიული ამხანაგი. ჩატარებულ იქნა სასოფლო და საქალაქო პოლიტ-ცოდნის სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საპროგრამო-მეტოდიური საკითხები და აგრეთვე მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

სამაზრო აგიტპროპ განყოფილებასთან დაარსებულია მეტოდიური კომისია, რომელიც აწვდის სკოლებს საპროგრამო და მეტოდიურ მასალებს. ქალაქად (ახალციხე) არის აგიტატორების წრე (პროფკოლექტივი) პროპაგანდისტების კადრის წამოყენების და მომზადებისათვის.

უკანასკნელ ხანებში სამაზრკომის აგიტპროპ განყოფილება აწარმოებდა მე-14 პარტყრილობის დადგენილებათა განხილვას და შესწავლას, როგორც ქალაქად, ისე ადგილებზე.

სოფლად მე-14 პარტყრილობის შედეგებზე მოხსენებების ჩასატარებლად სამაზრკომის მიერ იყო გამოყენებული მომზადებული პარტიული ამხანაგები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩატარებული კამპანიები გლეხობის შორის იწვევს დიდ ინტერეს. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა პირველ მაისის დღესასწაულის კამპანიის ჩასატარებლად. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა სოფლად მოისუსტებს. მაზრაში არის 9 ქოხ-სამკითხველო, თვეში ყოველ ქოხ-სამკითხველოს საშუალოდ 200-250 კაცი მიდის, ქოხ-სამკითხველოები დაშორებული არიან ცენტრიდან, ქოხ-სამკითხველოს გამგეები არ არიან სათანადოთ მომზადებული. ლიკ-პუნქტებში ჩაბმულია სულ 869 კაცი. გატარდენ ლიკ-პუნქტებში 427 კაცი.

ნებაყოფლობითი საზოგადოებანი მაზრაში სუსტად მუშაობენ. ამჟამად სამაზრო პარტკომის მიერ მიღებულია ზომები ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობაზე ხელმძღვანელობის გასაძლიერებლათ.

ჯ.

მუშაობა სუსტი იყო

(მუშკოოპის უჯრედი)

21 აპრილს, მოხდა ბიუროს ხელახალი არჩევნები მუშკოოპის უჯრედში.

მდივნის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პირველ ხანებში ბიურო ძლიერ სუსტათ მუშაობდა, რადგან ამხანაგები ძლიერ დატვირთულნი იყვნენ სხვადასხვა მუშაობით და გამოუცდელებიც იყვნენ პარტმუშაობაში. შემდეგ ეს ნაკლი თანდათანობით გამოსწორდა. უჯრედის მიერ არჩეულ კომისიების მუშაობა სუსტი იყო.

მოხსენების გარშემო ძალიან მკრთალი კამათი გაიმართა, რის შემდეგ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი. დასასრულ არჩეულ იქნა ახალი ბიურო. უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედის წევრთა პოლიტგანვითარების დონე არ არის შესაფერის დონეზე.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს უჯრედის ახალმა ბიურომ, რომელშიც სხვათა შორის, საკმაოთ გამოცდილი ამხანაგები არიან არჩეული.

შ. ქ—ძე.

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1926 წ. მარტში *)

(საქ. სახელმ. საგეგმო კომისიის სტატ. სექციის კონიუნქტურული მიმოხილვა

IV. საქონლის ფასები.

25. საცალო ფასების საერთო დონე საქართველოს ქალაქებში 1913 წ. შედარებით, რომელიც ჩვენ მიერ აღებული არის 100-თ, 228,7 უდრის პირველ აპრილისათვის — პირველ მარტთან შედარებით 0,8% [illegible]ბით; ამავე ხნისათვის სას.-სამ. საგნების ინდექსი 194,1 უდრის, ხოლო სამრეწველო საგნების—259,6 შეადგენს. წინა თვესთან შედარებით, თუმცა ორივე საქონლის ჯგუფის სუბინდექსი კლებულობს, მაგრამ სამრეწველო საგნების უფრო მეტად (—1%), ვიდრე სას.-სამ. საგნების (—0,4%). ამასთან დაკავშირებით, „მაკრატლის წვერები“ ახალ დაახლოვებას იძლევა (—2,1%). სას.-სამ. და სამრეწველო საგნებს შორის არსებული დაშორება სულ 28,6 პუნქტს-ღა უდრის; თუ გავიხსენებთ, რომ შარშან ამ დროს ეს განსხვავება 33 პუნქტს შეადგენდა, მაშინ ნათელია ჩვენი მიღწევანი ქალაქის და სოფლის ნაწარმოების ფასების ურთიერთ დაახლოვებაში.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მასშტაბით ბოსტნეულ - ხილეულის სუბინდექსი უცვლელია, მატულობს ხორცეულის, ფეხის, განათება-გათბობის და ტანსაცმლ-ფეხსაცმლის სუბინდექსი, ხოლო კლებას გვაძლევს პურეულის, ცხიმეულის, საბაყლო-სასურსათო, საბაყლო არა სასურსათო და დანარჩენ საგნების სუბინდექსი.

26. თბილისის ბაზარზე მოხმარების მთავარი საგნების საბითუმო და საცალო ფასების მოძრაობას შემდეგი ახასიათებს: ყუბანის ხორბლის ფქვილის ფასმა იმატა, როგორც საბითუმო ვაჭრობაში (+2,6%), ისე საცალოში (+5,3%); ადგილობრივ ხორბალის ფქვილის ფასი კლებულობს, ხოლო სიმინდის ფასი უცვლელია. უცვლელად რჩება აგრეთვე ფასები ძროხის ხორცზე, ჩაიზე, შაქარზე, მარილზე და ნავთზე, როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაში.

27. რაც შეეხება დანარჩენ ქალაქების და სასოფლო პუნქტების საქონლის ფასების მერყეობას, აქ შემდეგს ვხედავთ:

პურეულის ფასი, წინა თვეში აღნიშნული საერთო მატების წინააღმდეგ—საანგარიშო თვეში საყოველთაოდ კლებულობს, რაც ახსნილ უნდა იქნას, როგორც პურეულით ბაზრის საკმაო მომარაგებით, ისე ნათესების იმ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით, რომლითაც ხასიათდება იგი ამჟამად. რასაკვირველია, ამაზე გავლენა იქონია აგრეთვე სიმინდის დამზადების დაწყების დაგეგმებამ, რომელიც წინასწარი ვარაუდით 500 ათ. ფ. რაოდენობით უნდა შესრულებულიყო და დღემდის კი მისი დამზადება სულ არ დაწყებულა.

ღვინის ფასების ზრდა, რომელიც გამოწვეული იყო ამ უკანასკნელ თვეებში მას[illegible] მოთხოვნილებებით, საანგარიშო თვეში სოფლად ეცემა—5,1% დას. საქართველოში და 2,5%—აღმ. საქართველოში; რაც შეეხება ქალაქად მისი ფასის მოძრაობას, იგი აქ კვლავ იზრდება, მაგ., დას. საქართველოში +3,1% და აღმოსავლეთ საქართველოში +9,6%.

ნატეხი შაქრის ფასი აღმ. საქართველოს ქალაქებში უცვლელია, ხოლო დანარჩენ პუნქტებში კლებულობს; ფხვნილი შაქრის ფასს კი აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქად და სოფლად ზრდა ემჩნევა, ხოლო დასავლეთ საქართველოში შემცირება დაეტყო.

ჩითის და ნარმის ფასს, წინა თვეში აღნიშნულ ცოტაოდენი შემცირების მაგიერ, საანგარიშო თვეში უკვე საყოველთაო შემცირება ახასიათებს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ქალაქებში და სოფლებში.

რაც შეეხება ლურსმანის ფასს, იგი კვლავ ერთ დონეზეა—შემცირების შემჩნევით მთელ აღმ. საქართველოში და დას. საქართველოს ქალაქებში.

V. კრედიტი და ფინანსები.

27. საანგარიშო თვის განმავლობაში კრედიტის დარგში საერთოდ ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, რაც ახასიათებდა წინა თვეს—ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების შეკუმშვის პირობებში—სესხის და განაღდე-სალაროს 4,1% შემცირებასთან ერთად, და საკავშირო მასშტაბით საბანკო კრედიტის შეკუმშვის პირობებში—სესხის და განაღდებათა ნაშთის 2,4% დაკლება.

სესხის და განაღდების საერთო ნაშთი 53,9 მილ. მან. უდრის,—მისი შემცირება საქართველოს ბანკებში უფრო ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ ბანკებში.

ანაბართა და სახელდახელო ანგარიშების საერთო ნაშთი 12,7 მილ. მან. შეადგენს; საქართველოს ბანკებში იგი 5,5% შემცირდა, ხოლო დანარჩენ ბანკებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საანგარიშო თვეში ანაბართა ნაშთის შემცირება მოგვცა კოოპერაციამ (—10,7%), სახელმწიფო ორგანიზაციებმა (—8%) და საკრედიტო დაწესებულებებმა (—6,4%). რაც შეეხება დანარჩენ კლიენტთა ჯგუფებს—ყველა მათგანის ანაბართა ნაშთი მატულობს და უფრო საგრძნობლად კი—შერეულ საკონცესიერო საზოგადოებათა (+35,2%), კერძო კლიენტურის (+24,7%) და სხვ.

რაც შეეხება სალაროებს, მათი საერთო ჯამი 955 ათ. მან. უდრის და მატულობს საქართველოს ბანკებში (+48,1%), ხოლო მცირდება დანარჩენ ბანკებში.

28. სესხის და განაღდების ნაშთი ცალკე კლიენტთა ჯგუფების მიხედვით, ასეთ სურათს გვაძლევს: გარდა კომუნალურ მეურნეობის, ყველა ჯგუფის სესხი შემცირდა და უფრო საგრ[illegible] კოოპერაციას (—14,2%), სახელმწიფო ორგანოებს სესხი ყველა დარგებში შეუმცირდა—გარდა მრეწველობის, რომლის კრედიტიც 10,7%-ით იზრდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბანკებისაგან სახელმწიფო ორგანოებს სესხი გაუდიდდა, იმ დროს, როდესაც დანარჩენ ბანკებმა იგი საგრძნობლად შეამცირეს (—8,8%).

კოოპერაციიდან სესხი გაუდიდდა შინამრეწველობას, იმ დროს, როდესაც დანარჩენ დარგებს შეუმცირდა, მაგ., სას.-სამ. კოოპერაციას—27,1%-ით და სამომხმარებლო კოოპერაცის კი—9,3%-ით.

კერძო კლიენტურის საერთო დავალიანება 8,2% შემცირდა; აღსანიშნავია, რომ კერძო კლიენტურას მხოლოდ მრეწველობაში შეუმცირდა სესხი (—41,3%) და ყველა დანარჩენ დარგებში კი გაუდიდდა, მაგ., ვაჭრობაში +7,9%, სოფლის მეურნეობაში +24,2% და დანარჩენ დარგებში +52,9%.

საერთოდ, ცალკე კლიენტთა ჯგუფების მონაწილეობა თითქმის იმავე %%-ში იხატება, როგორც წინა თვეში იყო აღნიშნული.

29. საანგარიშო თვის განმავლობაში ა.-კ. გაერთიანებულ დაწესებულებათა და საქართველოს ორგანიზაცია-კლიენტურას სესხი შეუმცირდა (12 და 3,9%%), საკავშირო ორგანიზაციათა დავალიანება უცვლელია, ხოლო ა.-კ. დანარჩენ რესპუბლიკების ორგანიზაციათა დავალიანების ნაშთმა 14,7%-ით იმატა. ამნაირად, წინა თვეში საქართველოს ორგანიზაციებისათვის აღნიშნული კრედიტის შემცირება საანგარიშო თვეში კვლავ ინტენსიურად გრძელდება.

სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებიდან დავალიანების ნაშთის მატება მოგვცა კომუნალურმა მეურნეობამ (+2%), მრეწველობამ (+5%), საკრედიტო დაწესებულებებმა (+8,3%) და „დანარჩენმა“ დარგებმა (+30,4%) იმ დროს, როდესაც სესხი შეუმცირდა ტრანსპორტს (—19%), სოფლის მეურნეობას (—15,1%) და ვაჭრობას (—9,2%).

საერთოდ, როგორც ცალ-ცალკე მეურნეობის დარგთა, ისე ცალკე რესპუბლიკანურ ორგანიზაციათა მონაწილეობა საერთო დავალიანებაში თითქმის იმავე %%-ით იხატება, რაც თებერვლისათვის აღვნიშნეთ.

თებერვალთან შედარებით თბილისში, ბათომში, ქუთაისში და ფოთში განსაჩივრებულ თამასუქების რიცხვი და მათი საერთო თანხა საგრძნობ მატებას იძლევა (34,1 და 15,7%%); იმ დროს, როდესაც კერძო კლიენტთა განსაჩივრებულ თანხების ჯამი საგრძნობლად კლებულობს (—33,7%), ყველა დანარჩენი კლიენტურის განსაჩივრებულ თანხების ჯამი საგრძნობლად იზრდება, მაგ., კოოპერაციის +19,4%, სახელმწიფო მრეწველობის +30,5%, სახელმწიფო ვაჭრობის +115,4% და სხვ.

30. საანგარიშო თვის განმავლობაში სახელმწიფო შემოსავალი 3,1 მილ. მანეთს უდრის (არ შედის აქ ნავთსადგურები; ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონი და რკინისგზები) თებერვალთან შედარებით 62% იზრდება, იმ დროს, როდესაც სახელმწიფო გასავალი სულ 2,4 მილ. მან. უდრის—შემცირდა 5,1%. შემოსავლის ასეთი საგრძნობი ზრდა ახსნილ უნდა იქნას, ერთის მხრივ, სასწრაფო პატენტების აღების სეზონით და, მეორე მხრივ კი, იმ განსაკუთრებულ ზომებით, რომელიც ჩატარდა საფინანსო უწყების მიერ გადასახადების აკრეფის გაძლიერების მიზნით.

31. საერთო შემოსავლიდან საქართველოს ბიუჯეტით არის შემოსული 37,7%, ფედერატიული ბიუჯეტით—7% და საკავშირო ბიუჯეტით—55,7%. თუმცა სამივე ბიუჯეტით შემოსული თანხები იზრდება, მაგრამ საქართველოს და საკავშირო ბიუჯეტით შემოსული თანხები უფრო ინტენსიურად მატულობს (63,3 და 62%%), ვიდრე ფედერატიული ბიუჯეტით (46,1%).

სამივე ბიუჯეტში ყველა საშემოსავლო წყაროებით მიღებული თანხები იზრდება და უფრო მეტად კი მთავარ მუხლებიდან—პირდაპირი გადასახადები—რესპუბლიკანურ ბიუჯეტში (+70,3%) და არაპირდაპირი გადასახადები — საკავშირო ბიუჯეტებში (+65,4%).

32. სას.-სამ. გადასახადი კამპანიის დაწყებიდან პირველ აპრილისათვის 1.247,3 ათ. მან. რაოდენობით არის აკრეფილი, რაც წლიურ გეგმის 82,8% შეადგენს. საანგარიშო თვის განმავლობაში აიკრიფა სულ 160,7 ათ. მან., რომლიდანაც 130 ათ. მან. შემოვიდა წლევანდელი გადასახადის ანგარიშში და 30,7 ათ. მან. კი შარშანდელი ნარჩენია.

ცალკე რაიონებიდან გადასახადის აკრეფის მიხედვით პირველი ადგილი კვლავ აფხაზეთს ეკუთვნის (98,8% აიკრიფა მთელი განაწერი თანხის), მეორე—აღმ. და დას. საქართველოს (81,7 და 80,2%%), ხოლო უკანასკნელი—აჭარას და სამხრეთ-ოსეთს (77,5 და 79,1%).

33. საერთო სახელმწიფო გასავლიდან (2.446,5 ათ. მან.) საკავშირო ბიუჯეტით არის გაღებული 479 ათ. მან., ხოლო ფედერატიული (რესპუბლ.) ბიუჯეტით 1967,5 ათ. მან.; საანგარიშო თვეში მატებას იძლევა მხოლოდ კულტურულ-სოციალური ხარჯები (+29,6%) და ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ ანარიცხები (+77,6%).

ისევე, როგორც წინა თვეებში, გაცემულ თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება სოციალურ-კულტურულ ხარჯებს (29%), შემდეგ — სახელმწიფო მმართველობას (28,2%) და სხვ.

VI. შრომა.

34. თბილისში აღრიცხულ უმუშევართა საერთო რიცხვი (თბ. საშუამავლო ბიუროს) და პროფკავშ. საბჭ. ცნობებით), ამა წლის მარტში უდრის 15,5 ათასს, წინა თვესთან შედარებით 2,3% გაიზარდა. აქედან პროფკავშირის წევრნი შეადგენენ 10,2 ათასს და არაწევრები კი 5,3 ათასს; თებერვალთან შედარებით, პროფკავშირის წევრ უმუშევართა რიცხვი გაზრდილა 8,7%-ით, ხოლო პროფკავშირთა არაწევრ უმუშევართა რიცხვი, პირიქით, 8%-ით შემცირებულა. საანგარიშო თვეში პროფკავშირის არაწევრ უმუშევართა რიცხვის შემცირება აიხსნება სამშენებლო დარგის უმუშევართა მოთხოვნის გაძლიერებით, რომელნიც, უმეტეს შემთხვევაში, არ არიან კავშირის წევრები. კავშირის უმუშევარ წევრთა ჩაწერის გადიდება უნდა მიეწეროს იმ უპირატესობას, რომლითაც სარგებლობენ კავშირის წევრები სამუშაოზე გაგზავნის საქმეში.

შრომის ცალ-ცალკე უმთავრეს დარგების მიხედვით უმუშევარნი შემდეგნაირად ნაწილდებიან (თბილისის საშუამავლო ბიუროს ცნობებით): სამრეწველო დარგის უმუშევართა რიცხვი უდრის 2.210 კაცს (თებერვალთან შედარებით მატულობს 8,9%-ით), ტრანსპორტში—1.187 (+6,5%), გონებრივ შრომის—3.521 (—1,6%) და დამხმარე და შავი მუშები = 5.468 (+25,4%).

მარტის თვის განმავლობაში თბილისის საშუამავლო ბიუროში აღრიცხულ იქნა 2.867 კაცი—17,8% ნაკლები, ვიდრე თებერვალში. უმუშევართა ჩაწერა, გონებრივ შრომის მუშაკთა გარდა, ყველა დარგებში იძლევიან შემცირებას. საანგარიშო თვეში საშუამავლო ბიუროდან მოთხოვნილი იყო სულ 609 კაცი, 14,2 ნაკლები, ვიდრე თებერვალში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოთხოვნილება სრულიად ვერ იქნა დაკმაყოფილებული—შესაფერ კვალიფიკაციის მუშაკთა ნაკლებობის გამო და სამუშაოზე გაგზავნილ იქნა მხოლოდ 467 კაცი, 32,9% ნაკლები, ვიდრე იყო მოთხოვნილი.

უმუშევარ კავშირის წევრთა შემადგენლობიდან მთავარია: საბჭოთა და განათლების მუშაკნი—38,9% უმუშევართა საერთო რიცხვისა.

35. ჩვენი მრეწველობის მთავარ დარგებში ჩაბმულ მუშის საშუალო თვიური ხელფასი—50,56 ჩ. მან. უდრის, გადიდებულია თებერვალთან შედარებით, 3,5%, ხოლო 1925 წ. მარტის მიმართ +17,5%; საბიუჯეტო მანეთებზე გადაყვანით იგი შეადგენს 18 მან. 76 კაპ. (+0,3%). თუ არა საბიუჯეტო შენაწყობის გაძვირება (19,2 მანეთიდან 19,3 მანეთამდე), რეალური ხელფასის ზრდა უფრო მეტი გვექნებოდა.

თვიურ ხელფასის ზრდა ხდება, როგორც ძირითადი ხელფასის ზრდის გამო, ისე დამატებითი გაცემულებათა მატებით.

რაც შეეხება მუშის დღიურ ხელფასს—იგი 2,38 ჩერვ. მან. შეადგენს—შემცირებულია თებერვალთან შედარებით 3,8%-ით, ხოლო—0,88 საბ. მან. (—7,4%).

ამნაირად, მუშის თვიური ხელფასის გადიდება გამოწვეულია ნამუშევარ კაცდღეთა რიცხვის გადიდებით—წინააღმდეგ დღიურ ხელფასის შემცირების.

---

*) „კომუნისტი“, № 93.

ეკონომიური ცხოვრება

ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის

სახალხო კომისართა საბჭომ გადმოუგზავნა საქართველოს საგეგმო კომისიას დასკვნისათვის ოზურგეთის მაზრის ჩაის მწარმოებელ გლეხების რწმუნებულის მოქ. ლაუ-ჯონ-ჯაუს განცხადება ოზურგეთის მაზრაში ჩაის ქარხნების ასაგებად საჭირო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

განცხადებას თანდართული აქვს ლაუ-ჯონ-ჯაუს მოხსენება ოზურგეთის ჩაის რაიონის შესახებ, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ ოზურგეთის მაზრა, საერთოდ, და კერძოთ აცანის რაიონი თავის ბუნებრივ და ეკონომიურ პირობებით ჩაის კულტურის განსავითარებლად საუკეთესო კუთხეს წარმოადგენს. მას საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს ოზურგეთის მაზრაში 9 ჩაის ქარხანა. ამ გეგმის განსახორციელებლად ლაუ-ჯონ-ჯაუს აზრით უნდა გადადებულ იქნეს 400.000 მანეთი, უკიდურეს შემთხვევაში კი—200.000 მანეთიც იქნება საკმარისი, თუ კი აგებული იქნება შინამრეწველური ტიპის, უფრო სადა ქარხნები.

საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, სადაც განხილული იყო მოქ. ლაუ-ჯონ-ჯაუს განცხადება, თავის მომართვაში აღნიშნავს, რომ პრიმიტიული ქარხნების მოწყობა ყოვლად მიუღებელია, რადგან ეს ქარხნები, გარდა იმისა, რომ დაბალ ხარისხის პროდუქტებს მოგვცემენ და ჩვენ ჩაის ბაზარზე გამოსვლის საშუალებას მოუსპობენ, ბევრათ უფრო ძვირი დაჯდება.

განიხილა რა ყოველივე მასალა ლაუ-ჯონ-ჯაუს განცხადების ირგვლივ, საგეგმო კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიუღებელია ლაუ-ჯონ-ჯაუს გეგმა ქარხნების აგების შესახებ, როგორც არა რაციონალური და ჩვენი ჩაის კულტურის განვითარების პერსპექტივებისათვის შეუფერებელი.

საგეგმო კომისიამ გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ უკვე შეუდგა და მალე დაამთავრებს ჩაის კულტურისა და დამუშავების გეგმის შედგენას. იგივე ორგანიზაცია უკვე აშენებს გურიის ორ მთავარ ჩაის რაიონში (აცანისა და მიქელ-გაბრიელი) ორ ახალ ჩაის ქარხანას და აფართოვებს ოზურგეთის საცდელ პლანტაციასთან არსებულ ძველ ქარხანას.

საგეგმო კომისიას საჭიროდ მიაჩნია ოზურგეთის მაზრის ჩაის კულტურის მთავარ რაიონებში ჩაის ქარხნები უნდა მოეწყოს ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით და უკანასკნელ კონსტრუქციის მანქანებით, რაც აუცილებელია ჩაის მაღალ ღირსების უზრუნველსაყოფად და საქართველოს ჩაისათვის მტკიცე ბაზრის მოსაპოვებლად.

მოქ. ლაუ-ჯონ-ჯაუს საგეგმო კომისიამ შუამდგომლობაზე უარი უთხრა, რადგან ბანკებს მიმდინარე წელს ამ მიზნისათვის საჭირო სპეციალური თანხები არ აქვთ; საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა უკვე შეუდგა ახალ ქარხნების მოწყობას და ოზურგეთში არსებულ ჩაის ქარხნის გაფართოებას.

ეკონომიურ საბჭოში

„ბაღბოსტან კავშირის“ შესახებ

„ბაღბოსტან კავშირი“-ს მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის შედგენილობას დაემატა ამხ. გედევანიშვილი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან.

კოოპერატიული საბჭოების შესახებ

სსრ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი კოოპერატიულ საბჭოების შესახებ მოწონებულ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ.

საქ. კოოპერატიული საბჭოს დებულების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

საურთიერთო ნდობის საზ.-ბის დაარსება ქ. ახალსენაკში

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება ქ. ახალსენაკში.

შინამრეწველობის მდგომარეობის შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ ამოირჩია კომისია ამხ. გ. ყურულაშვილის (თავმჯდომარე) ბ. კანდელაკისა და მ. ძამანაშვილის შედგენილობით, რომელსაც დაევალა გაეცნოს მიწსახკომის შინამრეწველობის განყოფილების მდგომარეობას.

ცეკავშირის საკონსერვო ქარხნის შესახებ

ეკონომიური საბჭოს დადგენილებით ცეკავშირის კუთვნილი გორის საკონსერვო ქარხანა და სანერგეები მთელი თავისი მოწყობილობით გადაეცა გორის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

„აბრეშუმის ტრესტის“ და „აბრეშუმის“ შორის ხელშეკრულების დადება

კოოპერატიული საზოგადოების „აბრეშუმი“-ს მიერ წარმოდგენილი სრულიად საქართველოს აბრეშუმის ტრესტის „აბრეშუმტრესტის“ და სრულიად საქართველოს აბრეშუმის საზოგადოების „აბრეშუმი“-ს შორის დასადებ ხელშეკრულებათა პროექტი აბრეშუმის პარკის, ფრიზონის და აბრეშუმის ძაფის შესახებ დამტკიცებულ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ ზოგიერთი შესწორებებით.

საურთიერთო ნდობის საზ.-ბის დაარსება ქ. ახალსენაკში

ეკონომიურ საბჭომ მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო საურთიერთო ნდობის საზოგადოების დაარსება ქ. ახალსენაკში.

საქ. ნავთსადგურებში

გემების მოძრაობა

გასული თვის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში მოსულა 115 ორთქლით მავალი გემი და იალქანი.

აქედან ტვირთიანი გემი ყოფილა 87; დანარჩენი მგზავრებით.

ამავე ხნის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურიდან გასულა 109 გემი და იალქანი, აქედან დატვირთული ყოფილა 46, დაუტვირთავი—63.

უცხოეთის გემებიდან ნავთსადგურში ტვირთით მოსულა: ერთი გერმანული, ერთი ნორვეგიული, ერთი ინგლისური, ორი ფრანგული და ხუთი იტალიური. გასულა დატვირთული: 2 ნორვეგიული, ერთი ჰოლანდიური, სამი ინგლისური, ორი ფრანგული, ერთი ესპანური და რვა იტალიური.

მარტის განმავლობაში გემებს მოუტნიათ 9.942.631 კილო საქონელი, ამავე ხანში გაუტანიათ 15.097.994 კილო საქონელი და 48.944.651 კილო ნავთი, აქედან 9.235.371 კილო ნავთი გაგზავნილია ვლადივასტოკში.

„საქართველოს მარგანეცი“

ახალი რკინის-გზა ჭიათურის ხაზზე

საზოგადოება „საქართველოს მარგანეც“-თან (ჰარიმანთან) დადებულ ხელშეკრულების ძალით კონცესიონერები ვალდებულნი არიან სათანადო დონეზე დააყენონ შავი-ქვის საქართვ ნავთსადგურამდე გადაზიდვის საქმე. ამ მიზნით კონცესიონერებმა უნდა გააფართოვონ არსებული შორაპან-ჭიათურის რკინის-გზა და გაიყვანონ ახალი ხაზი.

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“ უკვე შეუდგა ჭიათურის რკინის-გზის შტოს გამოკვლევას მისი გადაკეთების თვალსაზრისით.

ერთი კვირის წინად საზოგადოება „საქართ. მარგანეცის“ რწმუნებულმა თხოვნა შეიტანა საკონცესიო კომიტეტში, რომელსაც საზოგადოება სთხოვს გამოცემულ იქნეს ბრძანება შორაპნის სამაზრო აღმასკომისადმი ინჟინერ - ტეხნიკოს სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისიის დაუბრკოლებელი მისვლა-მოსვლის საშუალების მინიჭების შესახებ. იმ მიწებისა და ადგილების სასყიდელი, რომელიც გლეხებს ჩამოერთმევათ, მიეცემათ გზისპირიდან აჭრილ გლეხებს.

გარდა იმისა, რომ გზის კვლევა-ძიება სწარმოებს არსებული რკინიგზის ხაზზე, კონცესიონერებს შემუშავებული აქვთ სხვა ვარიანტიც, რომლის მიხედვით ახალი რკინი-გზის შტო გაუვლის დიდ წებელას, ბოსლევს, ყურთ-უბანს, დილიკაურს, ქვედა-ტყეს, საქარას და ზესტაფონს.

კონცესია ყველაფერს ზარალს, რომელიც გამოწვეული იქნება საცდელ მუშაობის დროს ნათესების დაზიანებით, აანაზღაურებს.

ხორცის გაიაფება

თბილისის სასაკლაოზე მსხვილფეხა საქონლის მორეკვა ძალზე გაიზარდა, იგი ახლა მოთხოვნილებას აჭარბებს. საქონელს ერეკებიან უმთავრესად ყარსის ოლქიდან და ნაწილობრივ აზერბეიჯანიდან.

ამის გამო ფასებმა საქონელზე საგრძნობლად დაიკლო. მაგ. (წინედ იგი ღირდა 10 მანეთამდე). გუშინ კი ფასმა დაიკლო. 6 მან. 10 კაპ. ნაწილი საქონლისა გაუყიდავი დარჩა, რადგან, მყიდველები თავს იკავებდენ საქონლის შესყიდვისაგან.

ამგვარად ხორცის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაზარზე, ამ უკანასკნელ დღეებში აღმოფხვრილია.

საქართველოს კომპარტიის ც. ს. კ. და მუშათა და გლეხთა ინსპექცია აცხადებს, რომ დღეს, აპრილის 29-ს, საღამოს 6 საათზე, ინსპექციის შენობაში (რუსთაველის პრ. № 24) მოწვეულია ყველა სამეურნეო, კოოპერატიულ და ადმინისტრატიულ ორგანოთა **კომუნისტ- ხელმძღვანელების**

თათბირი

მომჭირნეობის რეჟიმის საკითხის შესახებ.

დასწრება მოხსენებულ ამხანაგებისა სავალდებულოა.

ც. ს. კ. თავმჯდომარე და მ | გ. ინსპექციის სახალხო კომისარი

ა. დოლიძე.

დღეს, 29 აპრილს საღამოს 6 საათზე თბ. აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებაში (ოთახი № 269) **მოწვეულია**

თბილისის საბჭოს სოფლად მომუშავე და საბჭოთა აღმშენებლობის სექციის რიგ გარეშე **სხდომა**

დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. სექციის ყველა [illegible] დასწრება [illegible]

პრეზიდიუმი

საბჭოთა საქართველო

მდ. ცხენის-წყალის ადიდება.

ახალ-სენაკი, 28 აპრილი. მდინარე ცხენის-წყალი ადიდდა და დაფარა სოფლები ლეხაინდრაო და ონტოფო. მიღებულია ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ.

[illegible]

აჭარისტანი

ქალაქის ბაღის გახსნა.

ბათომი, 28 აპრილი. 1 მაისს იხსნება ბათომის ქალაქის ბაღი, რომელიც მთელი 2 წლის განმავლობაში დაკეტილი იყო. ბაღი გალამაზებულია. გაწეულ იქნა სამუშაო ჭაობიან ადგილების ამოსაშრობათ ნურიი-მელის ტბის მახლობლად, რისთვისაც ქალაქის აღმასკომმა დამატებით გადასდო 1.250 მანეთი. ბათომის ქალაქის ბაღი ცნობილია სუბტროპიკული მცენარეულობის იშვიათი ეგზემპლიარებით.

სასოფლო-მეურნეობის აღდგენა.

ბათომი, 28 აპრილი. სასოფლო-სამეურნეო ბანკი ანაწილებს 350.000 მანეთს, რომელიც გადადებულია აჭარისტანის სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის.

ბენზინის ექსპორტი.

ბათომი, 28 აპრილი. უკანასკნელი თვის განმავლობაში ნავთის სინდიკატის ბათომის განყოფილებამ 2.000 ტონა ბენზინი გაგზავნა უცხოეთში.

ფართალი გლეხობას.

ბათომი, 28 აპრილი. აჭარისტანის ცეკავშირმა მიიღო 15.000 მეტრო ბამბეული ფართალი, რომელიც გაიგზავნება მაზრებში გლეხობისათვის მისაწოდებლად. ამ დღეებში მიღებული იქნება ფართალის მეორე პარტია 40.000 მეტროს რაოდენობით. გარდა ფართლისა, მაზრებში გაგზავნილია 10.000 ფუთი მარილი, 2.000 ფუთი შაქარი და 1.000 ფუთი ფქვილი.

მდ. ჭოროხის ადიდება.

ბათომი, 28 აპრილი. თოვლის ერთბაშად გადნობის გამო, მდინარე ჭოროხი ადიდდა. წყალმა ქურთების რამოდენიმე სოფელი დაფარა. გლეხობის დასახმარებლად ზომებია მიღებული.

მუშათა ბინების აღშენებლობა.

ბათომი, 28 აპრილი ნავთის სინდიკატის ბათომის კანტორამ 190.000 მანეთი გადასდო მუშებისათვის სახლების ასაგებად.

გუთნები გლეხობას.

ბათომი, 28 აპრილი. აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკი საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით ანაწილებს გლეხებს შორის მიღებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (150 გუთანი).

ღორები სკოლაში

(კინჩხის თ. ქუთ. მ.)

სიტყვით სკოლა ყველასათვის სასურველი და ძვირფასი დაწესებულებაა. სიტყვით ყველა მზათაა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მას და ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების გავრცელებას. საქმით ბევრი უკან იხევს, როცა სკოლა დახმარებას ითხოვს, საქმით ბევრი სხვისკენ იცქირება, როცა ხელის გამოღებაა საჭირო.

ასე ემართება კინჩხის თემის სკოლასაც. რამდენჯერაც დაადგინა საბჭომ ამ სკოლის ეზოს შემოღობვა, იმდენჯერვე დადგენილება დადგენილებათ დარჩა. თითი არავინ გაანძრია დადგენილების შესასრულებლათ, და, როგორც მოგეხსენებათ, სარები ცოცხალი არსება არ არიან, რომ ისინი ჩამესწკრიალდნენ სკოლის ეზოს ირგვლივ და ამით თავისი კეთილშობილობა დაემტკიცებინათ.

მართალია, სკოლა ტრიალ მინდორზეა წამოცუცქებული, მაგრამ ეს არ ითქმის გლეხების ცალკე სახლებზე. მათი ეზოები და კარმიდამო ისეა შემოსალტული, რომ ქორის გარდა ვერავინ გადაიხედავს შიგ. სკოლა კი ქვეყნის სამარცხვინოთ და თავის მოსაჭრელად გაშლილ მინდორზეა მოთავსებული.

გაზაფხული დადგა, ბავშებს სკოლის ეზოში ბაღ-ბოსტნების გამართვა უნდათ, მაგრამ ეზო ქვეყნის ღორების საჭირითოდაა გადაქცეული და არა თუ ბოსტანი, ლამისაა სკოლაც იერიშით აიღონ დინგიანებმა. გარშემო სკოლის კედლები თითქმის ერთი მეტრის სიმაღლეზე ხმელი ტალახით არის შელესილი. ეს გახლავთ კინჩხელი ხრუტუნების ხელობა, რომლებიც დილიდან საღამომდე ზურგს აფხანენ სკოლის კედლებს.

იყო ასეთი შემთხვევაც. ზარი დარეკეს. ბავშები კლასებში სხდნენ. შუაგული გაკვეთილია. მასწავლებელი გართულია გაკვეთილის ახსნით. ბავშები სულგანაბული სხედან. უცებ იღება კარები და დაღლილი, ჩურჩხელასავით ლაფში ამოვლებული ღორი ხრუტუნ-ხრუტუნით შემოდის საკლასო ოთახში.

ბავშები და მასწავლებელი ერთი ამბით, და ყვირილ-ხივილით მივარდებიან ხოლმე დაუპატიჟებელ რევიზორებს. ხრუტუნიაც გარბის ასეთი ლაშქარის შიშით ჭყვირილით და ერგელივ ტალახის ნაზხეფებს ისვრის. კიდევ კარგა, თუ ეს ვიზიტი გაკვეთილის დასასრულს მოხდა. საქმე ისაა, როცა ღულიანი, გაკვეთილის დასაწყისში ეწვევა სკოლას, მაშინ მთელი საათი დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს.

ასეთ დღეშია კინჩხის სკოლა. საიდუმლოთ რომ ვთქვათ, ამაში იმდენათ თემი არ არის დამნაშავე, რამდენათაც ხელმძღვანელი ორგანოები. წყალმაც წაიღოს ისეთი თემი, რომელიც სკოლის ეზოს შემოღობვას ვერ შესძლებს, კინჩხი ხომ ასეთი წყალწაღებული თემი არაა!

ქარიშვილი.

სანიმუშო მამული

(სიღნაღის მაზრა)

სიღნაღის მაზრაში, ლაგოდეხის რაიონში არის სახალხო მამული „მიწიმი". ეს მამული სამაზრო აღმასკომმა გადასცა გამასწორებელ სახლს. უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც მამულში პატიმრები მუშაობენ, ის გამშვენიერდა და მზრუნველი ხელი დაიჩნდა.

მუშაობის დაწყებამდის მამული გავერანებული იყო, ის ტყეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბაღს. ეხლა ის კულტურულ, დამუშავებულ მამულს წარმოადგენს. მთელ მამულში გაყვანილია სწორი წყლის არხები, გასხლულია და გაბარული ხეხილი, ვენახები და ვარდები, აჯაგულია მთელი მამული, გამართულია მდიდარი ბოსტანი და თამბაქოს აჩითილი, რომელიც თავის დროზე გადირგვება თითქმის უკვე გამზადებულ ხუთ დესეტინა მიწაზე, ბაღში გაკეთებულია სკამები, მოწყობილია თევზის გასაშენებლათ ლამაზი აუზი და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, მამულში შესულ კაცს, გამოსვლა დაეზარება. პატიმრები მუშაობენ ერთგულათ, საქმეს ისე ეკიდებიან, როგორც თავიანთ საკუთარს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლეხობა მიდის იმ მამულში იმის შესასწავლათ, თუ როგორ უნდა მოეწყოს კულტურული მამული. გლეხი იქ იღებს რჩევა-დარიგებას და უფასოთ ეძლევა შეძლების დაგვარათ საჭყენი ხეხილის ტოტი. მომავალში მიეცემათ კვირტიც, რისთვისაც მამულში გამოყოფილია რამოდენიმე ხე.

მნახველი.

დროული ნაბიჯი

(სენაკის მ.)

სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, განათლების ინსპექცია ამ დროითვე შეუდგა თადარიგს.

უკვე დავალებული აქვთ სკოლის გამგეებს, რომ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა სკოლის შენობის შესაკეთებლად წარმოადგინონ 20 მაისამდე. ამავე დროს ახალი სკოლის აშენებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა უნდა წარმოადგინონ თემებმა. 20 მაისამდი უნდა იქნეს წარმოდგენილი აგრეთვე თუ რა და რა ინვენტარი სჭირდება სკოლას: სკამები, მაგიდები, პარტები, დაფები, მოდელები და სხვა.

ყველა ეს ხარჯთ-აღრიცხვები უდა განიხილოს განინსპექციამ და შემდეგ აღმასკომმა, რომელიც მიიღებს ზომებს, რომ მთელი ეს სამუშაო ზაფხულზე იქნეს ჩატარებული და ამით მომავალ წლიდან სკოლები უზრუნველყოფილ იყვნენ.

განინსპექციის ეს ნაბიჯი ფრიად მიზანშეწონილად და დროულად უნდა ჩაითვალოს.

ზ. ურჩნეიშვილი.

„რაღაა იგი სინათლე"

(გორი)

გორის მცხოვრებნი 6 თვის განმავლობაში ელექტრონის შუქს მოკლებულნი იყვნენ. გააკეთეს ახალი სადგური და მთელი ქალაქი მშვენიერათ იყო გაშუქებული, მაგრამ ბოლოს ახალი სადგურის ენერგია ქალაქის ქვედა ნაწილს მოახმარეს. ზედა უბნებს მეორე, სადგურიდან მისცეს შუქი, მაგრამ ასეთი შუქი, რომ არ იყოს, ის სჯობია. სადგურის მექანიკის დაუდევრობით ხდება თუ სხვა მიზეზით ყოველ დღე აუარებელი შუშები იწვის და ხან და ხან კიდევაც სკდება ყუმბარასავით.

25 სანთლიანი შუშა, ენერგიის სისუსტის გამო 2 სანთლის სინათლესაც არ იძლევა.

მოსული.

შუქი ჯეჯორიდან

(ონი)

ერთი თვეა, რაც მდ. ჯეჯორზე ინჟენერ ფირალოვის გეგმით დაიწყო ჰიდრო ელექტრობის სადგურის აშენება. ეს სადგური იქნება 400 ცხენის ძალიანი.

ელექტრობის დენა მიეცემა ონს და მის გარშემო მდებარე სოფლებს: ღარს, შეუბანს, ჭიორის, სომინის და სხ. ნაწილი ელექტრონისა კი მოხმარდება სხვა საწარმოო სამრეწველოებს (წისქვილს და ხერხის ქარხ.) იმ მიზნით, რომ სადგურის აშენება სულ ახლო მომავალში და არა უგვიანეს ა.-წ. ოქტომბრისათვის დამთავრდეს, ადგილობრივ ხელისუფლებას განზრახული აქვს ზოგიერთი სამუშაოების შესრულებაში თვით გლეხობას მიაღებინოს მონაწილეობა. ეს მონაწილეობა მხოლოდ ნებაყოფლობითი იქნება და არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ექნება.

ამ სადგურის ასაშენებლად მიღებულია ელექტრობანკიდან 18 თვის ვადით და 12½ პროცენტის ანგარიშით 45.000 მანეთი.

წინასწარი სამუშაოები შესრულებულია. ტურბინებში წყლის გამოსაყვანად იჭრება არხი 40 საჟენის სიგრძით, შეკვეთილია ტურბინა, დინამო მანქანა კი მიღებულია და იხსნება ადგილობრივ.

ამ უკანასკნელ დროს გადაუღებელი წვიმებია, რაც საგრძნობლად აფერხებს მუშაობას.

ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გლეხობის მოთვალთვალეს და მათი ინტერესების დამცველს ამხ. პარმენ წულუკიძეს.

ყოველნაირ სამუშაოებს სადგურის აშენების გარშემო ხელმძღვანელობს სამაღმასკომის ტეხნიკი ამხ. დუჩიძე.

არტუნელი.

უწერას მოვლა უნდა

(აგარაკი უწერა, რაჭის მაზრა)

აგარაკი უწერა საკმაოდ სახელგანთქმულია თავის ჰავით, ბუნებით, სოდის და რკინის წყლებით. დღეს ეს აგარაკი თითქმის დავიწყებულია. არ არის საკმაოდ ბინები. ხიდი რიონზე დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. ძალიან კარგი იქნება, რომ საექიმო პუნქტთან ერთად, იქნებოდეს გახსნილი აფთიაქი, რათა საგარაკოდ მოსულ მუშა-მოსამსახურეებს არ მოუხდეს წამლებისათვის ონში სირბილი. საჭიროა აგრეთვე გაიხსნას კოოპერატიული დუქანი და წითელი სასადილო, რათა საგარაკოდ მოსულებმა თავი დააღწიონ ჩარჩ-ვაჭრებს და მიკიტნებს.

ყურადღება უნდა მიექცეს უწერის კლუბს. 1924 წლის ზაფხულში აქ გაიმართა რამოდენიმე წარმოდგენა. შემოსავალი მოხმარდა სცენას. შეძენილი იყო რამოდენიმე ფარდა. სამაზრო პოლიტგანმა მოგვცა ფარდები. სცენის ინვენტარი ჩაბარებული ჰქონდა სტუდენტ გენადი მეტრეველს და ალექსანდრე სოხაძეს, რომელიც მაშინ რაიკომის მდივნად იყო.

ორივე ამხანაგი ისე წავიდა, რომ ანგარიში არავისთვის ჩაუბარებიათ.

მეტი ყურადღება ამ დავიწყებულ საუნჯეს.

უწერელი გლეხი.

გონივრული დადგენილება

სოფ. ყვიბისის (ბორჯომის რაიონი) გლეხთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა აღარ იუქმოს ამიერიდან საეკლესიო დღესასწაული—ეგრეთ წოდებული „კვირაცხოვლობა", რომელიც ეგრეთ წოდებულ „აღდგომის" სწორზე მოდის, ვინაიდან ეს დრომოჭმული ჩვეულება სრულიად უსაფუძვლოდ ზედმეტ ხარჯებს იწვევს და ანადგურებს გლეხის მეურნეობას.

კრებამ აგრეთვე დაადგინა—ამ დღეობიდან გადარჩენილი თანხა მოახმაროს სოფლის საქმეებს: სკოლას, თეატრს და სხვას.

ამიტომ ს. ყვიბისის მცხოვრებნი სთხოვენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს, პატივი სცენ საერთო კრების დადგენილებას და ნუ შეიწუხებენ თავს აღნიშნულ დღეს ს. ყვიბისში სადღესასწაულოთ მობრძანებით.

გლეხიშვილი.

საბჭო ენერგიულად მუშაობს

(ქვედა სიმონეთი, ქუთ. მაზ.)

ჩვენ თემში საბჭოს თავმჯდომარეთ ისევ ძველი ამხანაგი იქნა არჩეული, რადგან წარსული მუშაობით, მან გლეხობის ნდობა დაიმსახურა. ახალი საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას. მისი შუამდგომლობით თემში, სადგურ სვირსა და აჯამეთს შუა დაარსდა პლატფორმა, რაც დიდათ შეუწყობს ხელს თემის განვითარებას და წინსვლას. გაუმჯობესდა კოოპერატივის მუშაობა, დაარსდა გლეხკომი, ყურადღება ექცევა გზების შეკეთებას და სხვა. თუ საბჭომ მომავალშიაც ასე ნაყოფიერად იმუშავა, ის ბევრის გაკეთებას შესძლებს თემის კეთილდღეობისათვის.

უპარტიო გლეხი.

წერილებიდან

საგარეჯო (თბილისის მაზრა)

თეატრი მოუწყობელია. საგარეჯოში არის თეატრი, მაგრამ სცენა სრულიად მოუწყობელია. ცოტაა დეკორაციები, რაც არის ისიც დამტვრეულია. უკვე ზაფხული მოგვადგა კარზე და წარმოდგენებისათვის მზადებაა საჭირო.

გამგეობას კი სძინავს!

ივანიკა.

კოკის თემი (ზუგდიდის მაზრა)

კულაკი დაუსჯელია. ამ თემში ფილო დადიანს მიწკომმა საფონდო მიწა მისცა დასამუშავებლად, როდესაც ის შეუდგა ყანის თესვას, მიუხტა სოფლის ერთ-ერთი კულაკი, მენშევიკების დროს ყოფილი მიწკომი და მუქარით მუშაობაზე ხელი აალებინა. საფონდო მიწის დასაკუთრება ამ რიგათ განიზრახა კულაკმა.

დაშინებულმა გლეხმა რასაკვირველია გაანება ყანას თავი და ხელისუფლებას მიმართა, მაგრამ კულაკი დღესაც დაპარპაშებს თავისუფლად და მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

ივ. დანი.

ცაგერი

რას მივაწეროთ? ლეჩხუმის მაზრის მილიციამ მიიღო ფარაჯები. მილიციის უფროსმა დაურიგა ასეთები თანამშრომლებს. ამავე დროს, ძველი ფარაჯები ზოგს ჩამოართვა და ზოგს არა. არის მაგალითი, როცა ძველი ფარაჯა მილიციაში 4-5 წლის ნამსახურ თანამშრომელს ჩამოერთვა, ხოლო 4 თვის წინ მიღებულს ძველიც დაუტოვეს და ახალიც მისცეს.

გულშემატკივარი.

უმართებულო ბრალდება

„კომუნისტი"-ს 74 ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციის საპასუხოთ, ნოსირის თემაღმასკომი შემდეგს გვაცნობებს:

„ნოსირის ქოხ-სამკითხველოს გამგეზე წამოყენებული ბრალდება, თითქოს ის კტავდეს სამკითხველოს და სათევზაოთ მიდიოდეს, სინამდვილეს არ შეეფერება.

სოფლის ქრონიკა

— **დუშეთის** აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქ. კომისარიატის წინაშე. მაზრის ზოგიერთ სოფლებში ტყის გასაშენებლად დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **სოფ. ხოვლეში (გორ. მაზრა)** ადგილობრივი გლეხები აგებენ სასოფლო აბანოს.

— **გორის** აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს მაზრაში მებაღეობის განვითარებისათვის კამპანიის ჩატარებას.

— **რაჭის** აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს გლეხებში საუბრები აგრონომიაზე.

— **ბორჩალოს** აღმასკომმა დაადგინა მისცეს სესხათ ათასი მან., მეფუტკრეთა ამხანაგობა „ნეგუ"-ს.

ნათესების და ბაღ-ვენახების მდგომარეობა საქართველოში

ამინდი

3 აპრილიდან საქართველოს ყველა კუთხეებში მეტად ცივი ამინდი დაიჭირა. ალაგ-ალაგ (ბორჩალო, თბილისის, ქუთაისის და შორაპნის მაზრები ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ ყინვიანობას. 10—11 აპრილს გამოიდარა და ამინდი შეთბა, მაგრამ 12 აპრილს კვლავ აცივდა (—1 გრადუსამდე) და ადრე გაყვავებულ ხეხილისათვის საშიში მდგომარეობა შეიქნა.

საერთოდ ტემპერატურა აპრილის პირველ ნახევარში ნორმალურზე დაბლა იყო და უფრო შეეფერებოდა მარტის პირობებს.

ამ ხნის განმავლობაში წვიმა და თოვლი მოვიდა ყველა კუთხეებში, რამაც საგრძნობი სისოვლე შემატა ნიადაგს. ეს კარგია მევენახეობისათვის, თუმცა საგაზაფხულო მუშაობას აგვიანებს.

ნათესების მდგომარეობა

შემოდგომის ნათესების მდგომარეობას 15 აპრილისთვის საქართველოში გამოხატავს შემდეგი ნიშნები: პურის ჯეჯილი—3,8 (1 აპრილს იყო —3,7), შემოდგომის ქერი—3,6 (1 აპრილს იყო 3,7). პირველ აპრილთან შედარებით პურის ნათესებს ეტყობათ გაუმჯობესება, სამაგიეროდ მცირეოდენი გაუარესება ემჩნევათ ქერის ყანებს. მაზრების მიხედვით შემოდგომის ნათესების მდგომარეობა **საშუალოზე მაღალია** ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის და ქუთაისის მაზრებში, — **საშუალოა:** ახალციხის მაზრასა და სამხრეთ-ოსეთში, სხვა ადგილებიდან ცნობები არ მოსულა.

ბაღ - ვენახების მდგომარეობა

ბაღ-ვენახების მდგომარეობის შესახებ ცნობები მიღებულია მხოლოდ რამოდენიმე მაზრიდან.

გორის მაზრაში ბაღების მდგომარეობა საშუალოზე მაღალს უახლოვდება (ნიშ.—3,5), სამხრეთ-ოსეთში—საშუალოზე მაღალია (ნიშ.—4,0), აფხაზეთში—საშუალოზე მაღალს უახლოვდება (3,5).

სიღნაღის მაზრაში შემჩნეულია ვენახების მდგომარეობის გაუარესება (არის ნიშ.—3,0 პირველ აპრილს იყო ნიშ. 4,0), რადგან ვენახები დააზარალა ყინვებმა. გორის მაზრაში ვენახების მდგომარეობას გამოხატავს ნიშ.—3,0 სამხრეთ-ოსეთში—4,0, ოზურგეთის მაზრაში—3,5.

ასეთი იყო ნათესების და ბაღ-ვენახების საერთო მდგომარეობა 15 აპრილისთვის.

საბინაო მშენებლობა

საამშენებლო ფონდი

საქართველოს კოოპერატიული საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობებით 1925—26 საბიუჯეტო წლისათვის საბინაო ფონდში მოსალოდნელია შემოვიდეს 550 ათასი მანეთი. აქედან მიზნობრივი გადასახადიდან უნდა შემოვიდეს—250 ათასი მანეთი, აღმასრულებელი კომიტეტის ანარიცხებიდან—200.000 მანეთი ხოლო მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან—100 ათასი მანეთი.

საამშენებლო თათბირი

მაისის დამლევს თბილისში მოწყობილ იქნება მაზრების კომუნალურ განყოფილებათა თათბირი კომუნალურ მშენებლობის შესახებ.

საბინაო სახლი აჭარ. წყ. ჰიდრო-ელსადგურზე

აჭარის წყლის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობის სამმართველომ დაამთავრა საბინაო სახლის აგება მოსამსახურეებისა და მუშებისათვის. სახლი, რომელიც აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი მოთხოვნილების მიხედვით, დაჯდა 20 ათასი მანეთი.

ახალი სახლები ქუთაისში

ქუთაისში დამთავრდა ახალი სახლების აგება, რომელიც დაიწყო გასული წლის ზაფხულში. სახლების აგება დაჯდა 21 ათასი მანეთი.

ბინებში [illegible]ასახლებული არიან [illegible]

გადასახადი

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობებით საგადასახადო შემოსავალი ა.-წ. მარტის განმავლობაში უდრიდა 12.903.272 მანეთს. წინა თვის (თებერვლის) მიმართ შემოსავალი გადიდებულა 7,6%.

შემოსავლის მთელი ჯამიდან არა საგადასახადო შემოსავალი შეადგენს 5.148.419 მანეთს (ე. ი. მთელი შემოსავლის ჯამის 39,9%).

ცალკე გადასახადების მიხედვით შემოსავალი ასე ნაწილდება: პირდაპირი გადასახადიდან შემოსული თანხები უდრის—2.028.257 მანეთს (აქედან სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—538.661 მან., სარეწაო—1.044.189 მან., საშემოსავლო—395.445 მან. და ერთდროული—49.962 მან.) არაპირდაპირი გადასახადით შემოსულა—2.684.844 მან (აქედან სააქციზო—2.214.252 მან., საბაჟო გადასახადი—462.992 მან.)

საანგარიშო თვეში თებერვალთან შედარებით დიდათ გადიდებულია სარეწაო გადასახადი — შემოსულა 319, 3%-ით მეტი. ეს აიხსნება საპატენტო ამონაღების მნიშვნელოვანი ზრდით. საშემოსავლო გადასახადის შემოსული თანხები თებერვალთან შედარებით 48,5%-ით შემცირებულა. ეს მოვლენა სავსებით ნორმალურია, რადგან საშემოსავლო გადასახადის ვადა ჯერ კიდევ თებერვალში გავიდა.

წინა თვესთან შედარებით არაპირდაპირი გადასახადით შემოსული თანხები გადიდებულია 38,3%-ით—ეს გადიდება ხდება უმთავრესად სააქციზო შემოსავალით, რომელსაც წინა თვესთან შედარებით 54,4% მოუმატია. ეს აიხსნება საბაზისო საწყობების მიერ თავიანთ ნარჩენების ლიკვიდაციით და აგრეთვე საქციზო შემოსავლის გადიდებით თამბაქოს ნაწარმოებისა, ასანთის და სპირტეულზე, რაც მათი ნაყოფიერების შედეგია.

საგადასახადო შემოსავალს ეკუთვნის—სალერბო ამონაღები, რომელმაც საანგარიშო თვეში შემოიტანა 425.157 მანეთი; სამემკვიდრეო გადასახადი—რომელიდგანაც შემოვიდა 3.354 მან. და სარენტო გადასახადი—6.807 მანეთ[illegible]

წითელ ჯარში

ცხენოსან ლეგიონის ხუთი წლის თავი

ქართულ ცხენოსან ლეგიონს საძირკველი ჩაეყარა 1921 წლის 30 აპრილს დაბა ქობულეთში.

გაქცეულმა მენშევიკურმა მთავრობამ, როგორც ვიცით, უპატრონოთ მიატოვა მოტყუებული ჯარისკაცები და აი ამ დარჩენილ ცხენოსან ნაწილებიდან შესდგა პირველი ქართული ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონი პირველ ხანებში იმყოფებოდა მე-18-ე დივიზიის უფროსის ამხ. ჟლობას განკარგულებაში, რამოდენიმე ხნის შემდეგ ოზურგეთზე, საჯევახოზე და ქუთაისზე გავლით იგი ჩამოვიდა თბილისში და შეუდგა ძალების მოგროვებას.

საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში მთელი ქართული ჯარი განიცდიდა დიდ გაჭირვებას საცხოვრებელ ბინების, ტანთსაცმელის, ფურაჟის და სანოვაგის უქონლობის გამო. ამას ვერ ასცდა ცხენოსანი ლეგიონიც. მაგრამ, თანდათან მდგომარეობა გამოკეთდა და ლეგიონიც დაადგა აღორძინების გზას.

1922 წელს ლეგიონი შეუდგა ნორმალურ ცხოვრებას: სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა შეუფერხებლად მიმდინარეობდა, გაცხოველდა პარტიული, საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობა. ამ მუშაობას ხელი შეუშალა ხევსურეთში ჩოლოყაშვილის ბანდების თარეშმა, მოწყობილმა მენშევიკების მიერ. ცხენოსანი ლეგიონი გაგზავნილ იქნა ამ ბანდების სალიკვიდაციოთ, დავალება ლეგიონის მიერ ბრწყინვალეთ იქნა შესრულებული.

ხევსურეთიდან დაბრუნების შემდეგ ლეგიონი შეივსო ცხენებით. ამ გარემოებამ გამოაცოცხლა სპეციალური სამხედრო მეცადინეობა. იმავე წლის არმიის ოლიმპიადაზე ცხენოსანი ლეგიონი გამოვიდა გამარჯვებული და ჯილდოც მიიღო.

მენშევიკურ ავანტიურის დროს ლეგიონი იბრძოდა თავდადებულათ. მის მთელ შემადგენლობას კარგათ ჰქონდა შეგნებული მოვალეობა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე. და თავისი ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. როცა კახეთი გაწმენდილ იქნა ავანტიურისტებისაგან, ლეგიონი დაბრუნდა საზამთრო ბინებში. იგი შეუდგა შეწყვეტილ მეცადინეობის გაგრძელებას.

სამხედრო მეცადინეობა ლეგიონში არ ჩამორჩებოდა პარტპოლიტმუშაობას. ლეგიონს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა მუშებთან და გლეხებთან. ლეგიონის მიერ გამოწვრთნილი გლეხები, გაშვებულნი უვადო-შვებულებაში, დღეს ეწევიან კულტურულ მუშაობას სოფლად.

ლეგიონის გაძლიერება-აღორძინებაში, სამხედრო და პოლიტიკურ სწავლების საღ ნიადაგზე დაყენებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ლეგიონის სამხედრო კომისრებს ამხ. ჯანგველაძეს და ქაჯაიას და ლეგიონის ენერგიულ მეთაურს ამხ. გ. მაყაშვილს.

დღეს, ცხენოსან ლეგიონის არსებობის ხუთი წლის თავზე, სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტი აბარებს მას ბრძოლის წითელ დროშას, იმ მუშაობის აღსანიშნავად, რომელსაც ეწეოდა ლეგიონი საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ელ. ხუციშვილი.

ახალწვეულების მოლოდინში

(მე-6-ე ლეგიონი)

ლეგიონი შეუდგა მზადებას ახალ წვეულების მისაღებათ. ყველაფერი გათვალისწინებულია, რომ შეხვედრა იყვეს შინაარსიანი.

საკადრო შემადგენლობის წითელ არმიელნი ენერგიულად მუშაობენ ამ მხრივ.

გამომუშავებულია შეხვედრის გეგმა, ხალისდება ლენინის კუთხეები მზადდება შესაფერი ლოზუნგები.

კლუბი და ბიბლიოთეკებიც გაცხოველებით აწარმოებენ მუშაობას.

ნ.

I-ლი არტლეგიონის სამხედრო კუთხე

ლეგიონმა მოაწყო სამხედრო კუთხე გრეხილ ავეჯეულობის ქარხანაში. მეცადინეობის საწარმოებლად მიმაგრებულია რამოდენიმე ამხანაგი. შეძლების დაგვარად კუთხეს ვაწვდით ლიტერატურას.

აგრეთვე მიმაგრებულია ლეგიონის ექიმი, რომელიც სისტემატიურად აწყობს ლექციებს. სანიტარიიდან. მეცადინეობა კუთხეში სწარმოებს კვირაში ერთხელ.

ვ. მ.

ქართველები კავკავში

ქალაქ ვლადიკავკავში ქართულ უმცირესობის სექცია დაარსდა 1925 წლის ზაფხულში. სექციის დაარსებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ვლადიკავკავის ქართველი მოსახლეობა. მუშაობა სექციისა პირველ ხანებში კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, როგორც, მაგალითად, ნივთიერი უსახსრობა, მისი მუშაობა მაინც და მაინც სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა. სექციას ქართულ სამკითხველოს გახსნა უნდოდა დღიდან თავისი დაარსებისა, მაგრამ არ ჰქონდა საჭირო ლიტერატურა და სახსარი.

შემდეგ ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია საქ. პოლიტგანათლების მთ. სამმართველომ, რომელმაც გაიღო აღნიშნული სექციისათვის 5.500 მანეთი ფულათ და საჭირო ქართული ლიტერატურა. დახმარება გაეწია აგრეთვე საქ. კ. პ. ც. კ. მიერ. ამან მუშაობა უფრო კარგ ნიადაგზე დააყენა და ამ დღიდანვე შეკეთდა ვლადიკავკავის ქართული თეატრი, ელიავას სახელობისა. აგრეთვე გაიხსნა სამკითხველო, სადაც მოდის ქართული ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ სამკითხველო მაინც ვერ აკმაყოფილებს ვლადიკავკავის ქართველობას, რომელთა რიცხვი 5.000 კაცს უდრის. საჭიროა ლიტერატურის მეტი რაოდენობით შეძენა. აგრეთვე გახსნილ იქნა ჭრა-კერვის სკოლა, სადაც 100 ქალზე მეტი სწავლობს.

განზრახულია ვლადიკავკავის ქართული 4-წლიანი შრომის სკოლის შეიდწლედათ გადაკეთება. მაგრამ მუშაობის კიდევ უფრო გაფართოვებისათვის საჭიროა თანხა, რომელსაც, ვიმედოვნებთ, გაიღებს საქ. კ. პ. ც. კომიტეტი და პოლიტგანის მთავარ სამმართველო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივად ქართველი მოსახლეობა სწავლა-განათლებას ღებულობდა ვლადიკავკავში რუსულ ენაზე და ამით აიხსნება მომუშავეების სიმცირეც. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საჭიროა რაც შეიძლება გაადვილებულ იქნეს ვლადიკავკავის ქართველებიდან თბილისში მუშფაკებში და პარტსკოლებში მსმენელებად მიღების საქმე—მუშაობაც ამით უფრო გაცხოველდება.

პავლე ბერბერაშვილი.

ქრონიკა

ქაღალდის ბაზარზე

ბაზარზე სრულიად არ მოიპოვება საზღვარ გარეთის კარტონი დიდი ნაკლებობაა თხელ გამტარებელი ქაღალდის. პერგამენტის ქაღალდის ნაკლებობის გამო ბაზარზე გაძლიერდა მოთხოვნილება № 2 ქაღალდზე.

გადასახადის ქაღალდზე კერძო ბაზარზე ფასებმა დაიწია. დიდი გაძვირება ეტყობა ქიმიურ ფანქრებს.

ბამბის საპენტი ქარხანა.

გალის მაზრაში (აფხაზეთში) დამთავრდა ბამბის საპენტი ქარხნის მოწყობა.

ქარხანა აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. 5 თვის (ბამბის პენტვის სეზონის) განმავლობაში ქარხანა გადაამუშავებს 200.000 ფუთ ბამბას.

ქარხანა ამუშავდება 1 მაისს.

დახმარება მეღვინეებს

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ქუთაისის მეღვინე-მევენახეთა ამხანაგობას თავის წევრებს შორის სესხათ დასარიგებლად გადასცა 100.000 მან. ეს თანხა მოხმარებული იქნება მხოლოდ მეღვინეობის საქმის გასაფართოებლად.

ყინულის ქარხანა.

ა.-კ. რკინის გზის სამმართველო ნავთლუღში აგებს ყინულის დასამზადებელ ქარხანას. ქარხანა დღე-ღამეში დაამზადებს 1500 ფუთ ყინულს.

„საქართველოს ჩაი".

საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს გადაწყვეტილი აქვს წელს ააგოს ორი ჩაის ქარხანა—ოზურგეთის მაზრაში. საჭირო მოწყობილობანი უკვე დაკვეთილია საზღვარგარეთ.

ნავთის მიწოდება.

ცეკავშირმა გასულ საოპერაციო წელში ძირითადი კოოპერატივების საშუალებით მთელ რესპუბლიკაში მცხოვრებლებს მიაწოდა 13.477 ფუთი ნავთი.

მოცვის ფოთოლი.

ცეკავშირმა ჭიათურის რაიონში დაამზადა 200 ფუთი მოცვის ფოთოლი რუსეთის ბაზარზე გასატანად.

შინაგან საქმ. კომისარიატში.

◆ **ტარიფი.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა საბინაო ტარიფი მაზრებისათვის.

◆ **თათბირი.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატი მაისის ბოლო რიცხვებში თბილისში იწვევს კომუნალურ განყოფილებების გამგეთა თათბირს.

◆ **კომისარიატმა** უკვე დაამთავრა ახალციხის, ახალქალაქის და გორის მაზრების კომუნალური მშენებლობის შესწავლა-გამოკვლევა.

კოოპერაცია.

◆ **ამიერ-კავკასიის** სამ მთავარ ქალაქში (თბილისი, ბაქო, ერევანი) მარტის განმავლობაში საწვრილმანო ვაჭრობით კოოპერაციამ გადააბრუნა 5.146.000 მანეთის საქონელი.

◆ **ბრძოლა მავნეებთან.** აფხაზეთის ცეკავშირმა აიღო 3.000 მან. სესხათ მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

სამეურნეო დაწესებულებებში.

◆ **ცემენტის ქარხანა.** სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო მიმდინარე წელში შეუდგება კავთისხევში ან ტყიბულში ცემენტის ქარხნის აგებას.

◆ **700 ტრაქტორი.** მთელ ამიერ-კავკასიაში ამჟამად მუშაობს, დაახლოებით, 700 ტრაქტორი.

◆ **მატყლის დამზადება.** წარმოკავშირმა მეცხვარეთა ამხანაგობებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაურიგა ავანსები მატყლის დასამზადებლად.

◆ **სიმინდის გატანა.** საგარეო ვაჭრობის სამმართველო სოხუმიდან ტრაპიზონში ჰგზავნის გასასაღებლად 30.000 ფუთ სიმინდს.

◆ **საქონლის გატანა.** მარტის განმავლობაში საზღვარგარეთ გატანილ საქონლის ღირებულება 905.400 მანეთით აღემატება შემოტანილ საქონლის ღირებულებას.

სოციალური უზრუნველყოფა.

◆ **სოციალური დახმარების საზოგადოებები.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა სოციალურ დახმარების საზოგადოების წესდების პროექტი განსახილველად და სათანადო დასკვნისათვის წარუდგინა იუსტიციის სახალხო კომისარიატს. იუსტიციის სახალხო კომისარიატი თავის დასკვნით ამ წესდების პროექტს ახლო მომავალში დასამტკიცებლად წარუდგენს სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

◆ **ინვალიდების და გაჭირვებულების დასახმარებლად.** ინვალიდების და გაჭირვებულთა ყოველთვიური დახმარების საქმისათვის სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თბილისის განყოფილებას მარტში და აპრილში თბილისის აღმასრულებელ კომიტეტიდან მიუღია 3.632 მანეთი.

სხვადასხვა.

◆ **ინფლუენცა.** მარტის განმავლობაში თბილისში ინფლუენცით ავად გახდა 1.780 კაცი.

◆ **საბითუმო არტელები** თბილისში გაუქმებულია. დატოვებულია საწვრილმანო არტელები.

◆ **წყალდიდობის წინაალმდეგ.** წყლის დონის სივრცის გამოსაკვლევად საქართველოში მოწყობილია 50 საგანგებო სადგური.

◆ **მეფუტკრეობის ტეხნიკების** მოსამზადებელი კურსები გაიხსნება მაისის პირველ რიცხვებში.

◆ **ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ყრილობა.** 5 მაისს თბილისში გაიხსნება ა.-კ. საოლქო კავშირის ადმინისტრატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა.

◆ **გამოფენა.** პირველს, ორს და სამ მაისს თავის სახელოსნოებში ზალიკო ქიქოძის სახელობის შინამრეწველობის ქალთა საინსტრუქტორო სკოლა მართავს თავისი ნაწარმოების გამოფენას. გამოფენა ღია იქნება 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე (კომუნალური ქუჩა, № 58, ხარფუხი).

◆ **გეოგრაფიულ საზოგადოებაში.** პარასკევს, 30 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში შესდგება საქ. გეოგრაფიული საზოგადოების პედაგოგიური განყოფილების მორიგი კრება. მომხსენებელია პროფ. ალ. ჯავახიშვილი—„საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასწავლო ფიზიკური რუკა და ს. ს. რ. კავშირის რუკა, გამოცემული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ და შემუშავებული მის კარტოგრაფიულ ინსტიტუტში". დასწრება ყველას შეუძლია.

შემთხვევები.

◆ **თავდასხმა.** 24 აპრილს თბილისიდან მიმავალ მეურმეებს ს. სართიჭალის და პატარძეულის შუა „პავლიას გორაზე" დახვდენ ბოროტგამზრახველნი და წაართვეს 270 მანეთი.

◆ **ქურდობა.** 27 აპრილს სომხის ბაზარში, № 76, გაქურდეს აბრამ ბერმანის ბინა.

— 27 აპრილს ლენინგრადის ქ., № 10, გაქურდეს სოფიო ადამოვის ბინა.

— ამავე დღეს მნათობის ქ., № 2, გაქურდეს მიკიჩ გოგიშვილის ბინა.

ჩაუბარებელი დეპეშები.

მოსკოვიდან—იანსშეკს, მოსკოვიდან — ბოდიანსკის, კიურდამირიდან—ბაგიროვს, წინანდალიდან—ლომიძეს, ახ. ბაიაზეთიდან—დილანიანს, მუხურიდან—კუხალაიშვილს, ბათომიდან—კანდელაკს, აბასთუმანიდან—ბედენკოს, ახალსენაკიდან—ჯაგობიანს, ახალქალაქიდან — შახბაზიანცს, ოჩემჩირიდან—ამაშუკელს, მაჩხაანიდან — ფეტიაშვილს, იუმიდან — რუტკოვსკისას, ხიდისთავიდან — შარაშენიძეს, როსტოვიდან — კოჩუშკოვს, კოზმადემიანსკიდან—ფაშნიკოვს, როსტოვიდან — ბიბილურს, სოხუმიდან—ქუთათელაძეს, მოსკოვიდან—ვაშკოვსკის, კავკაზსკიდან—გალიცინს, მეჯვრისხევიდან—ჩობინოვს.

მუშათა ცხოვრება

მომჭირნეობის რეჟიმი და მუშა-კორესპონდენტები

ამ ჟამად საკავშირო რესპუბლიკების მასშტაბით ტარდება კამპანია ე. წ. მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. ხსენებულ საკითხს ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენს სინამდვილეში საკონტროლო ორგანოების მიერ იმ მოსაზრებით, რომ აღორძინებულ იქნას ჩვენი წარმოება-მეურნეობა, გაუმჯობესებულ იქნას საქონლის და პროდუქციის ხარისხი და ყოველგვარი ფინანსიური რესურსები გამოყენებულ იქნას რაციონალურად და საბიუჯეტო გეგმის თანახმად.

მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარებისათვის საჭირო ღონისძიების და გეგმის გამომუშავება მოგვარება, როგორც ყოველთვის, დღესაც თავს აწევს მ./გლეხთა ინსპექციას. ყველა საკონტროლო ორგანოების დახმარებით.

ამ მხრივ მუშა-გლეხ კორესპონდენტებს საქმიან მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი აშკარად ხელს შეუწყობენ ხელისუფლებას საფუძვლიანი საქმიანი და ფაქტებზე დაყრდნობილ შენიშვნების საშუალებით ყოველგვარი ბოროტმოქმედების გამოქვეყნებით და მ./გლეხთა ინსპექციისთვის სათანადო დახმარების გაწევით ცალკე წარმოება-დაწესებულების ავ-კარგიანობის გამოაშკარავების მიზნით.

ყოველივე ამის ცხოვრებაში უმტკივნეულად გატარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ძალა მუშა-გლეხ-კორესპონდენტთა გამოყენებული იქნება და მათ ყველა საქმიან შენიშვნას თავის დროზე მიექცევა სათანადო ყურადღება. ამით გაიზრდება პასუხისმგებლობა მუშა-გლეხ-კორესპონდენტთა და საზღვარი დაედება ყოველგვარ წინდაუხედავ და გეგმით გაუთვალისწინებელ ხარჯებს: უთავბოლო მივლინებებს, სხვა და სხვა დაუმსახურებელ ჯილდოების გაცემას, ფუფუნების საგნების შეძენას წარმოებისათვის (როგორიცაა—ძვირფასი პორტფელები, კაბინეტების ძვირფასი მოწყობილობა, მაშინების შეძენა, როცა ასეთი არ არის აუცილებლობათ გამოწვეული და სხ.).

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება [illegible] გაიგებს მომჭირნეობის რეჟიმის [illegible] საკითხს: აიღებს და ერთბაშად შეამცირებს საკანცელარიო ხარჯებს მინიმუმამდე. მომჭირნეობა ვითომდა ტარდება, და ყურადღება არ ექცევა ძვირფასი ბლანკების უთავბოლო ბეჭდვას, რეკლამებს და უთავბოლო მივლინებებს და სხვა-ასეთებს, რომელთაც შეუძლიათ რადიკალური ცვლილებების შეტანა ჩვენ ბიუჯეტში. გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხსაც, თორემ თუ ყოველგვარი მომჭირნეობა მოხდა საქონლის ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე, მაშინ ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ და ერთი მხრივ მომჭირნეობა და მეორე მხრით საქონლის ხარისხის დაცემა მოგვცემს შეუცვლელ იგივეობას, რასაც ყველა წარმოება დაწესებულებაში სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს. მომჭირნეობასთან პარალელურათ გაუმჯობესებულ უნდა იქნას ხარისხი დამზადებულ საქონლისა მისი ჩქარა და დაუბრკოლებლივ გასაღების მიზნით.

ყველა ზემო-ჩამოთვლილ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების დროს თვალყური უნდა ვადევნოთ მუშკორებმა და დაუზოგველი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ ბოროტმოქმედებებს.

მუშკორი პ. ჩხიკვაძე.

საღამო - კონცერტი მუშებისათვის

ა. წ. 22 აპრილს ა.-კ. რკინისგზის საშემოსავლო ნაწილის და ნავთსადენის სამმართველოს ადგილკომთან არსებულ კულტკომისიის მიერ მოწყობილ იქნა საღამო-კონცერტი. სანამ საღამო-კონცერტი გაიხსნებოდა მოხსენება გააკეთა კულტკომისიის მიერ მოწვეულ ექიმა—ამხ. ზუნტურიძემ სქესობრივ საკითხის შესახებ.

შემდეგ დაიწყო საღამო-კონცერტი. საღამო შემდეგნაირად იყო დანაწილებული: ქართულ მომღერალთა გუნდი, ცოცხალი გაზეთი, სიმებიანი ორკესტრი, სოლო, ტრიო და ფორტეპიანო. საღამო გახსნა ქართულ მომღერალთა გუნდმა ინტერნაციონალით. ახალგაზრდა მომღერალ კონსერვატორიის მოწაფის ამხ. კ. ქავთარაძის ხელმძღვანელობით. გუნდმა შეასრულა რევოლიუციონური სიმღერები, რისთვისაც ხალხმა ახალგაზრდა მომღერალი მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

ქართული გუნდი საშემოსავლო ნაწილში, ერთად-ერთია რომლის შესაქმნელად და ჩამოსაყალიბებლად დიდი შრომა მიუძღვის კულტკომისიის წევრს, ამხ. მახარაძეს. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ცოცხალ გაზეთმა. მომღერლებში კარგი იყვნენ ჩხეიძე და ლომიძე.

პირველს ხელს უშლის სიმღერის დროს სუნთქვის არ ცოდნა და მეორეს (ამხ. ლომიძეს) ხმის დაჭერა, რომელიც უშლის ხელს თავისუფლად სიმღერას.

აღსანიშნავია ის, რომ ეს ადგილკომი აერთიანებს 500-დე მუშა-მოსამსახურეს და სათანადო კლუბი მათ არ აქვთ. აუდიტორია ნახევრად ფეხზე იდგა. ამაზე უნდა იზრუნოს კულტკომისიამ. მუშების გათვითცნობიერებისათვის.

წყარო.

ისევ შოფერებზე

შოფერების თავგასულობაზე არა ერთხელ გამოქვეყნებულა პრესაში და არა ერთხელ მისცემია მათ წინადადება, რათა ნორმალური მსვლელობა ეწარმოებიათ ქალაქის ქუჩებზე. იყო აგრეთვე მათ წინააღმდეგ მიღებული მთელი რიგი ადმინისტრატიული ზომებისა, როგორიცაა დაჯარიმება და დაპატიმრება ადმინისტრატიული წესით. მაგრამ ზოგიერთების გამოსწორებას ვეშველი არ დაადგა და ისინი ძველებურად განაგრძობენ ჩქარ სიარულს. ზოგიერთი შოფერი გუშაგ მილიციელთან მიახლოვებისას ანელებს მსვლელობას; მაგრამ გაშორდება თუ არა ცოტას გაკრავს თავისებურად და მიაქროლებს ისე, რომ თვალს ვერ მოკრავ. მილიციელი იწერს ნომერს, უდგენენ ადმინისტრატიულ ოქმს. შოფერი ასაჩივრებს, ერევა საქმეში ავტომობილის „პატრონი" „პასუხისმგებელი" ვინმე და თხოულობს შოფერის დასაცავად ოქმის შემდგენ „თავხედ" მილიციელის ნომერს, რომელმაც სამსახური არ იცისო" და სხვა.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჩემის აზრით, საჭიროა წესრიგს იცავდეს არა მარტო მილიცია, არამედ თვით ავტომობილში მჯდომნებიც, ვინაიდან მათ სურვილზეა დამოკიდებული შოფერების მოქმედება და წესრიგიც სამუდამოდ აღდგენილი იქნება.

მუშკორი მილიციელი.

მთავარ სახელოსნოების ადგილკომის სადელეგატო კრება

21 აპრილს შესდგა მთავარი სახელოსნოების ადგილკომის სადელეგატო კრება, რომელსაც დელეგატების გარდა დაესწრო უბკავშირიდან ამხ. უსტიაშვილი. კრებაზე გაკეთდა მოხსენება ამხ. უსტიაშვილმა, რომელმაც გააცნო დელეგატებს კოლ-ხელშეკრულების საკითხი, ეს ახალი ხელშეკრულება არის დადებული 1925 წ. ნოემბრის თვეში, მასში შეცვლილია ზოგიერთი მუხლები ძველ კოლ-ხელშეკრულებისა. შემდეგ მუხლობრივად შეჩერდა თითოეულ მუხლზე და მისცა მუშა-დელეგატებს სათანადო ახსნა-განმარტება.

[illegible]ისაგან შემოვიდა 24 შეკითხვა ახსნა-განმარტებისათვის, რომლებზედაც სათანადოდ უპასუხა მომხსენებელმა.

იქნა აღძრული საკითხი იმის შესახებ, რათა მუშათა მატარებელი იქნეს დანიშნული სამტრედიამდე და ავანსების მიღების შესახებაც პირველ მაისის უქმეებისათვის.

კრებამ დაადგინა: ეთხოვოს საუბნო კომიტეტს მუშათა მატარებლის სამტრედიამდე დანიშვნის შესახებ პირველი მაისის უქმეებისათვის.

რაც შეეხება ავანსების მიღებას, მიენდოს ადგილკომს ამ კითხვის სასურველად მოგვარება.

მუშკორი ლევ. გუნია.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დიასახლისმა აგვიკლო, მოგვეშველეთ.** არკადის შესახ. სახლი № 6-ის დიასახლისი ქ-ნი ქიონია ჩიქოვანისა თავის მდგმურებს (მუშა - მოსამსახურეთ) ეპყრობა ძალზე უდიერად. მის თავხედობას საზღვარი არა აქვს. ყოველ დღე იგი ხელოვნურად ჰქმნის მთელ სახლში აუტანელ ატმოსფერას. მდგმურებს ნათლავს „ჟიბგირის", „ქურდის" სახელწოდებით. ლანძღვა-გინება და ხელჩართული ბრძოლა ჩხუბი მან თავის პროფესიად გაიხადა.

მილიციავ, მოარჯულე ეს ურჯულო დედაკაცი!

გამწარებული.

— **„რუოსის" ადგილკომი ენერგიულად მუშაობს.** 6 თვის წინეთ, ჩვენ „რუოსის" მუშებმა ავირჩიეთ ადგილკომი. მის თავმჯდომარედ იმყოფება ამხ. მიშა ტეპნაძე, რომელიც თავის ცოდნა-გამოცდილებას და არავითარ შრომა-ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს პირნათლად. იგი ენერგიულად ებრძვის მუშის შეგნებულ თუ შეუგნებელ დამჩაგვრელს. ივივე ხელმძღვანელობს კულტ-მუშაობას. შრომის და პროფდისციპლინა ჩვენში მაღლა სდგას.

მადლობა ასეთ ადგილკომს!

მუშა—აკაკი.

— **ექიმი სახლს გვიბინძურებს.** გუნიბის ქ. სახ. № 43-ის ქვედა სართულში ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს მუშა, ამხ. მ. ფანჯარაშვილი. მეორე სართულში ცხოვრობს ექიმი პაატაშვილი, რომელიც სარეცხის წყალს იატაკზე ღვრის. ეს აყროლებული წყალი ჩამოდის მუშის ოთახში და აბინძურებს იქაურობას. ალბად ექიმს ეს მოვლენა ნორმალურად მიაჩნია და არავითარ ყურადღებას მუშის ტანჯვა-წვალებას არ აქცევს.

მილიციავ, ერთი აქაც შეიარე და ექიმსაც ჭკუა ასწავლე.

მუშკორი განი.

— **სახალხო ქონებას რად ანგრევთ.** თბილისის საქონლის სადგურის მახლობლად რამოდენიმე ხნის წინეთ გაუქმებული იქნა დარაბა, სადაც „ზაკტპო" პურით ვაჭრობდა. დღეს ეს შენობა სავსეა ნაგვით; მინები მას ჩალეწილი აქვს. ქუჩის ბავშები ხშირად ეწვევიან ხოლმე ამ ქოხუნას, მართავენ ბანქოს თამაშს და ღამესაც ამ ნაგავში ათენებენ. შენობა ლპება-ინგრევა. პატრონი კი არა სჩანს.

ბომასკომო, მიაქციე ყურადღება!

მუშა გ. დ—რავი.

— სახელი „სტუდენტებისა" აქვს და სხვები სარგებლობენ. ბელინსკის ქ. სახ. № 2-ში მოთავსებულია (ყოველშემთხვევაში ქაღალდზე მაინც ასეა აღნიშნული) „სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი", ფაქტიურად კი აქ ცხოვრობს სტუდენტთა ორი თუ სამი ოჯახი და ისინიც პატარა, ბნელ და ნესტიან ოთახებში—(ოთახში ცხოვრობს არა ნაკლებ 3—5 კაცისა.), დანარჩენი ოთახები უჭირავთ სხვა მოქალაქეთ.

ჩვენ ბევრი უბინაო სტუდენტი გვყავს. მათი მდგომარეობა აუტანელია. საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

ინფ. და—ლი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

მიღებულია სათანადო ზომები

„კომუნისტი"-ს 28 მარტის ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით „ასეთ პროფ-მუშაობას გაჯანსაღება სჭირდება", რომელიც ეხება ჩვენ კავშირში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა ქარხკომებს.

ხსენებული წერილის გარშემო ფეიქართა კავშირის გამგეობის მიერ დაწყებულია გამოკვლევა და მიღებულ იქნება სათანადო ზომები.

თავმჯდომარე მატინიანცი.

როსკიპობას აღმოვფხვრით

„კომუნისტი"-ს № 65-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: „როსკიპ ქალებმა აგვიკლეს" ვაცნობებთ, რომ აღნიშნულის საბოლოოდ მოსასპობად ჩვენ მიერ მიღებულია სათანადო ზომები.

ბლმ. ადმინგანის უფროსი ხმალაძე.

უკვე ალაგმულია

„კომუნისტი"-ს № 65-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „[illegible] უნდა ალაგმონ" გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნულ ლატარიის მეპატრონეს მოქ. მაშკოვს ჩამოერთვა ასეთის წარმოების ნებართვა და აგრეთვე აეკრძალა ასეთის მუშაობა.

ადმინისტრატიული განყ. უფროსის მაგიერ მკურნალი.

მივეცით პასუხისგებაში

„კომუნისტი"-ს № 65-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „ჭკუა ასწავლეთ ამ თავხედ ვინმეს" გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილის შინაარსი, როგორც გამოირკვა ამაზედ მოხდენილ გამოკვლევიდან, სიმართლეს შეეფერება, რაზედაც თანახმად პროკურორის მოწერილობისა წარუდგინა მათ მთელი მასალა განკარგულებისათვის.

ადმინგანის უფროსი კიღურაძე.

სახლის პატრონს მოვარჯულებთ

„კომუნისტი"-ს № 76-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „სახლის პატრონების უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს" გაცნობებთ, რომ სახლის პატრონსა და მდგმურებს შორის ყოფილა უთანხმოება ბინის ქირის შესახებ, ამ ჟამად სახლის პატრონი თბილისში არ იმყოფება. ყოველგვარ უთანხმოების თავიდან ასაცილებლად გაიცა განკარგულება 1-ლ სამილიციო რაიონის უფროსისადმი, რათა სახლის პატრონს ჩამოერთვას ხელწერილი, რომ შემდეგში არ ექნეს ადგილი ასეთ გარემოებას.

ალმას. ადმინისტ. განყ. გამგის მაგიერ მკურნალი.

დაიზღვევა და ყოველგვარი დახმარებაც მიეცემა

მედსანშრომის პროფ. კავშირის საქ. გ. გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის მორიგ ნომერში თქვენივე გაზეთის 62 ნომერში მოთავსებულ შენიშვნის საპასუხოდ „ვართ თუ არა ღირსნი ვიქნეთ დაზღვეული" შემდეგი პასუხი: ბებია ქალი ქსენია წერეთელი, თანახმად არსებულ კანონმდებლობისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ სამი თვის განმავლობაში უნდა გამოცხადებულიყო აღრიცხვაზე ასაყვანად შრომის ბირჟაში, როგორც უმუშევარი, მაგრამ რადგან მას ავადმყოფობის გამო გამოცხადება ვერ მოუხერხებია და დაქირავებითი შრომის სტაჟი საკმაო აქვს, დაზღვევის უფლება არ ეკარგება და დაზღვეული იქნება დახმარების მიცემით საერთო წესით.

თავმჯდომარე ჯიჯაძე.

საქმისადმი გულგრილობას და[illegible]ვიწყებთ

გაზ. „კომუნისტში" მოთავსებულ ა. წ. 3 მარტიდან № 49 (1504), წერილის ირგვლივ სათაურით: „რისთვის იღებს ჯამაგირს" მოხდენილ იქნა კვლევა-ძიება, რომელიც ბოროტ-მოქმედების ნიშნების უქონლობის გამო, წარმოებით მოისპო და წინადადება მიეცა ზედა-სიმონეთის თემ-აღმასკომის თავმჯდომარეს, რათა მიიღოს საჭირო ზომები, რომ სამკითხველოს გამგე ვანო ბუაძე გულგრილად არ ეპყრობოდეს თავის მოვალეობის ასრულებას.

პროკურორის თანაშემწე ჭინჭარაძე.

ხელოვნება

ვაგნერის საღამო

აღნიშნულ კონცერტზე პირველად თბილისში შესრულებული იქნა დიდი გერმანელი კომპოზიტორის მნიშვნელოვან ნაწარმოებების ნაწყვეტები. კონცერტის პროგრამაში შედიოდა არა მარტო ოპერა „ტანჰეიზერის" და „ლოენგრინის" სცენები, არამედ ნაწყვეტები ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელი"-დან, „ტრისტან და იზოლდა"-დან და ვაგნერის შესანიშნავი ნაწარმოები ტეტრალოგიიდან „ნიბელუნგების ბეჭედი".

ვაგნერი თავის ოპერებში უმთავრეს ადგილს უთმობს ორკესტრს და ძნელია მისი ნაწარმოებების ღირსების შეფასება ორკესტრის გარეშე, ვინაიდან როიალს არ შეუძლია გასწიოს ორკესტრის მაგიერობა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საღამოზე ხელოვნება სათანადო სიმაღლეზე იდგა და ვაგნერის ნაწარმოები დამაკმაყოფილებლად იყო შესრულებული. სჩანდა საღამოს მომწყობის **რიადნოვას** დიდი ენერგია და სიყვარული საქმისადმი. ორკესტრის პარტია შეერთებული იქნა ორ პიანინოზე. ვოკალური მხარე შეასრულეს რიადნოვას კლასის მოწაფეებმა და სახ. ოპერის მსახიობებმა—**ხედენკომ**—ორტრუდის პარტიაში („ლოენგრინი") და **ვალაციმ**—იზოლდას პარტიაში, და აგრეთვე **ვენაძემ** („ტანჰეიზერის"). ყველა მომღერლებმა საუცხოვოთ შეასრულეს თავიანთი პარტიები.

რიადნოვას მოწაფეებიდან უნდა აღინიშნონ: **მაჭავარიანი** (ელიზავეტას პარტიაში—„ტანჰეიზერი"), **სოგომონოვი** (ლირიული სოპრანო, ლამაზი ტემბრი და მუსიკალობა), **ალაძე** (ბარიტონი—სავსებით მომზადებული მომღერალია), **ბოიარსკი** (ბარიტონი—ლამაზი ტემბრით) და სხვა.

კონცერტმეისტერი იყო თვით რიადნოვა. მუსიკალურად შეასრულეს ორკესტრის პარტიები დანიილჩუკმა და რეიმონმა.

პ. ხ.

ხელოვნების ქრონიკა

— **დისპუტი კინო-ხელოვნების შესახებ.** დღეს ხელოვანთა სასახლეში ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგება დისპუტი კინოხელოვნების შესახებ. მომხსენებელია ამხ. სერგო ამაღლობელი. კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვ. არიან: ს. აბაშელი, ნ. ამირაღოვი, კ. ანდრონიკაშვილი, ა.ახმეტელი, ს.გედევანიშვილი, მ.გოგიბერიძე, შ. დუდუჩავა, ქ. კაპანელი. რ. კალაძე, კ. მაყაშვილი, გ. მუშიშვილი, პ. იაშვილი, გ. რობაქიძე, ს. თოდრია, ს. ქორიძე, გ. ქიქოძე, პ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ე. ღვამიჩავა, მ. ჯავახიშვილი. ტ. ტაბიძე, ა. წუწუნავა, პ. ფალავა, ნ. ჟღენტი, გ. ცაგარელი. დისპუტი საღამოს სრულ 8 საათზე დაიწყება.

— **„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა"** ამ სათაურით ი. გრიშაშვილმა დასწერა მონოგრაფია ქალაქურ ხალხურ პოეზიის შესახებ, რომელსაც წაიკითხავს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში 23 მაისს.

◆ **პოეზიის დღეს,** 7 მაისს, გამოვა სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ორკვირეული ჟურნალი „ქართული მწერლობის" პირველი ნომერი.

◆ **პროლეტარულ მწერალთა** კავშირის კონფერენცია შესდგება 5 მაისს თბილისში.

პროფკავშირებში

მელითონეთა კავშირში

კავშირის წევრთა რიცხვი

ამა წლის 15 აპრილისათვის მელითონეთა კავშირის კერძო წარმოება-დაწესებულებებში ითვლებოდა 295 კაცი; ამათგან 242 კავშირის წევრია. მოხდა ყველა ადგილკომების გამოკვლევა. მოწვეული იქნა სადელეგატო და აქტიური მომუშავეების საერთო კრება, სადაც გაკეთდა საინსტრუქციო მოხსენებები. ჩატარებული იქნა სხვა და სხვა კამპანიები.

სატარიფო - საეკონომიო მუშაობა

ფაბკომი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა სატარიფო-საეკონომიო მუშაობას. საანგარიშო დროის განმავლობაში დადებულია 13 სატარიფო შეთანხმებანი. ყველა შეთანხმებები და ხელშეკრულებები იკითხება საერთო კრებებზე. ყველა კერძო წარმოება-დაწესებულებებში ხელფასის მინიმუმი უდრის 19 მ. 05 კაპ.

საწევრო ანარიცხები

ინდივიდუალური საწევრო ანარიცხების თავის დროზე შემოტანის საქმე პირველ ხანებში მოისუსტებდა. ფაბკომის მიერ მიღებული ზომებით ეს დეფექტები ამ ჟამად აღმოფხვრილია.

ექსკურსიები

ახლო ხანში ფაბკომი აწყობს ექსკურსიებს „ზაჰეს"-ის და მუზეუმების დასათვალიერებლად.

კულტურული მუშაობა

სწარმოებს მეცადინეობა კავშირთან არსებულ წერა-კითხვის სრულიად უცოდინართა და მცირე მცოდნეთა სკოლებში.

მუშები მრავლად ეწერებიან საკავშირთაშორისო კლუბის წევრებად. კლუბებში უჩვენებდენ კინო-სურათებს, რომელსაც ესწრებოდა საკმაო რიცხვი კავშირის წევრებისა.

შრომის დაცვა

შრომის დაცვის კანონების დარღვევას ცხოვრებაში ადგილი არა ჰქონია. მუშებს სპეც-ტანთსაცმელი თავის დროზე ეძლევათ.

ახალგაზრდათა შორის მუშაობა

ფაბკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდათა შორის მუშაობას. ჩამოყალიბდა სხვა და სხვა წრეები, ზაფხულის განმავლობაში მათი მუშაობა სასურველ დონეზე დადგება.

მომავალი მუშაობის გეგმა

ფაბკომს შემუშავებული აქვს მომავალი მუშაობის გეგმა. გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია შრომის დაცვის კომისიების [illegible] დახალისება, საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველება და მუშა-ახალგაზრდობის ჩაბმა პროფმუშაობაში.

თ— ე—

პროფმუშაობის ქრონიკა

მელითონეთა კავშირში

— **მელითონეთა პროფკავშირის** 1926 წ. 1-ლ ნახ. შემოსავალი ნავარაუდევია —14.227 მან. 50 კაპ. რაოდენობით.

— **კულტმუშაობისათვის.** მელითონეთა კავშირის ც. გამგეობამ დაადგინა მიღებულ იქნას ზომები კერძო წარმოება-დაწესებულებებში კულტურული მუშაობის უფრო გასაძლიერებლად.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

— **„ავიოქიმიის" კუთხე.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ავტო-კლუბთან მოეწყო „ავიოქიმიის" კუთხე.

— **მუშაობა ქალთა შორის.** ც. გამგეობამ საჭიროდ სცნო ქალთა შორის სამუშაოდ გაადიდოს ინსტრუქტორთა რიცხვი.

— **ავტო-კლუბის გაფართოება.** ც. გამგეობამ გააფართოვა კავშირთან არსებული ავტო-კლუბი.

ფეიქართა კავშირში

— **სადელეგატო კრებები.** ფეიქართა კავშირმა გადასწყვიტა საერთო სადელეგატო კრებები თვეში ერთის მაგიერ მოწვეულ იქნას ორჯერ.

— **იურიდიული დახმარება.** კავშირმა გადასწყვიტა იურიდიული დახმარება გაუწიოს უმუშევარ კავშირის წევრებს.

— **უმუშევრობის გამოკვლევის ჩატარება.** ფეიქართა კავშირის დადგენილებით ამ მოკლე ხანში ჩატარდება უმუშევარ მქსოველთა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა ნივთიერი დახმარების მიზნით.

— **კულტურული მუშაობის გაძლიერებისათვის.** ფეიქართა კავშირმა დაადგინა წარმოება-დაწესებულებებში კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად მიიღოს ენერგიული ზომები იქ მუშაობის გამოსაკვლევად.

— **ქუთაისის საქსოვ ქარხნის კომიტეტი** [illegible] კომიტეტი ამ ჟამად აერთიანებს—220 კავშირის წევრს. ამ კომიტეტთან მოეწყო „რემედას"-ის და „წითელი ჯვრის" უჯრედები.

— **კოლექტიურ ხელშეკრულებების დადება.** ქუთაისის სამაზრო ადგილკომი უკვე შეუდგა სამეურნეო ორგანოებთან კოლექტიურ ხელშეკრულების დადებას.

— **ფიზიკური წრისათვის.** ფეიქართა კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა შეიძინოს საჭირო ხელსაწყო-იარაღები.

— **მუშაობა ქალთა შორის.** ც. გამგეობამ ქალთა შორის მომუშავეთ გამოჰყო პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

— **კულტმუშაობის გამოსაცოცხლებლად** ქუთაისის სამპროფბიურომ წინადადება მისცა მეტყავეთა კავშირს წევრებს შორის კულტმუშაობის გაცხოველების შესახებ.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირში

— **სატარიფო-საეკონომიო მუშაობის გეგმა.** ც. გამგეობამ დაამტკიცა სატარიფო-საეკონომიო განყოფილების მომავალი მუშაობის გეგმა პირველ აპრილიდან პირველ ივლისამდე.

— **მუშკომი.** მიწა-ტყის კავშირმა ჭალადიდის რაიონში მოაწყო მუშკომი.

— **დახმარების გაცემის ახალი წესი.** ამავე კავშირმა შეიმუშავა უმუშევართა ფონდის განაწილებისა და დახმარების გაცემის ახალი წესი.

— **საკავშირო მუშაობაში ჩაბმა.** ვინაიდან სიღნაღის მუშკომის მუშაობა მოიკოჭლებს, ამიტომ ც. გ.-ბამ დაადგინა იქნას ყოველგვარი ზომები მიღებული ყველა წევრების საკავშირო მუშაობაში ჩასაბმელად.

— **კომისიების დაარსება.** ც. გ.-ბამ საჭიროთ სცნო თელავის მუშკომთან შრომის დაცვის და კულტურ[illegible]თლებელი კომისიები.

მორიგი დიდი გადაფრენა

დამდეგ ზაფხულის შუა რიცხვებში საბჭოთა ავიაქიმის საზოგადოება აწყობს გადაფრენას დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ჩვენმა ჰაერის ნავებმა ამ გადაფრენის დროს უნდა ვაიარონ 20 ათას კილომეტრამდე მანძილი და უნდა მოიარონ გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, პოლონეთის, ოსმალეთის და სპარსეთის ტერიტორიები.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 1924 წელში შესრულებულ იქნა გადაფრენა ტემზიდან (შუა აზია) ქაბულში (ავღანისტანი) გინდუკუშის მთაგრეხილის გადალახვით. უფრო გვიან საბჭოთა პილოტების მიერ შესრულებულ იქნა გადაფრენა ბაქოდან თეირანში და ბოლოს, 1925 წლ. ზაფხულში, განხორციელებულ იქნა საბჭოთა ექსპედიციის უდიდესი გადაფრენა—მოსკოვი—პეკინი, ტოკიოს მარშრუტით.

ამ გადაფრენის შემდეგ ჩვენი ავიაცია გადადის შორეულ გადაფრენათა ახალ განვითარების საფეხურებზე.

მომავალ გადაფრენას ოთხი მიმართულება აქვს: გადაფრენა მოხდება საფოსტო ჰაეროპლანით მოსკოვი — კენიგსბერგი— პარიზი, რომი, ვენა, პრაგა, ვარშავა—მოსკოვი; მეორე კი სამგზავრო თვითმფრინავით: მოსკოვი, ბერლინი, ფრანკფურტი, კენიგსბერგი, მოსკოვი, მესამე—მოსკოვი, ხარკოვი, სევასტოპოლი, ანგორა, თბილისი, კავკავი, როსტოვი, მინსკი და მოსკოვი; ამ გადაფრენას დიდი დაბრკოლება ელოდება წინ. მან უნდა გადასჭრას შავი ზღვა და კავკასიონის ქედი; დაბოლოს მეოთხე გადაფრენა მოხდება სპარსეთში—მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვი, მინერალური წყლები, ბაქო, თეირანი. ყველა გადაფრენა მოხდენილი იქნება მხოლოდ საბჭოთა თვითფრინავებით და საბჭოთა კონსტრუქციის ძრავებით.

დასავლეთის და ახლო აზიის ქვეყნებში ამ დიდ გადაფრენას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჩვენი წითელი მფრინავი გაეცნობა საავიაციო საქმეს დანარჩენ ქვეყნებში. მეფის რუსეთში არ ყოფილა საკუთარი საავიაციო მრეწველობა. ეს დარგი განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. მოსკოვი—პეკინი—ტოკიოს გადაფრენამ უკვე საკმაოდ გამოარკვია ჩვენი ადგილი მსოფლიო ავიაციის რიგებში. დასავლეთში და აღმოსავლეთში ახალმა გასვლამ უნდა საბოლოოდ განუმტკიცოს ეს ადგილი საბჭოთა ავიაციას. გადაფრენათა კამპანია უნდა ჩატარებულ იქნას მშრომელთა უახლოეს და ცოცხალ მონაწილეობით. ავიაქიმის ცენტრალურ და ადგილობრივ საზოგადოებათა მიერ წინასწარი ტეხნიკური მუშაობა უკვე შესრულებულია. 2, 3 და 4 მაისი მთელ საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია გადაფრენის პოპულიარიზაციის სამდღეულად და ამ გადაფრენის საჭირო საშუალებათა შეგროვების დღეებათ.

მუშები და გლეხები, საბჭოთა მოსამსახურენი და წითელარმიელნი, საბჭოთა ქვეყნის ყველა მოქალაქენი, უპირველესად ყოვლისა, ავიაქიმის წევრები მიიღებენ შესაძლებელ მონაწილეობას გადაფრენის მომზადებაში და დაეხმარებიან ჩვენს წითელ მფრინავებს ამ მნიშვნელოვან კულტურულ და პოლიტიკურ ამოცანის მოგვარებაში.

თბილისში ამ კამპანიის ჩატარებისათვის წინასწარი მუშაობა თითქმის დასრულებულია. ავიაქიმის ზოგიერთ მოწინავე უჯრედებიდან უკვე შემოდის თანხა. ეს ამტკიცებს, თუ რამდენად ეხლოება მუშებსა და გლეხებს წითელი საჰაერო ფლოტის ინტერესი.

ამ საპასუხისმგებლო მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ყველა პროფესიონალურ, კომკავშირის, საბჭოთა, უმაღლეს სასწავლებელთა, პიონერთა და სხვა საზ. ორგანიზაციებმა. არ უნდა დარჩეს არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც არ შეიტანს თავის წვლილს საბჭოთა საავიაციო მრეწველობა-აღმშენებლობაში.

ნ. ლეონოვი.

სასამართლო

ფარმაცევტ ჭეიშვილის საქმე.

გუშინ დილის სხდომაზე ექსპერტებმა წარმოადგინეს თავიანთი დასკვნა სასამართლოს მიერ მიცემულ კითხვებზე.

ექსპერტების დასკვნით, ბერთოლეს მარილით მოწამლულ ადამიანს არ შეუძლია ხანგრძლივი სიცოცხლე.

ექსპერტების დასკვნით, საქმეში დართულ მასალების მიხედვით არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ბრალდებულ ჭეიშვილის მიერ გაცემული იყო ბერთოლეს მარილი გლაუბერის მარილის მაგიერ.

ექსპერტების დასკვნით (გარდა პროფესორ ქუთათელაძისა, რომელიც განსაკუთრებულ აზრს გამოსთქვამს) იუზბაშევი მოწამლული იყო ბერთოლეს მარილით, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი.

ექსპერტებმა წარმოადგინეს აგრეთვე თავიანთი მოსაზრებანი ბერთოლეს და გლაუბერის მარილის ქიმიური თვისებების შესახებ.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლოს მიერ გამოძიება დასრულებულია.

საღამოს სხდომაზე გაიმართა მხარეთა კამათი.

ზურაბ წოწკელაურის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა **ზურაბ წოწკელაურის** საქმე.

წოწკელაურს ბრალდებოდა **ვანო ნადიშაიძის** მოკვლის ცდა.

სასამართლომ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეებისა, რომლითაც დადასტურდა წინასწარი გამოძიების დროს გამორკვეული ფაქტები.

მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულს არ ჰქონია განზრახვა მოეკლა წოწკელაური და მათ შორის არავითარ უთანხმოებას ადგილი არა ჰქონია.

სასამართლომ წოწკელაური სცნო უდანაშაულოდ და გაამართლა.

რკინის გზეზე

სადღესასწაულო მატარებელი

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ დანიშნა დამატებითი სადღესასწაულო მატარებელი შემდეგი მიმართულებით: კახეთის ხაზზე—სადგურ გურჯაანამდე, 29 და 30 აპრილისათვის. ბათომისაკენ—მატარებელი № 8—30 აპრილისათვის. ეს უკანასკნელი მატარებელი გავა თბილისიდან საღამოს 8 საათზე. გარდა ამ მატარებლებისა, ბაქოსა და ბათუმის მიმართულებით ნაშუადღევის 2 საათზე წავლენ პროფკავშირების სპეციალური საექსკურსიო მატარებლები. თბილისსა და მცხეთას შუა 1,2 და 3 მაისს ივლიან დამატებითი მატარებლები.

მატარებლის გაწყვეტა

27 აპრილს ნავთლუღ-თბილისს შუა გაწყდა მატარებელი № 110, რომელიც შესდგებოდა 52 ვაგონისაგან მატარებლის შემადგენლობა არ დაზიანებულა, მხოლოდ ამ შემთხვევის გამო, მატარებელი № 32 დაკავებულ იქნა ერთი საათით და 47 წუთით.

მატარებლის დამტვრევა

27 აპრილს, საღამოს 8 საათზე და 50 წუთზე. სადგ. მცხეთაში მატარებელ № 10-ის მიღების დროს სადგურის მორიგემ—წერეთელმა იფიქრა რა, რომ მატარებელი უკვე შემოსულია სადგურში, მის ქვეშ გადაიყვანა ისარი: ამის გამო, ორთქმავალი წავიდა ერთი ხაზით, ვაგონები კი მეორე ხაზით. საბარგო ვაგონი გადაბრუნდა, ერთი საკლასო ვაგონი ასცდა ლიანდაგს, ყველა ბორბლებით, ხოლო მეორე საკლასო ერთი ბორბლით. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ უფროსი კონდუქტორი უმნიშვნელოდ დაშავდა. ხაზი დაზიანდა ათი საჟენის მანძილზე. მოძრაობა შეჩერებულ იქნა. მოძრაობა აღადგინეს პირველი ხაზით 3 საათზე და 40 წუთზე. ამ შემთხვევამ გამოიწვია მატარებლების მოძრაობის შეჩერება, მაგ. მატარებელ № 10-მა დაიგვიანა 3 საათით და 55 წუთით, მატარებელი № 4 დაკავებულ იქნა თბილისში 4 საათით და 15 წუთით და ამასთანავე დაიგვიანა რამოდენიმე საბარგო მატარებელმა.

მეცნიერება და ტეხნიკა

აერო-მარხილი

უკანასკნელ წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირში ძლიერ განვითარდა ურელსო მექანიკური ტრანსპორტი. რაც დრო გადის ავტომობილების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება. მაგრამ თუ ქალაქებში ავტომობილები იმავე პირობებში იმყოფებიან (გზის მხრივ), როგორც დასავლეთ ევროპაში, ქალაქს გარეთ მათ მრავალი დაბრკოლებების გადალახვა უხდებათ, განსაკუთრებით ზამთარში.



საქართველოში არ იცის დიდი თოვლი, რომელიც ხანგრძლივი ვადით შესწყვეტს მიმოსვლას ქალაქებს შორის, რუსეთში კი სადაც ზამთარი ხანგრძლივია და თოვლიც დიდი მოდის, საზამთრო ტრანსპორტის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ფხვიერ თოვლში, რომელიც 5-6 თვის განმავლობაში ფარავს მიწას, ავტომობილს გავლა არ შეუძლია, არ შეუძლია გავლა არც სხვა რაიმე ბორბლიან სატრანსპორტო საშუალებას.

მიმოსვლის ერთად-ერთ საშუალებას ზამთარში (რუსეთში) მარხილი წარმოადგენს.

უკანასკნელ ხანებში ბევრ ცდებს ახდენდენ მექანიკური საზამთრო ტრანსპორტის მოსაწყობათ და კიდეც შექმნეს.

ეს არის ე. წ. აერო-მარხილი—მარხილი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს აეროპლანის პროპელერს (საჰაერო ხრახნილს).

ასეთ აერო-მარხილებს ამზადებენ რუსეთის ფერად ლითონების ტრესტის კოლჩუგინის ქარხანა და ქარხანა „კრასნი პუტილოვეც".

აერო-მარხილზე დადგმულია 100 ძალიანი მოტორი. მარხილის საშუალო სისწრაფე 50 ვერსს უდრის საათში, მიყავს 5-6 კაცი.

ელექტრო-დენის გაშვება მესსინის ყურეში

მძიმე ამოცანაა დასმული იტალიელ ინჟინერებისა და ელექტრო-ტეხნიკოსების წინაშე. საჭიროა ელექტრო-დენის გადაცემა მესსინის ყურეთი კუნძულ სიცილიაზე. 4 ვერსის მანძილზე სამხრეთ-იტალიიდან, რომელიც მდიდარია წყალვარდნილებით.

წარმოდგენილია სამი პროექტი ამ ამოცანის გადასაჭრელათ. სამივე ახალია და საინტერესო.

პირველი პროექტი, მესსინის ყურეს ორივე ნაპირზე უნდა გაკეთდეს 300 მეტრიანი კოშკი და ამ კოშკებიდან უნდა იქნეს გადმოკიდებული ელექტრო-ენერგიის გადამცემი მავთულები. მაგრამ კოშკების ასეთი სიმაღლის პირობებში 4 ვერსის მანძილზე მავთული არ იქნება წყლის ზედაპირის პარალელური, არამედ შუა ადგილას მხოლოდ 70 მეტრით იქნება დაშორებული წყალის ზედაპირისაგან.

მეორე პროექტით, ყურეს ქვეშ უნდა გაითხაროს გვირაბი და მავთული გვირაბით უნდა იქნეს გაყვანილი.

მესამე პროექტი წინადადებას იძლევა მავთული ზღვის ფსკერზე დაიდვას. ეს პროექტი თითქმის ადვილათ განსახორციელებელია და იაფიც უნდა დაჯდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ გამოდის. მავთულში უნდა გაიაროს არაჩვეულებრივათ დიდი ძალის ელექტრო-დენმა (130.000 ვოლტი), ზღვის წყალი კი ელექტრონის საუცხოო გამტარია და მავთულს იზოლიაცია (განმხოლოება) ძნელი საქმეა. მიუხედავათ ამისა, იტალიის ერთმა დიდმა ქარხანამ (პირროლის) იკისრა ასეთი მავთულის დამზადება.

ახალი სამხედრო აეროპლანი

შეერთებულ შტატებში დაიწყეს აგება ახალი უზარმაზარი აეროპლანის. ეს აეროპლანი უფრო დიდი იქნება, ვიდრე სხვა, დღემდი არსებული სამხედრო ტიპის აეროპლანები. მასზე დადგმული იქნება 12 ცილინდრიანი 12.000 ძალიანი მოტორი. აეროპლანი შესძლებს 220 კილომეტრის გავლას საათში.

ფიქრობენ, რომ ამ ახალი აეროპლანით შესაძლებელი იქნება ნიუ-იორკიდან ლონდონში გადაფრენა დაუშვებლად.

ნარევი

ბანქოს ისტორია

ბანქოს თამაში, რომელიც ასე გავრცელებულია თანამედროვე საზოგადოებაში, არ წარმოადგენს უძველეს თამაშს და კაცობრიობის თავის გასართობს. არის, მართალია, ცნობები, რომ ჩინელები 3.000 წლის წინათ იყვენ გაცნობილი ბანქოს თამაშთან, მაგრამ რაიმე სერიოზული დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოება. ყველაზე ძველი ბანქო ინახება ლონდონის აზიურ მუზეუმში. ფიქრობდენ, რომ ბანქოს თამაშს 1000 წლის ისტორია აქვს, მაგრამ ბანქოს თამაშის უახლოესი ისტორიკოსი ალექს პროქტორი ამტკიცებს, რომ ბანქო უახლოესი დროის გასართობია. პირველი სარწმუნო ცნობა ბანქოს შესახებ ევროპაში ეკუთვნის 1392 წ. საფრანგეთის მეფის კარლოს მე-6-ეს ხაზინადარის ანგარიში იხსენიებს ჯილდოს, რომელიც გაცემულ იქნა ბანქოს დახატვისათვის. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბანქოს თამაში ევროპაში გავრცელდა მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. პირველ ხანებში ბანქოს ხატავდენ ხელით და ძვირი ღირდა.

პირველი აპრილის ხუმრობა

პირველ აპრილის მოტყუების და ხუმრობის ჩვეულება დიდი ხანია არსებობს.

წარმოიშვა ეს ჩვეულება იმასთან დაკავშირებით, რომ 1564 წელს ახალი წელიწადი საფრანგეთში 1-ლი აპრილიდან 1-ლ იანვარზე იქნა გადატანილი. საახალწლო საჩუქრები (პირველ აპრილს) შესცვალეს სხვადასხვა ხუმრობითა და მოტყუებით.

გაზეთების მკითხველების უმრავლესობა გულუბრყვილოა. ევროპიული გაზეთები სარგებლობენ ამით და პირველი აპრილისათვის იგონებენ სხვადასხვა სენსაციებს „ე. წ. საპირველაპრილო იხვებს".

ასე მაგალითად რევოლიუციის წინ მოსკოვის ერთმა გაზეთმა მოათავსა ცნობა, რომ გამოიგონეს მექანიკური კაცი, რომელსაც შეუძლია თავისუფლად სიარული და ლაპარაკიო. მოათავსეს ამ „კაცის" სურათი, დაასახელეს გამომგონებლის ვინაობა. დაბოლოს გაზეთი იუწყებოდა, რომ დღის თორმეტ საათზე ეს „კაცი" ალექსანდრეს ბაღში იქნებაო.

ამ დროსათვის ბაღი ხალხით გაივსო. გამოჩნდენ „მნახველებიც", რომლებიც შეკრებილ ხალხს უხსნიდენ, თუ როგორ „დადის" მექანიკური კაცი, როგორ „ლაპარაკობს" და სხვა.

გავიდა საათი. მექანიკური კაცი არ სჩანდა. შეკრებილი ხალხი ღელავდა. როცა ლოდინით ყველას ჰარაქათი გამოელია, დაიწყო ჩხუბი და დავიდარაბა. საქმეში პოლიცია ჩაერია და ხალხი გარეკეს.

საინტერესო ის არის, რომ საპირველაპრილო ხუმრობას არამთუ საზოგადოების ფართე წრეები, არამედ სერიოზული გაზეთების რედაქციებიც კი შეჰყავთ შეცდომაში.

იყო ასეთი შემთხვევა: ბერლინის ერთ-ერთმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა მოათავსა ცნობა, რომ „პრუსიელმა ფერმერმა შლეიხერგრიბენმა აღმოაჩინა ცოცხალი ღორისაგან უმტკივნეულოდ ქონის ჩამოთლის საშუალება. განსაკუთრებული წესით შეიძლება ღორს ყოველდღე ჩამოათალო რამდენიმე ნაჭერი ქონი და შემდეგ ჭრილობა შეუხვიო".

ჟურნალში მოთავსებული იყო სურათი ღორის, რომლისთვისაც პატრონს უკვე „ჩამოეთალა" რამდენიმე ნაჭერი ქონი და ჭრილობები შეეხვია.

სერიოზულმა ინგლისურმა გაზეთმა „დეილი ნიუს" (მემარცხენე ლიბერალების ორგანო) ხუმრობა სერიოზულ ცნობათ მიიღო, აღტაცებაში მოვიდა და ერთი თვის შემდეგ მოათავსა გრძელი წერილი სათაურით „რევოლიუცია საოჯახო მეურნეობაში", და წერილს „ოპერაციაქმნილ" ღორის და „გენიალური გამომგონების" ავტორის სურათიც დაურთო.

ზოგჯერ საპირველაპრილო ხუმრობა მჭიდროთ არის დაკავშირებული მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებთან.

ასე მაგალითად, 1923 წ., როცა გერმანიაში რევოლიუციონური მოძრაობის ტალღა ძლიერდებოდა, ბერლინის ერთ-ერთმა ჟურნალმა მოათავსა სურათი, რომელიც წარმოადგენდა ადამიანის უზარმაზარ თავს, გამოკვეთილს ქვიდან.

სურათს ქვეშ ჰქონდა წარწერა: „ეს თავი წარმოადგენს ძეგლს „ლეგენდარულ ბოლშევისას, რომელმაც დაარსა ბოლშევიზმი. დადგმულია ეს ძეგლი ვერხოიანში (ალბათ ვერხოიანსკში).

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

ვცხოვრობ ვერცხლის ქუჩ. სახლი № 26-ში პირველ სართულში, მიჭირავს ერთი ოთახი, სივრცით 20 კვად. არშინი; ვინაიდან ხელწერილის მიუცემლად სახ. პატრონი ოთახში არ მიშვებდა, ამისათვის იძულებული შევიქენი სახლის პატრონს შევკროდი შინაური პირობით, რომ ყოველ თვიურად მიმეცა მისთვის თუთხმეტი მან. მე ვმსახურობ საფთიაქო სამმართველოში ასისტენტად და ვღებულობ თვეში 73 მან. 80 კ. ვარ კავშირის წევრი (საწევრო წიგნაკი № 5069) ამჟამად ჩემთან ოთახში არის ორი უმუშევარი ამხანაგი (სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ერთი მათგანი) და მეორე ქმოსანი [illegible] ისიც უმუშევარი.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას თუ რამდენი ერგება სახლის პატრონს თვიურად ან და აქვს თუ არა მის მიერ ჩამორთმეულ ხელწერილს ძალა.

ან. შალამბერიძე.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად მოქმედ საბინაო ტარიფისა თქვენი ხელფასის მიხედვით ბინის ქირად თვიურად თქვენ უნდა გადაიხადოთ თითეულ კვადრატიულ არშინზე რვა კაპეიკი.

თქვენ მიერ სახლის პატრონისთვის მიცემული ხელშეკრულების გაბათილება უნდა მოხდეს სასამართლოს წესით, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33-ისა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე თბილისის ალმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის პლენუმი რაიკომთა ბიუროების და კავშირების ფრაქციათა მდივნების მონაწილეობით.**

დღის წესრიგში სდგას: 1) საწვრილმანო ფასების დაკლების ღონისძიებათა შესახებ.

2) ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების გადარჩევის საკითხი.

3) საბჭოთა არჩევნების შედეგები თბილისის მაზრაში.

სავალდებულოა დაუგვიანებლად გამოცხადება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, ხუთშაბათს, 29 აპრილს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება **მიმღები კომისიის სხდომა.**

„რემედას"-ის მეორე რაიკომი აცხადებს, რომ დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის გამზ., 96) შესდგება **„რემედას"-ის რაიკომის სხდომა.**

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: შჩეკინი, მთვრალაშვილი, პერცევი, მაკარჩუკი, გელიანიძე, შავერდოვი, ტოროზოვი, სტრუჩალინი.

საქართველოს კომპარტიის **თბილისის** კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში: ლეჟავა ივანე ნიკოლოზის ძე, მაისეევი ნიკოლოზ დიმიტრის ძე, გოჩიაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, მოწონელიძე ვარლამ, ახობაძე ალექსანდრე.

პარასკევს, 30 აპრილს, დილის 10 საათზე, შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომის** საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ მოხსენებები პირველი მაისის შესახებ ჩატარებულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

29 აპრილს—დღის 2 საათზე—26 კომუნარის სახელობის ქარხანაში—ამხ. **ვოგანიანი**, 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ხელოსანთა კლუბში—ამხ. **კიკნაძე**; 29 აპრილს, დღის 2 საათზე, ელექტრიკებთან—ამხ. **ასრიბეკოვი**, 30 აპრილი, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში—ამხ. **ასრიბეკოვი**; 30 აპრილი, საღამოს 6 საათზე, მუშკოოპის კლუბში—ამხ. **რატნეკი**; 30 აპრილი, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის კლუბში—ამხ. **კახიანი**; 30 აპრილი, საღამოს 5½ საათზე, „ზაკავტოპრომტორგ"-ის უჯრედში—ამხ. **სუტირინი**; 30 აპრილი, დღის 12 საათზე, არსენალში—ამხ. **ერქომაიშვილი**; 30 აპრილი, დღის 4 საათზე, მეეზოვეთა კლუბი—ამხ. **მელიკი**; 30 აპრილი, დილის 11 საათზე, კინო-მუშაკებში—ამხ. რახმანი.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის **თბილისის კომიტეტი** აცხადებს, რომ დღეს, ხუთშაბათს, 29 აპრილს, დღის 1½ საათზე, შესდგება საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის **საორგანიზაციო კოლეგიის** სხდომა.

სხდომას დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრები და კომკავშირში ახლად შემოსულნი, რომელთა ანკეტები უნდა დაამტკიცოს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიამ.

ამ. ლ. კ. კ. სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი იტყობინება ყველა ფაკულტეტების და უჯრედთა წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ 29 აპრილს, საღამოს დანიშნულია კრება; პედაგოგიური ფაკულტეტის უჯრედის კრება შესდგება საღამოს 5 საათზე, ხოლო დანარჩენი ფაკულტ. უჯრედების კრება კი—საღამოს 7 საათზე. უჯრედის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებულნი ვალოდია ოჯახითურთ და ვიქტორ მეგრელაძენი აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 27 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ჯერ ჯან-ღონით სავსე დისწული

ლიუბა ქრისტეფორეს ასული ცინცაძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ზომლეთში 29 აპრილს.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იუსტინა ლ[illegible] ასული, შვილები: ივანე, ვლადიმერ, კირილე, მოსე და ნესტორ და [illegible] რძლები: ელენა, მარო, ტოსია და გიგუცა [illegible] ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

იოსებ გიორგისძე ბარამიძე

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება დღეს, 29 აპრილს, საღამოს 5 საათზე ფოთში, გამბაროვის ქ. საკუთარი სახლი. უ.

გულმოკლულნი და მწუხარებაში მყოფი შვილები: ანეტა, აგრაფინა, და ანასტასია იოსების ასული, სიძეები: საშა თავდგირიძე, გრიგორ ბასტრიჩევი და ვანო ფანცულაია აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ მათი ძვირფასი მამის

იოსებ გიორგისძე ბარამიძის

გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 29 აპრილს, 5 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები სონია ბოკერიას ასული და კ ლა პეტრესძე მასხარაშვილი, და მარგალიტა, აუწყებენ ნათესავ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 4 მაისს დღით სამშაბათს საღამო 5 საათზე ფოთში, ნახუტურის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის უდროოთ დაკარგულის, მუდმივ დაუვიწყარი

ვენერას

გარდაცვალების წლისთავზე. 2313

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქსენია, დები: ბაბო და მარო, სიძეები ყანჩელი და ტარიელაშვილი, ბიძა გიორგი ქორქაძე, სიმამრი დავით ლევანისძე ღლანიძე და უდროოთ დაობლებული გივი შოთნიაშვილი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ყველასათვის საყვარელ

ილია იოსებისძე შოთნიაშვილის

გარდაცვალებას ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქალ. სოხუმის საკურორტო საავადმყოფოში. გამოტირილი დანიშნულია საბურთალოს სასაფლაოზე 30 აპრილს, დღით, პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათ.
2221

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ანტონ, ვასო, აქსენტი, ნინა, ხარიტონ, რძლები: პელაგია, მატრონა, ნინა, ანეტა და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

ირინე კიმოთეს ასული ჯანგველაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 1 მაისს, სოფელ მაიდანში, სენაკის მაზრაში.
2214 1—1

ნიკოლოზ დიმიტრისძე და მარიამ გუდუს ასული ქავთარაძენი აცხადებენ, რომ 28 ამა თვეს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი, თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მეორე კურსის მსმენელი

დიმიტრი (ჯვებე) ქავთარაძე

გამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
1—1 ღ.

აპოლლო
ართისტიკო
სოლეი

დღეს და ყოველდღე
პირველად ეკრანზე სომხეთის ყოფა-ცხოვრება
„ნ ა მ უ ს ი"
შირვან-ზადეს რომანის მიხედვით,
რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი ს. ზაბოზლაევი
სურათის ჩვენების დროს უკრავს სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი
ყველა კონტრამარკები გაუქმებულია
0—24

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის. რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

ექიმი არსენ გადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—1

გამოვიდა
და ყველა წიგნის მაღაზიებში იყიდება
ექ. გ. მუავანაძის ახალი წიგნაკი
„აგარაკი ბახმარო"
აგარაკის რუქით და რამდენიმე სახეებით ტექსტში
მოიკითხეთ თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში
3—1

ყუთები
სხვადასხვა ზომის მრავალი რაოდენობით შეუძლია მიაწოდოს რკინის გზათა სატყეო განყოფილებამ (თბილისი ქსენიევის ქუჩა № 5, ტელ. 7—31 და 15—32).
ფასი სავაჭრო გოჯზე 1 მან. სახელმწიფო. დაწესებულებისათვის და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, 1 მან. 10 კაპ. კერძო პირთათვის.
ფრანკო რონოდა სოფ. საჰილაოში სამტრედიის ახლო.
ნ. 1216 3—2

ხუთშაბათს, 6 მაისს, სრულ 12 საათზე ალმასკომის
წყალსადენის დირექტორის კაბინეტში
(სოლოლაკის და მახარაძის ქ. კუთხე № 1 | 16)

დანიშნულია სიტყვიერი ვაჭრობა

ახალი წყალსადენის მილების ჩასაწყობ თხრილების გათხრის მიწის უკანვე ჩაყრის და მისი ქვაფენილების შეკეთების საქმის გასაცემად.

საერთო გასათხრელ თხრილის სიგრძე იქნება დაახლოვებით 6—ვერსამდე, რაიც შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში წყალსადენის დირექციის მიერ მოთხოვნილ სხვადასხვა ვადებში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად წინასწარ ვაჭრობის დაწყებამდე შემოტანილ უნდა იქნეს წყალსადენის სალაროში 300 მანეთი ბე.

ყველა დამატებითი ცნობების და ტეხნიკური კონდიციების მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ წყალსადენის კანცელარიას დილის 11—საათიდან 3—საათამდე.

ნ. 1219 2—1. დირექცია.

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
ИЗ
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ
ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА"
В МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ
ВНУТРИ КОРОБКИ

ავადმყოფობათა წამლობა
პროფესორ ბრაუნ სექარის წესის მიხედვით
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან".
„გალენ-მოსკოვის" კოოპერატივის ორგანოთერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.
გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხმალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული, არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
ИЗ
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM
SPIRITUOS
„ГАЛЕН МОСКВА"
в МОСКВЕ

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გ ა ლ ე ნ ი ს" ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. Адрес: Зак. представит. коопер. „Гален" Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ". Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва" Москва уд. Герцена № 5 отд. 3. 6. 1162 0—2.

ს.ს.ს.რ. განათლების სახ. კომისარიატი
აცხადებს, რომ

შრომის სკოლებისათვის საჭიროა შემდეგი სახელმძღვანელოები:

2 ჯგუფისათვის
1. სამუშაო წიგნი—სახელმძღვანელო

3 ჯგუფისათვის
2. სამუშაო წიგნი—სახელმძღვანელო
3. რუსული ენის სახელმძღვანელო (3—4 ჯგუფ. ერთად)
4. სამუშაო წიგნი მათემატიკაში (არითმეტიკა—გეომეტრია)

4 ჯგუფისათვის
5. სამუშაო წიგნი—ბუნებისმეტყველებაში, გეოგრაფიაში და საზოგადოებათმეცნიერებაში

5 ჯგუფისათვის
6. საზოგადოებათმეცნიერების სახელმძღვანელო (5—6 ჯგუფისათვის ერთად)

6 ჯგუფისათვის
7. ქართული ენის სახელმძღვანელო
8. ბუნებისმეტყველება (ბოტანიკა)
9. გეოგრაფიის სახელმძღვანელო (ევროპა)
10. ალგებრა

7 ჯგუფისათვის
11. მათემატიკის სამუშაო წიგნი (ალგებრა—გეომეტრია—ტრიგონომეტრია)

8—9 ჯგუფისათვის
12 ალგებრა—გეომეტრია.

ის პირები, რომლებიც უკვე მუშაობენ, ან მოისურვებენ მუშაობას ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებზე, გამოცხადდებიან განათლების სახალხო კომისარიატში ზოგადი დირექტივების მისაღებად—ა. წ. 10 მაისამდე

დირექტივების მიღება 1 საფეხურის შრ. სკოლის სახელმძღვანელოთა შესახებ—პედაგოგიურ სექც., ხოლო 2 საფეხურის—სასკოლო განყოფ.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი
სასკოლო განყოფ. გამგე ბ. ბოგუაძე.
ნ. 1217 2—2

ა. წ. 28 აპრილს გაზეთ „კომუნისტ"-ში № 95/1550 მოთავსებულ,

თბილისის კომუნალ. ბანკის გამგეობის განცხადებაში

შემჩნეულია შემდეგი შეცდომები

სვეტი	№ რიგი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1.	3	ლეჟენი	ლეჟენი
2.	9	მიხაკ	მისაკ
2.	10	გავრიელოვისა	გავრილოვისა
2.	12	მოსკოვის ქ.	მოსკოვის შესახ.
2.	13	გასსერის	გასსერის
2.	15	საზონოვის ქ. (ყ. ფეოდოსიევისა)	საზონოვის (ყ. ფეოდ.) ჩიხი
2.	18	ელოს ძე	ელიას ძე
2.	20	შავგულაძისა	შავგულიძისა

ნ. 1232

15 მაისს 1926 წ. კურორტთა მთავარ
სამმართველოში
ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქ. № 30 დილის 11 საათ.
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

შერეული საჯარო ვაჭრობა

მომავალ საზაფხულო სეზონში აგარაკ ბორჯომის, პ.-ცემის, წაღვერის და აბასთუმანის სანატორიუმებისათვის შემდეგი სურსათ-სანოვაგის მიწოდებაზე: **1. ხორცის, 2. პურის გამოცხობა ან გამომცხვარი პურის მიწოდება, 3. კვერცხის, 4. ბოსტნეულობის, 5. კარაქის, 6. ერბოსი, 7. რძის, 8. არაჟანის.** საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინონ 200 მ. დაწვრილებითი ცნობები საკურორტო სამმართველოში თბილისში და ადგილებზე
განცხადებები მიიღება 1926 წლის 12 მაისამდე
1—1 ნ. 1230

თანახმად ბორჯომის მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობის დადგენილებისა ა. წ. 22 აპრილიდან

ბორჯომის მუშკოოპი ლიკვიდაცია

ქმნილია და ამისათვის არის ამორჩეული

სალიკვიდაციო კომისია,

რომელიც აცხადებს, რომ ვისაც რაიმე პრეტენზია აქვს ბორჯომის მუშკოოპის მიმართ, ასეთი უნდა წარუდგინოს სალიკვიდაციო კომისიას არა უგვიანეს ა. წ. მაისის 10 რიცხვისა, რის შემდეგ არავითარი განცხადება პრეტენზიების შესახებ არ იქნება მიღებული.
(მისამართი ბორჯომში, ყოფილი მუშკოოპის შენობაში).
2312 2—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 6 მაისს 1926 წ. საათის 12 კორესის ქ. № 30 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ინჟ. ნიკოლოზ ბროკვესი მოძრავ ქონებას ხის ჩასახრავ მანქანას, სიმინდის საღერღავს, სარეცხის გასაწურს, სასწორის ალაფრებს, ძალტის თუჯის ფეჩებს, სიმძიმის ასაწევს, ბოქლომებს, შაიბს, შესტერიონებს და სხვებს შეფასებულ 364 მან. დასაკმაყოფილებლად დამზღვევ სალაროსა, მუშათა ხელფასისა და სხვ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2318 1—1

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია
აცხადებს, რომ ის 12 მაისს 1926 წ. საათის 12, კლარა ცეტკინის ქ. № 176, საჯარო ვაჭრობით გაყიდის მეორე კოლექტივის სასადილოს მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სუფრებს, სკამებს, 4 დუჟინ საინებს, 24 დანა-ჩანგლებს, 20 ბოთლ ვოდკას, სპილენძის ქვაბებს, 18 ჩაის ქიქებს, ფიკუსებს, ალმათურს და ელექტრონის ლამპიკებს შეფასებულ 209 მან. დასაკმაყოფილებლად წარმოკავშირისა და სხ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2317 1—1

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 6 მაისს, დილის 11 ნახ. საათზე გრიგოლ ფარაშიანცის ბინაზე პანასევიჩის ქ. № 48 პირველ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მისი, ფარაშიანცის შემდეგი ქონება: ბუფეტის შკაფი, ტანთსაცმელის შკაფი, მარმარილოს პირსაბანი, 2 მაგიდა, ნიკელის თვით მადუღებელი, პურჭლის სარეცხით, ფინჯანით და აჭანდაზით, რომელიც შეფასებულია 100 მანეთად. ნ. 1229 1—

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შიგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 0—12 საათამდე, საღამოს 5—7 1 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—19

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მ ი ს ა მ ა რ თ ი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ე ქ ი მ ი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს
ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—8

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ უკან 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შემხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17.

ექიმი ა. ს. ფონ-ირთელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) საღამოს 6—7.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—1

დოქტორი გ. მებრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით პნეიმოტორაკსის და ტუბერკულიოზის, რენტგენის და სინათლით ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
25—4

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 469, სპირიდონ სპირიდონის ძე ნორაკიძის სახელზე, ჩ. გ. 2316

დავკარგე კავშირის წევრობის წიგნაკი № 5790, ანნა ზუკაკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2320

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4, ალექსი გიორგის ძე პატარიძის სახელზე, ჩ. გ. 2311

დავკარგე მეტრიკული მოწმობები № 469, კონსტანტინე სპირიდონის ძე ნორაკიძის სახელზე, ჩ. გ. 2315

დავკარგე წლიური ბილეთი № 929 და პირადობის მოწმობა № 14726, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ნანეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2319

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4, ისიდორე ტრიფონის ძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 2322

დავკარგე პირადობის მოწმობა № 2016, მოცემული საჩხერის ალმასკომის მიერ დომენტი თომას ძე ყიფიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1228

დაკარგული სიმტკიცის სიგელი, აღნიშნული ქუთაისის ნოტარიუსის სიმტკიცის არქივში 6 ივლისს 1913 წ. № 1546, გრიგოლ სტანისლავის ძე სოვგიროვის სახელზე, ქ. ბათომში, ეკატერინის ქ. № 3, ჩ. გ.